საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 სექტემბერი სამშაბათი 2012 №227 (13 833) ფასი 80 თეთრი

# რეალმა რაიო დააბნელა

## სამეფო კლუბი მეტოქეზე გადაუვიდა



9

# იტალია და გერმანია არ ისვენებენ



7

## ფლორენციაში ტურისტული ავტობუსით

### დღევანდელი ფიორენტინა-იუვენტუსი ჩაშლის პირას იყო

იტალიის ჩემპიონატის მეოთხე ტური ფლორენციაში იხსნება, სადაც „ფიორენტინასთან" სათამაშოდ სერია A-ს ლიდერი „იუვენტუსი" ჩადის. ისედაც რთული მატჩის წინ, „ბებერ სინიორას" სერიოზული პრობლემები შეექმნა - მან დიდი გაჭირვებით ჩააღწია დანიშნულების ადგილას. ამისთვის „იუვეს" ტურისტული ავტობუსის გამოყენება მოუწია.

გეგმის მიხედვით, გუნდი ფლორენციაში გუშინ, ადგილობრივი დროით 19 საათზე უნდა ჩასულიყო, მაგრამ ძლიერი ქარის გამო, თვითმფრინავის მეთაურმა კურსის შეცვლა გადაწყვიტა და ქალაქ პიზას უახლოეს აეროპორტში დაეშვა. იქ ფეხბურთელები გარკვეული ხანი გაჩერდნენ და შემდეგ, ჩვეულებრივ ტურისტულ ავტობუსში ჩასხდნენ...

# კლუბში უკეთ, ვიდრე ნაკრებში... რატომ?

## მოსაზრება შერმადინის კარიერის შესახებ

12





ბაიერნს რიბერი უბრუნდება

# დღეს ოთხი მატჩია

## ჩემპიონს უკვე 5 ქულა აქვს გასაბათილებელი

## დღევანდელი ინტრიგები:

- დესპოტი ფელიქსი ბაიერნის წინააღმდეგ
- მოულოდნელი ლიდერი ჩემპიონისგან გამოცდას მიიღებს
- მშრალი ფორტუნა



8

# სამხრეთ აფრიკაში კლიჩკოს მძლეველი მოკლეს

## მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ერთმა ტყვიამ დაამარცხა



15

## ქართული ფეხბურთი

● ლეგიონერები

# ალექსანდრე ამისულაშვილი: ახლა გაიგეს, რაც ხდებოდა?!



**საქართველო შეძრულია ბოლო დღეებში გავრცელებული კადრებით, რაც ციხეებში პატიმრების გაუსაძლის მდგომარეობას ასახავს. პროფესიის, ეროვნების, სარწმუნოების მიუხედავად, უმრავლესობის პოზიცია ცალსახაა – ის, რაც ტელეეთერით ვიხილეთ, ქვეყნის სირცხვილია.**

პოზიცია სპორტსმენებმაც გამოხატეს. საქართველოს ნაკრების წევრი, რუსეთის "კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი** "ლელოს" დაუკავშირდა და პოზიცია დააფიქსირა:

- რაც მე კადრებში ვიხილე, ნორმალური ადამიანის წარმოდგენას სცილდება. აქამდეც მესმოდა, რომ საპატიმროებში მსგავსი საზიზღრობები ხდებოდა, მაგრამ ნანახმა შოკში ჩამაგდო. ასეთ რამეს ფაშისტები საკონცენტრაციო ბანაკებში არ სჩადიოდნენ. ვინ არის პასუხისმგებელი, მხოლოდ მინისტრი და სხვა არავინ? ეს უკვე არის "ბესპრედელი".

... გუნდში მეკითხებიან, რა ხდება საქართველოში, ეს რა უბედურება გჭირთ. გარეთ გასვლა მეზარება, არ მინდა კიდევ ვინმემ იგივე მკითხოს. პოლიტიკით არასოდეს დავინტერესებულვარ, ამის არც დრო მქონდა და არც სურვილი. მაგრამ სიმართლე ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას: ახლა ჩვენ ყველანი აღშფოთებულები ვართ. ასე გაგრძელება არ შეიძლება. მე ფეხბურთელი ვარ და პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ რაც ხდება, ეს პოლიტიკა აღარ არის და ჩვენს ღირსებასა და ქვეყნის მომავალს ეხება. თავს უფლება ამიტომაც მივეცი, რომ ამ თემაზე მელაპარაკა.

**- ითქვა, რომ ფეხბურთელებს გიორგი დემეტრაძის მონახულება სურთ.**

- ფეხბურთელებზე ხშირად ამბობენ, ხმას არ იღებენო. მაგალითად სწორედ დემეტრაძის დაკავება მოჰყავთ. ამ დროს ყოველთვის ვამბობდით, რომ გიორგის გათავისუფლებას ვემხრობოდით და ეს არასოდეს დაგვიმალავს.

იგივეს ვიტყვი კახა კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩთან დაკავშირებითაც: კახა დიდი ფეხბურთელი იყო და მან გაცილების საღამო თავად კი არ უნდა მოაწყოს, საქართველომ უნდა უძღვნას. თუ სურვილი ექნება, ამ მატჩში მეც სიამოვნებით ვითამაშებ. ჩვენ ბევრი არ გვყოლია დიდი ფეხბურთელი და ვისაც ხალხი გაუხარებია, ამ ქვეყნის შვილობა საამაყო გაუხდია, იმათ თუ არ მოვეფერეთ და არ დავაფასეთ, სხვაც არ დაგვაფასებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# გრიგალაშვილის დებიუტი და ნერგაძის ტიტული



**გუშინ შოთა გრიგალაშვილმა** ვლადიკავკაზის "ალანიას" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. ქართველი ნახევარმცველი სასტარტო თერთმეტეულში გაამწესეს, მისმა ახალმა გუნდმა კი შინ მახაჩყალის "ანჟისთან" 0:1 წააგო. გრიგალაშვილი 72-ე წუთზე შეცვალეს.

**გია ნერგაძემ** კი სამხრეთ აფრიკის "რვათა თასი" მოიგო. ამ გათამაშებაში ქვეყნის ჩემპიონატში რვა საუკეთესო ადგილზე გასული გუნდი მონაწილეობს. ნერგაძის "მოროკა სვალოვსმა" ფინალში "სუპერსპორტ იუნაიტედს" 2:1 სძლია. რაც მთავარია, ნერგაძემ მატჩის მე-18 წუთზე გოლი გაიტანა. მისი დარტყმა გამათანაბრებელი იყო, "მოროკამ" კი გამარჯვების გოლი შეხვედრის მიწურულს შეაგდო. ნერგაძემ შეუცვლელად ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ინტერვიუ

# შოთა გრიგალაშვილი: ალანიას დიდი პერსპექტივა აქვს

**ვლადიკავკაზის "ალანიას" ახალწვეულ შოთა გრიგალაშვილს კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა მცირე ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ქართველმა ნახევარმცველმა თავის პირველ შთაბეჭდილებებზე ისაუბრა. შეგახსენებთ, რუსულმა კლუბმა მას ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.**



- ნორმალურ განწყობაზე ვარ, მაგრამ ცოტათი გადავიღალე. რა თქმა უნდა, „ალანიას" ტრადიციების შესახებ ყველაფერი ვიცი. ჩრდილოეთ ოსეთი საქართველოდან ძალიან ახლოსაა. ვიცი, რომ ახლა კლუბი თავისი განვითარების ახალ ეტაპზეა და ეს დიდ პერსპექტივებს ნიშნავს.

**- „ალანიაში" ჩატარებულმა პირველმა ვარჯიშებმა როგორი შთაბეჭდილებები დაგიტოვათ?**

- ძალიან კარგი გუნდია! ვიმედოვნებ, რომ ერთად დიდ მიზნებს მივაღწევთ.

**- ახალ პარტნიორებთან როგორი ურთიერთობა დაამყარეთ?**

- ბიჭები გავიცანი და იმედი მაქვს, მათ მალე დავუახლოვდები.

**- „ანჟისთან" მატჩისთვის მზად ხართ?**

- ფიზიკურად მზად ვარ და მწვრთნელის გადასაწყვეტია, მათამაშებს თუ არა.

**- ყველაზე უკეთ რომელ პოზიციაზე თამაში გამოგდით?**

- ყველგან ვითამაშებ, სადაც საჭირო იქნება. ჩემთვის ყველაზე მთავარი გუნდის ინტერესებია. თუ საჭიროა, კარშიც ჩავდგები (იცინის).

**- საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩები რატომ გამოტოვეთ?**

- „ალანიაში" გადმოსასვლელად ვემზადებოდი და გარკვეული ფორმალობების მოგვარება იყო საჭირო.

**- რუსული ენა სად შეისწავლეთ?**

- თბილისში მოსკოვის პროსპექტზე ვცხოვრობ. იქ ძალიან ბევრი რუსია. ამის მიუხედავად, რუსულს კარგად ვერ ვფლობ და ცოდნის გაღრმავება აუცილებლად მომიწევს.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

● საქართველოს ჩემპიონატი




# რა ხდება სამსაჯო კორპუსში?

**საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში ბევრი ცნობილი არბიტრი არ მსაჯობდა. არის ინფორმაცია, რომ თასის ბოლო ფინალის, "ზესტაფონი"-"დილას" მატჩის არბიტრი ლევან კვარაცხელია საქმიანობას ჩამოაშორეს, რამდენიმე კი ახლახან დასაჯეს.**

ამ საკითხზე წინა კვირას ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტთა საბჭოს მორიგ შეხვედრაზე ილაპარაკეს. საერთოდ, ამ შეხვედრებზე ყოველთვის ვრცელდებოდა ცნობები, მაგრამ ამჯერად არანაირი ინფორმაცია არ ყოფილა და ეს ამბები ჩრდილში მოხვდებოდა, შემთხვევით რომ არ შეგვეტყო.

ფოთის "კოლხეთთან" მოგებული მატჩის შემდეგ რუსთავის "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტ **აკა ქავთარაძეს** დავეკითხეთ, რა ხდებოდა პრეზიდენტთა საბჭოს ბოლო სხდომაზე:

- საკითხი ეხებოდა მსაჯობასა და კონკრეტულ მსაჯებს. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი გამოცდილი არბიტრი ნელ-ნელა გვერდზე გაწიეს და მათ ნაცვლად, ახალგაზრდების დაწინაურება სურთ.

**- შეკრებაზე მართლა ითქვა, რომ ლევან კვარაცხელია წლის ბოლომდე არის დისკვალიფიცირებული? ამის თაობაზე ხმები კი ისმოდა, მაგრამ ოფიციალურად არაფერს ამბობდნენ.**

- როგორც ვიცი, კვარაცხელია წლის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია. ამას გარდა, დაისაჯნენ "ჩიხურა"—"სიონის" მატჩის მთავარი და მეოთხე არბიტრები. ბეუქლიშვილმა გამოაცხადა, რომ მანქანაში ფეხი ცუდად დადგა და კუნთი დაეჭიმა. ვერ გეტყვით, ეს რამდენად რეალურია. როგორც ითქვა, გარკვეული პერიოდით, 2 თუ 3 თვით არის დისკვალიფიცირებული. დაისაჯა ხეცაძეც, რომლის მიმართაც იყო გარკვეული პრეტენზიები.

ასევე ითქვა ისიც, რომ ახალი მსაჯების დაწინაურება დაიწყება. მაგალითად, "მეტალურგისა" და "კოლხეთის" შეხვედრა უმაღლეს ლიგაში ბუკიასთვის სადებიუტო იყო. გვითხრეს, შესაძლოა, შეცდომები ჰქონდეთ, მაგრამ შეგნებულად არავის მიემხრობიანო.

**- გამოცდილი მსაჯები ადრეც ამ მოტივით გაუშვეს... გუნდებისთვის მსაჯთა კორპუსის რადიკალურად შეცვლა მისაღებია?**

- ყოველ შემთხვევაში, დროა ცვლილებები დაიწყოს და საქმიდან ჩამოაშორეს ის მსაჯები, რომლებიც ხშირად იყვნენ ასოცირებული სადავო და საეჭვო მატჩებთან, ან პრეტენზიები იყო მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

**- საერთოდ, მიმდინარე ჩემპიონატში მსაჯობაზე რას იტყვით?**

- მსაჯობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, სტადიონებზე დაიდგმება დამატებით სამი კამერა, რომელიც თამაშგარე მდგომარეობებსა და სხვა სადავო ეპიზოდებს უფრო კარგად დააფიქსირებს. სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტილება მეორე წრიდან ამოქმედდება, რადგან გარკვეულ ფინანსურ საკითხებთან არის დაკავშირებული. თუმცა, ვისაც საშუალება აქვს, შესაძლოა, კამერები ახლავე დაამონტაჟოს. ეს იქნება ვალდებულება.

ქავთარაძემ "ჩიხურა"-"სიონის" მატჩში მომხდარი ამბავი ახსენა, რაზეც კომენტარი, "სიონის" გენერალურ დირექტორს, **ნუგზარ ლომთაძეს** ჩამოვართვით: *"არბიტრები მართლაც დასაჯეს. გადაწყვეტილება ვიდეოფირის ნახვის შემდეგ მიიღეს და ჩათვალეს, რომ პენალტები არასწორად დაინიშნა. მატჩის მთავარი არბიტრი ბეუქლიშვილი კი იმიტომ არის დისკვალიფიცირებული, რომ ფეხის ტრავმაზე მსაჯთა კორპუსს წინასწარ არაფერი აცნობა. რაც შეეხება წლევანდელი მსაჯობის შეფასებას, ამაზე მხოლოდ პრეზიდენტთა საბჭოზე ვიტყვით - შევთანხმდით, რომ მედიასთან ამ თემაზე არ ვილაპარაკებთ".*

**ბუბა ტყავაძე**, თბილისის "დინამოს" სპორტული დირექტორი: *"უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტთა საბჭოს შეხვედრებმა გარკვეული შედეგები უკვე გამოიღო და ეს ძალიან მახარებს. ვგულისხმობ თუნდაც მსაჯობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას - წლეულს საქმე უკეთესობისკენ წარიმართა. ყოველთვის ვამბობდი, რომ არბიტრებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ცუდი მსაჯობისთვის დაისჯებიან. არ მინდა იმის თქმა, რომ ეს იყო მიზანმიმართული ქმედებები. შესაძლოა, მიზეზი ზოგიერთის არასწორი, ან არაპროფესიონალური მიდგომა იყო, ზოგიც კარგად ვერ ემზადებოდა და ამას შეცდომები მოჰყვებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ მათი არასწორი გადაწყვეტილების გამო ბევრი გუნდი უსამართლოდ დასჯილა.*

*არადა, ხალხი ფეხბურთში არც ისე მცირე ფულს დებს, წვალობს, ემზადება, ზოგიერთი არბიტრი კი მათ ცუდ სამსახურს უწევს. კარგია, ფედერაცია იმ გზას რომ დაადგა, რაც ჩვენს ჩემპიონატში მდგომარეობას გამოასწორებს.*

*ბოლო შეკრებაზე მართალაც იყო ლაპარაკი რამდენიმე მსაჯზე. მათ შორის, "დილასა" და "დინამოს" მატჩის არბიტრი გიორგი ვადაჭკორიაც ახსენეს. მისი მისამართით შენიშვნები გამოითქვა, რადგან შეცდომები ჰქონდა.*

*სხვათა შორის, ერთ-ერთი თემა იყო საჩხერელთა მიმართვა - გუნდს საკუთარ სტადიონზე თამაში სურს. აქამდე კი "ჩიხურა" საშინაო შეხვედრებს სოფელ ივანწმინდას სტადიონზე მასპინძლობდა. ჯერ საჩხერეს სტადიონი სრულ მზადყოფნაში არ არის, მაგრამ თუ იქნება გარანტია, რომ უსაფრთხოების ნორმებს დაიცავენ და მატჩი ექსცესების გარეშე ჩატარდება, თბილისის "დინამო" მზად არის, 26 სექტემბერს ჩავიდეს საჩხერეში და იქ ითამაშოს".*

**მერაბ მამულაშვილი**

VI ტურის მიმოხილვა

# დათრგუნული ტური

## ანუ რა გვეფეხბურთებოდა?!.

...საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, არ დავმალავთ და ვიტყვით, რომ ჩვენთვისაც ძნელია კონკრეტული მატჩის გაშუქება თუ ტურის მიმოხილვა; დარწმუნებული ვართ, ანალოგიური განწყობა ექნებათ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა თუ მსაჯებს. ამიტომაც არ გაგვკვირვებია „ზესტაფონის“ ახალი მთავარი მწვრთნელის დავით მუჯირის სიტყვებიც, „დილასთან“ მატჩის შემდეგ რომ თქვა: რთული იყო ასეთ ვითარებაში ფეხბურთზე გვეფიქრა და შეხვედრისათვის ნორმალურად მოვმზადებულიყავითო; ეგ კი არა, რატომღაც გვგონია, რომ დებიუტანტი-მწვრთნელის პოზიციას მისი ბევრი კოლეგა თუ კლუბების ხელმძღვანელებიც გაიზიარებდნენ, მაგრამ „რა გვეფეხბურთებოდაო“, ხმამაღლა ეს არავის უთქვამს!.. ისე, როგორც არც ჩვენ და საერთოდ, ქართულ სპორტულ მედიას... თუმცა განსხვავებული აზრიც ბევრს ექნება და, შესაძლოა „დაგვისაბუთონ“ კიდეც: ის, რაც ბოლო დროს საქართველოში ხდება, ფეხბურთთან არანაირი შეხება არ აქვსო! ეგ კი არა, ასევე შესაძლოა ისიც „შეგვახსენონ“, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა), ეროვნული ჩემპიონატი საერთოდ არ შეჩერებულაო! მოკლედ, გვინდა თუ არა, მაინც მოგვიწევს გასული ტურის მოვლენებისა თუ ფაქტების აღწერა. არადა, „ნორმალური“ და მშვიდი სიტუაცია რომ ყოფილიყო, გვერწმუნეთ, არაერთი ღირშესანიშნავი ფაქტის დეტალური აღწერა მოგვიწევდა: მეექვსე ტურში ხომ გამოსარჩევი თუ განსაკუთრებული ბევრი რამ იყო. სამწუხაროდ, ამ მართლაც დათრგუნული ტურის წინ ძალიან ცუდი ამბავი მოხდა: ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა ფიფას ქართველი არბიტრის, ლევან მიქელაძის ორი მცირეწლოვანი შვილი, ხოლო მეუღლე უმძიმეს მდგომარეობაშია... „ლელოს“ სახელით ვუსამძიმრებთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ ლევან მიქელაძეს. სწორედ ამ საშინელი ტრაგედიის გამოც იყო, გასული ტურის შეხვედრები წუთიერი დუმილით რომ დაიწყო...

### შესაშური შედეგიანობა

ამ ტურამდეც ვერავინ იტყოდა, ჩემპიონატის სტარტზე დაბალი შედეგიანობა არისო; ყოველ შემთხვევაში, აქამდე ყოველ ტურში საშუალოდ 2 ან ოდნავ მეტი გოლი გადიოდა. ახლა კი მართლაც მშვენიერი მაჩვენებელი დაფიქსირდა: 22 გოლი! განსაკუთრებით კი, როგორც ლიდერებს შეეფერებოდათ, „დინამომ“ და „ტორპედომ“ გაილაღეს — მეტოქეთა კარში 5-5 გოლი რომ გაიტანეს. სხვათა შორის, **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ“ 5:0-ით ამ სეზონში უკვე მეორედ გაახარა თავისი ქომაგები; აი, **გია გეგუჩაძის** ერთიანად გაახალგაზრდავებული „ტორპედო“ კი კლუბის ისტორიაში შესვლას ცდილობს: ქუთაისელებმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს შთამბეჭდავი სხვაობით (4:0, 4:0, 5:1)!

### მითების მსხვრევა

საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში თბილისის „დინამოს“ თუ ვინმე ჰყოლია ყველაზე უხერხული მეტოქე, უპირველესად „ვიტ ჯორჯიაზე“ ითქმის. ამ ორი გუნდის ურთიერთდაპირისპირეზე დამარცხდა **რამაზ მუმლაძის** „ვიტ ჯორჯიასთან“. თუმცა დღეს „ვეტერინარებს“ აღარც ამბიციური გუნდი ჰყავთ და სამწუხაროდ, მიზნებიც მოკრძალებული აქვთ. აი, „დინამომ“ კი წინა ტურში მარცხის მერე სრული რეაბილიტაცია მოახდინა და ერთიმეორეზე უკეთესი გოლებით გაანებივრა გულშემატკივრები. 32 წლის **ჩისკოს** „სტანდარტული“ ხომ ოსტატობის ნიმუში იყო, 33 წლის **გივი კვარაცხელიას** „მაკრატელას“ კი, საერთოდ, „სეზონის საუკეთესო გოლზე“ უნდა ჰქონდეს პრეტენზია! ცალკე აღნიშვნის ღირსია 26 წლის **გიორგი მერებაშვილის** შედეგიანი თამაშიც — შეცვლაზე შემოსულს, 16 წუთი რომ ეყო „დუბლის“ შესასრულებლად...

### ხვალინდელი დღე

21 წლის **ნიკა საბანაძის**, 20 წლის **გიორგი კუხიანიძის**, ასევე 20 წლის **ლაშა შერგელაშვილისა** და 18 წლის **გიორგი ფანცულაიას** გოლებით „ტორპედომ“ მორიგი სიამოვნება მიანიჭა ქუთათურ ქომაგებს. აი, ასე — უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ გია გეგუჩაძე ერთობ სიმპათიურ გუნდს აყალიბებს, სადაც სამი-ოთხი პოზიციის გარდა, წინა პლანზე 19-20 წლის ბიჭები გადაანოდა; მერებაშვილი, ფანცულაია, ნოზაძე, სიხარულიძე, — ყველა ამ ფეხბურთელმა თავი შეცვლაზე შემოსულმა გამოიჩინა, ისე როგორც 28 წლის **შოთა ლომიამ** („ზუგდიდი“). აქვე, კიდევ ერთი ფეხბურთელიც უნდა ვახსენოთ - 24 წლის **ირაკლი კლიმიაშვილს** მართალია გოლი არ გაუტანია, მაგრამ ტურის ცენტრალურ დაპირისპირებაში („ზესტაფონი“-„დილა“) შეცვლაზე ერთობ აქტიურად შემოვიდა და მისი დამსახურებაც არის, „დილამ“ ზედიზედ მეორე უმნიშვნელოვანესი მატჩი რომ მოიგო.

### ახალი სახეები და დინასტიები

შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, რომ უმაღლეს ლიგაში (პრემიერლიგაში) ამა თუ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელის დებიუტი არ გამოგვრჩეს. აი, მაგალითად, სწორედ გასულ ტურში ჰქონდა დებიუტი ბათუმის „დინამოს“ 22 წლის ახალწვეულს **ირაკლი კვეკვესკირს** — ეს ფეხბურთელი ბოლო წლებში უნგრეთში ასპარეზობდა, მანამდე კი — რუსეთში. დებიუტანტი ნამდვილად არ ეთქმის 27 წლის **ვასილ ლუჟაშვილს**, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს რამდენიმეწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა და ფოთის „კოლხეთში“ ჩაირიცხა. ისე, დრო იყო, ლუჟაშვილი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების შეუცვლელი ფეხბურთელი გახლდათ და სპეციალისტებიც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ...



დინამო-ვიტ ჯორჯია 5:0

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ბათა ისტორია სათავეს 1998 წლის დასაწყისიდან იღებს და იქიდან მოყოლებული დღემდე მხოლოდ ერთადერთხელ (!) მოხდა, როცა ერთი სეზონის განმავლობაში „დინამომ“ ქულათა მაქსიმუმის აღება შეძლო „ვეტერინარებთან“. ჰო, მხოლოდ 1998-99 წლების სეზონში იყო, „დინამომ“ ორივე მატჩი რომ მოუგო „ვიტ ჯორჯიას“, აი, იმის მერე კი ძალთა აშკარა თანაფარდობასთან გვქონდა საქმე. ერთ „საინტერესო“ ფაქტ(ებ)საც გაგახსენებთ. უკანასკნელი საჩემპიონო ტიტული „დინამომ“ 2007-08 წლების სეზონში მოიპოვა მართლაც ჩინებული შედეგით. თავად განსაჯეთ: გუნდმა მხოლოდ ერთი მატჩი დაამთავრა ფრედ, ორი წააგო, დანარჩენი კი მოიგო! ჰოდა, დინამოელებმა ის ერთადერთი ფრე... „ვიტ ჯორჯიასთან“ ითამაშეს (სტუმრად), ორიდან ერთი მარცხი კი ასევე „ვიტ ჯორჯიასთან“ იწვნიეს! სხვათა შორის, ის საჩემპიონო სეზონი „დინამომ“ შთამბეჭდავად დაიწყო, ზედიზედ რვა მატჩი მოიგო და მერე, საკუთარ მოედანარიან. აქვე, საინტერესო დეტალიც: საბანაძე და ფანცულაია ფორვარდები არიან, კუხიანიძე — შემტევი ნახევარმცველი, აი, შერგელაშვილი კი ამპლუით... მარცხენა მცველი, თუმცა ამ ახალგაზრდა ბიჭმა ბათუმის „დინამოსთან“ მატჩში „დუბლი“ შეასრულა!

### შეცვლების ფასი

**გიორგი მერებაშვილი** შეცვლაზე შემოვიდა და მეტოქის კარში 2 გოლი გაიტანა; **გიორგი ფანცულაიაც** მოედანზე წამების შემოსული იყო, უმაღლეს ლიგაში თავის მეორე (ამ სეზონში — პირველი) გოლი რომ გაიტანა; თუმცა, ეს არასრული ჩამონათვალია: „მერანის“ ახალწვეულის, 25 წლის **ნოდარ ნოზაძის** ზუსტმა დარტყმამ მარტვილელებს 3 ქულა მოუტანა! „კოლხეთთან“ მატჩში თავი გამოიჩინა „მეტალურგის“ ფორვარდმა, 22 წლის **ირაკლი სიხარულიძემ** — ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი თანაგუნდელ **გიორგი მიქაბერიძეს** საგოლე პასი

დაბოლოს, ახალგაზრდა... მსაჯზეც: **გოგა კიკაჩეიშვილი** უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებს და აქამდე 2 მატჩის გაძღოლაც მიანდეს. თუმცა, 22 წლის არბიტრს 2012 წლის 22 სექტემბერი ალბათ, არასდროს დაავიწყდება: ტურის ცენტრალურ მატჩს („ზესტაფონი“-„დილა“) სწორედ იგი გაუძღვა და ვფიქრობთ, ურიგოდ არ უმსაჯია (მით უფრო, ასაკისა და გამოცდილების გათვალისწინებით). მოკლედ, ქართული სამსაჯო დინასტიები გრძელდება: მამაშვილი **ფანიაშვილების, სილაგავების, კვარაცხელიების, მენთეშაშვილების** და **ასკაროლლებისგან** „ესტაფეტას“ უმცროსი **კიკაჩეიშვილები, ჩიგოგიძეები** და ელიკაშვილები იბარებენ...

**გია ტუხაშვილი**

## VI ტურის სიმბოლური ნაკრები




| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 6 | 5 | 0 | 1 | 17 | 4 | 15 |
| 2 | ტორპედო | 6 | 5 | 0 | 1 | 17 | 4 | 15 |
| 3 | ჩიხურა | 6 | 4 | 0 | 2 | 10 | 8 | 12 |
| 4 | მეტალურგი | 6 | 4 | 0 | 2 | 6 | 6 | 12 |
| 5 | მერანი | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 6 | ზუგდიდი | 6 | 2 | 3 | 1 | 7 | 4 | 9 |
| 7 | ზესტაფონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5 | 4 | 7 |
| 8 | დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 7 | 7 |
| 9 | სიონი | 6 | 1 | 3 | 2 | 7 | 8 | 6 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 6 | 1 | 2 | 3 | 2 | 8 | 5 |
| 11 | კოლხეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2 | 12 | 2 |
| 12 | დინამო (ბთ) | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 14 | 2 |

ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დვალი (დინამო) | 4 |
| ჩისკო (დინამო) | 4 |
| ჯიქია (სიონი) | 4 |
| ალვარო (დინამო) | 3 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 3 |
| ოდიკაძე (ჩიხურა) | 3 |
| საბანაძე (ტორპედო) | 3 |
| კუხიანიძე (ტორპედო) | 3 |

### VII ტური

**26 სექტემბერი, ოთხშაბათი**

დინამო (ბთ)-მერანი
კოლხეთი-ტორპედო
დილა-მეტალურგი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
ჩიხურა-დინამო (თბ)
სიონი -ზუგდიდი

## ამონარიდი რეგლამენტიდან

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოენყობა კენჭისყრა.

---

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა კორპუსი მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ფიფას მსაჯს ლევან მიქელაძეს მცირეწლოვანი შვილების ნინოს და ბარბარეს და ცოლისდის თამუნას ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

*დაკრძალვა სამშაბათს 25 სექტემბერს, 14 საათზე.*
*მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი, ქერჩის ქ. №1 (პოლიციის აკადემიასთან).*

---

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა თანაგრძნობას უცხადებს საერთაშორისო კატეგორიის ასისტენტს ფეხბურთში ლევან მიქელაძეს შვილების ბარბარესა და ნინოს გარდაცვალების გამო.

---

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ ღრმა სამძიმარს უცხადებს ფიფას არბიტრს ლევან მიქელაძეს ავტოავარიაში ორი მცირეწლოვანი შვილისა და ცოლისდის დაღუპვის გამო.

---

საფეხბურთო კლუბი ცხინვალის "სპარტაკი" ღრმა მწუხარებას აცხადებს ფიფას ასისტენტის, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კომიტეტის ინსპექტორის ლევან მიქელაძის მცირეწლოვანი შვილების

ავტოკატასტროფაში ტრაგიკული დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულთა ოჯახს.

ინტერვიუ

"ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში ბოლო დროს ბევრი ახალგაზრდა დაწინაურდა და მათი უმრავლესობა ამ გამოცდას თავს წარმატებითართმევს. ქუთაისელთა ერთ-ერთი გამორჩეული დებიუტანტი ლაშა შერგელაშვილია. მართალია, უმაღლეს ლიგაში მისი დებიუტი გასულ სეზონში შედგა, მაგრამ ძირითადში დამკვიდრების რეალურ პრეტენზიას ახლა აცხადებს. ეროვნული ჩემპიონატის გასულ ტურში, ბათუმის "დინამოსთან" მატჩში 20 წლის მცველმა დუბლი შეასრულა – ორივე გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა.

ყოველივე ეს კი საკმარისზე მეტი მიზეზიც კი არის იმისთვის, რომ მასთან ინტერვიუ შემოგთავაზოთ.



# ლაშა შერგელაშვილი: გეგუჩაძესთან გატარებული წლები არასდროს დამავიწყდება

**– "ტორპედოში" როგორ აღმოჩნდი?**

– საფეხბურთო სკოლა "ავაზას" აღზრდილი ვარ, რის შემდეგაც "ტორპედოს" დუბლშემადგენლობაში გადავედი. ძირითად გუნდში კი გია გეგუჩაძემ გადამიყვანა.

**– როგორც ვიცით, ადრე ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდი.**

– ასე იყო, ჩემი მცველად გადაყვანა კი გია გეგუჩაძის გადაწყვეტილებაა და ვფიქრობ, ამ ნაბიჯმა სრულიად გაამართლა.

**– ალბათ, ბათუმის "დინამოსთან" ჩატარებული მატჩი გამორჩეულია შენს კარიერაში.**

– დიახ, ჯერჯერობით, ასეა, მაგრამ იმედი მაქვს, უფრო წარმატებული შეხვედრები წინ მაქვს. მოხარული ვარ, "ტორპედოს" სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი რომ მომეცა. ბევრს არაფერს ნიშნავს ის ფაქტი, რომ ახლა ვითამაშე ძირითადში, მთავარია, იმდენს მივაღწიო, რომ სასტარტოში სტაბილურად მოვხვდე. საამისოდ ძალღონეს არ დავიშურებ. ბათუმის "დინამოსთან" თამაში კი მართლაც კარგად გამომივიდა და მოხარული ვარ, "ტორპედოს" გამარჯვებაში წვლილი ჩემი გოლებით რომ შევიტანე.

**– უმაღლეს ლიგაში დებიუტისას თუ შეგხვდა რაიმე სიძნელე?**

– არაფერი განსაკუთრებული. უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს ალლო საკმაოდ ადვილად ავუღე, დროთა განმავლობაში გამოცდილებაც მომემატება და ნელ-ნელა იმ დონეს მივაღწევ, როგორიც საკუთარ თავს მიზნად დავუსახე.

**– როგორც ჩანს, არც "ტორპედოსთან" ადაპტაცია გაგჭირვებია.**

– აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, რადგან ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ფეხბურთელმა თავის საქმეზე იფიქროს და გუნდს სარგებლობა მოუტანოს. "ტორპედო" ძალიან მეგობრული გუნდია, ყველა ერთმანეთს უდგას მხარში. გეგუჩაძესთან მუშაობა კი ნებისმიერი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის უდიდესი გამოცდილებაა. მომავალში, სადაც უნდა მოვხვდე და ვითამაშო, მის გვერდით გატარებული წლები არასდროს დამავიწყდება და მუდამ მისი მადლიერი ვიქნები.

**– რომელი ფეხბურთელია შენთვის მისაბაძი?**

– მარცხენა მცველებიდან ბრაზილიელ მარსელოს გამოვარჩევდი, მაგრამ მისაბაძი მაგალითი ნამდვილად არ მყავს. არ მინდა, ვინმეს ვგავდე.

**– ფეხბურთისგან თავისუფალ დროს რას უთმობ?**

– მშვიდ დასვენებასა და მუსიკის მოსმენას ვამჯობინებ.

**– შენი კარიერის მთავარი ოცნება რა არის?**

– შორეულ მიზნებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, დღეს კი მთელი ჩემი ოცნებები "ტორპედოს" უკავშირდება. მინდა, ჩვენი გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ჩამოვყალიბდე, "ტორპედოსთან" ერთად საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი გავხდე და წარმატებით ვითამაშო ევროტურნირებზე. რაღა თქმა უნდა, ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი ნატვრა საქართველოს ნაკრებში მოხვედრაცაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# ჩემპიონატი კიდევ ერთხელ გადაიდო

## არჩევნებს დაველოდებით, იბერია კი ნაკრებს ესპარინგება

ჯერ კიდევ ზაფხულში ითქვა, რომ რუსთავის "მეტალურგი" საკუთარ გუნდს ფუტსალის ჩემპიონატშიც წარადგენდა. მაგრამ საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ საიუბილეო მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდები დაასახელა და მათ შორის რუსთაველები არ იყვნენ.

*"ასეთი სურვილი ნამდვილად გვქონდა, ვილაპარაკეთ და ჯერჯერობით ეს თემა შეჩერებულია, რადგან ინტერესი უმაღლესი ლიგის სხვა კლუბებს არ გამოუხატავთ. ჩვენი თავშეკავება იმან გამოიწვია, რომ ძნელია უცებ ჩამოაყალიბო კლუბი, რომელიც ფუტსალის ჩემპიონატის ლიდერებს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს. ჯერ არც მწვრთნელის კანდიდატურა გვყავს და არც შემადგენლობა. ტყუილად რომ გასულიყვნენ და დიდი ანგარიშებით წაეგოთ, ამით კლუბის იმიჯი შეილახებოდა"* – გვითხრა "მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტმა **აკა ქავთარაძემ**.

"მეტალურგის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრი გახლავთ და გვითხრა, რომ ეროვნული ჩემპიონატის დაწყება კიდევ ერთხელ გადაიდო: *"ტურნირი ჯერ 23 სექტემბერს უნდა დაგვეწყო, შემდეგ კი 27-ში გადავწყვიტეთ. მაგრამ ახლა შევთანხმდით, რომ არჩევნების შემდეგ 10 დღეში აილოს სტარტი. ყველამ იცის, რა მდგომარეობაც არის ქვეყანაში და ვამჯობინეთ, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დავიწყოთ. ერთი ტურის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა. აქვე გეტყვით, რომ გვინდა, "იბერია სტარს" ელიტ რაუნდისთვის მზადებაში ხელი შევუწყოთ. თამაშები სპორტის სასახლეში 10, 11 და 13 ოქტომბერს გაიმართება. საამისოდ, საქართველოს ნაკრებიც შეიკრიბება და ჩვენს ჩემპიონს სპარინგის საშუალება მაინც ექნება".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფრაგმენტი ჩემი კარიერიდან

# მესხი, ფომენკო და, რა თქმა უნდა, შევარდნაძე

**ლანჩხუთის** "გურიამ" ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის საგზური, ეს ძალიან დიდი მიღწევა იყო. საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ქვეყანა იყო და პატარა საქართველოს პატარა პერიფერიის გუნდმა საუკეთესოთა შორის მოხვედრა ორჯერ მოახერხა. პირველად 1986 წელს მიაღწია ამ წარმატებას "გურიამ", მეორედ კი 1989 წელს, თუმცა მეორე ჯერზე ვეღარ მოახერხა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში თამაში – ქართული ფეხბურთი საბჭოთას გამოეყო და 1990 წლიდან საქართველომ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება დაიწყო.

1989 წლის "გურიაში" არაერთი მართლაც კარგი ფეხბურთელი თამაშობდა, მათ შორის ოთარ კორღალიძე. რბილი მანერით მოთამაშე, ტექნიკური შემტევი, ვისაც თამაშის წაყვანაც ეხერხებოდა, ბურთის დაჭერაც და გოლის გატანაც. კორღალიძე მანამდე თბილისის "დინამოში" და ქუთაისის "ტორპედოში" თამაშობდა.

ლანჩხუთის "გურიამ" დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჯერჯერობით ის მოახერხა, რომ ერთხელ ასწია საქართველოს თასი. ბოლო წლებში "გურია" მოწინავეთა შორის აღარ არის, ამ დროისთვის პირველ ლიგაში თამაშობს. არადა, იყო დრო, რომ "გურიას" დიდი სიხარული მოჰქონდა ქართველი გულშემატკივრებისთვის...

"გურიას" ძველ ამბებს **ოთარ კორღალიძე** იგონებს...

**დავით თავართქილაძე**



ოთარ კორღალიძე (წინა პლანზე) „გურიას" შემადგენლობაში 1990 წელს საქართველოს თასი მოიგო

უმაღლეს ლიგაში გადმოსვლა 1988 წელსაც შეგვეძლო, მაგრამ მიზნამდე ცოტაღა დაგვაკლდა. ლანჩხუთის "გურიას" მაშინ უკრაინელი სპეციალისტი **მიხეილ ფომენკო** წვრთნიდა. იმ პერიოდში თითქმის ყველა მწვრთნელს **ვალერი ლობანოვსკის** სტილი ჰქონდა. მუშაობის სტილით, ქცევით, ცხოვრების წესით ფომენკო ყველაფერში ლობანოვსკის ბაძავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ფომენკო ფეხბურთელებს სრულ თავისუფლებას გვაძლევდა, არანაირი მკაცრი კონტროლი არ ყოფილა. მაშინდელი "გურიას" ბირთვს 30 წელს მიღწეული ფეხბურთელები შევადგენდით და ვიღაცის თავზე დადგომა ნამდვილად არ გვჭირდებოდა. ფომენკოს კარგი ვარჯიშები ჰქონდა, რაც შეეხება თეორიულ მეცადინეობას, აქცენტი სულ ბრძოლაზე კეთდებოდა. ჰოდა, ერთხელაც უმცროსმა **მიშა მესხმა** უთხრა, რა ამბავია ამდენი ბრძოლა, ფეხბურთი როდისღა უნდა ვითამაშოთო.

"გურიაში" მაშინ მართლაც კარგი პლეადა იყო: **მესხი, მერაბ ჟორდანია, გია გურული, ბადრი დანელია, ბესიკ ფრიდონაშვილი, გია ტყებუჩავა, დათო ცომაია, მერაბ თევზაძე**...იყვნენ სხვა რესპუბლიკიდან მოწვეული ფეხბურთელებიც: **ოლიფერენკო** და **ხლუსი.**

ვის მიყავდა თამაში "გურიაში"? ისეთი გუნდი გვყავდა, რომ ყველა ლიდერი იყო, ყველას შეეძლო თამაშის საკუთარ თავზე აღება.

ჩვენი მთავარი კონკურენტი იმ პერიოდში მოსკოვის ცსკა იყო, 1988 წელს გადამწყვეტ შეხვედრაში მოსკოველებმა 5:2 მოგვიგეს...

ლანჩხუთში ძალიან მაგარი გულშემატკივრობა იყო, ბილეთები არ იშოვებოდა. მაშინ ფეხბურთელებს გვირიგებდნენ რამდენიმე ბილეთს და მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ გულშემატკივრებს ფანჯრიდან ვაწვდიდით ბილეთებს. საშინაო მატჩებზე მხოლოდ ლანჩხუთელი ქომაგი როდი მოდიოდა, სხვა რეგიონებიდანაც დადიოდნენ ლანჩხუთში "გურიას" საგულშემატკივროდ. სტადიონი 22 ათასს იტევდა და თითქმის სულ გადაჭედილი იყო. არ მახსოვს, რომ მაშინ "გურია" საკუთარ მოედანზე დამარცხებულიყო.

...ძველი ამბავი არ არის. ტელევიზიაში გახლდით მიწვეული საფეხბურთო გადაცემაში და "ზესტაფონის" წარმომადგენელმა განაცხადა, ქუთაისის "ტორპედოს" და ლანჩხუთის "გურიას" მძლავრი ქართული კლუბები ჩაყლაპავენო. რა თქმა უნდა, ასეთ შეხედულებას არ ვეთანხმები, როგორ შეიძლება, რომ "ზესტაფონმა" ისეთი ტრადიციული კლუბები ჩაყლაპოს, როგორიც "გურია" და "ტორპედო" არიან?! ფაქტია, რომ ახლანდელი ქუთაისის "ტორპედო" ძალიან კარგი გუნდია და კიდევ ექნება წინსვლა. ტრადიცია ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია. ტრადიციულ კლუბებში სულ იქნება მძლავრი საფეხბურთო კერა.

ლანჩხუთის "გურიას" წინსვლას საფუძველი **ევგრაფი შევარდნაძემ** ჩაუყარა. საბჭოთა კავშირის მეორე ლიგიდან პირველში "გურია" 1979 წელს გადავიდა. გადამწყვეტი მატჩი "გურიას" ყაზანში ჰქონდა "რუბინთან," სწორედ მაშინ იყო, **ამირან სევასტოპულომ** ხელით რომ აართვა ბურთი მეკარეს და გოლი გაიტანა, მსაჯმა ის ბურთი ჩათვალა. მაშინ "გურიას" ფეხბურთელი კი ვიყავი, თუმცა იმ თამაშზე ყაზანში არ ვყოფილვარ.

"გურიაში" 1977 წელს მივედი თბილისის "დინამოს" დუბლებიდან. მაშინაც შესანიშნავი ფეხბურთელები დამხვდნენ გუნდში: **მერაბ მეგრელაძე, თემურ ჩხაიძე, გიგლა იმნაძე, ბესო მჭედლიშვილი**..ძნელი იყო ასეთი გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა.

მაშინ "გურიას" სტადიონი 8 ათას კაცს იტევდა, ახალი სტადიონი კი 1986 წელს აშენდა. იმ პერიოდში ჩადგა მწყობრში გრიგოლეთის შესანიშნავი ბაზაც.

"გურია" მართლაც გამორჩეული გუნდი იყო, იქ არ იყო არანაირი ინტრიგები. რაც "დინამოში" და სხვა ქართულ გუნდებში სუფევდა. "გურიაში" ასეთი რამეები არ ხდებოდა. ძალიან მეგობრული გუნდი ვიყავით. ფეხბურთელები ბაზაზე ვცხოვრობდით და ყველგან ერთად დავდიოდით. სადილის დრო რომ მოატანდა, ლანჩხუთის "ატეკაში" მივდიოდით, ამ ორგანიზაციის დირექტორი ხომ ევგრაფი შევარდნაძე იყო. "ატეკის" სასადილოში მართლაც სანაქებოდ იყო მოგვარებული ყველაფერი, განთქმული მზარეულიც ჰყავდა იმ სასადილოს, "სინოს" ყველა იცნობდა...

მაშინ ისე იყო საქმე მოწყობილი, რომ "გურიაში" ფეხბურთელებს უფრო მეტი ხელფასი ჰქონდათ, ვიდრე თბილისის "დინამოში". სხვაობა დიდი არ იყო, მაგრამ მაინც... ეს იმიტომ ხდებოდა, რომ რეგიონში ჩასული ფეხბურთელისთვის იქაურ გუნდში თამაში მიმზიდველი ყოფილიყო.

კარგია, რომ ამ ბოლო დროს ლანჩხუთის ფეხბურთში სასიკეთო ძვრებია, გუნდი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის იბრძვის. ტრადიციული კლუბი რაღაც გზას აუცილებლად იპოვის...



ლანჩხუთის "გურიას" წინსვლას საფუძველი ევგრაფი შევარდნაძემ ჩაუყარა



იმედო დუნდუა (მარცხნივ) და მიხეილ ფომენკო

ინგლისი. პრემიერლიგა. V ტურის შეჯამება

# გედების გაჭირვება

## და არსენალი, როგორც ცხრათავა გველეშაპი

"სუონსიმ" პრემიერლიგა ისე დაიწყო, რომ გვეგონა, შარშანდელივით გაგვაოცებდა. პირველი ორი ტურის დადებითი შთაბეჭდილება მალევე გაგვიცრუვდა. მიკაელ ლაუდრუპის შეგირდებმა ზედიზედ მესამე მოუგებელი თამაში ჩაატარეს. აქედან ბოლო ორში გოლიც კი არ გაუტანიათ. აშკარაა, რომ სერიოზულმა საკადრო გადაადგილებებმა გუნდს თავისი კვალი მაინც დაატყო. "გედების" შარშანდელმა ნახევარდაცვამ "ლიბერთი სტედიუმი" მთლიანად დატოვა, ახალწვეულები კი მათ შესაცვლელად მზად არ აღმოჩნდნენ. მით უმეტეს, რომ ისინი სულ სხვა ჩემპიონატებიდან მოვიდნენ. ვერ გეტყვით, მოახერხებს თუ არა დანიელი სპეციალისტი გუნდში ნერვიული ფონის შემცირებას, მაგრამ ცხადია, რომ მას ამ საქმისთვის ხელის მოკიდება მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თანამდებობის დატოვება მალევე მოუწევს. კარგი სტარტი არგუმენტად დიდხანს ვერ გამოდგება.

### არსენის ტაქტიკური არსენალი

"არსენალის" სატრანსფერო პოლიტიკაზე დიდხანს შეიძლება ლაპარაკი. დიახ, ჩრდილოლონდონელთა გულშემატკივრები ხანდახან ხუმრობენ ხოლმე, რომ ჩვენი გუნდი სხვა გრანდებისთვის ფარმკლუბად გადაიქცაო. ხანდახან მართლა რჩება შთაბეჭდილება, რომ **არსენ ვენგერი** ფეხბურთელებს სხვებს უზრდის. რაც უნდა ვთქვათ, ფრანგი ყოველთვის ახერხებს ღირსეული პასუხის გაცემას ყველა შეკითხვაზე. თუ ხმამაღლა არა, თამაშით მაინც. ამის დასტურია ბოლო წლების პრაქტიკა. "არსენალმა" მსოფლიო ფეხბურთის მთელი თანავარსკვლავედის წასვლა გადაიტანა და ასე თუ ისე, ჩემპიონობის პრეტენდენტად მუდმივად რჩება. ახლაც ასეა. "მანჩესტერ სიტის" დედაქალაქელებმა სწორედ რეზერვის დროულად ჩართვით აჯობეს და როცა დასჭირდათ სრული უპირატესობაც მოიპოვეს მეტოქესთან. აი, რა თქვა მატჩის შემდეგ "მეთოფეთა" ლეგენდარულმა დამრიგებელმა:

- შედეგით კმაყოფილი ვარ. ერთი ქულა ის მინიმუმი იყო, რასაც ამ შეხვედრაში ვიმსახურებდით. ასევე კმაყოფილი ვარ თამაშის ხარისხით და ფეხბურთელების მონდომებით, თუმცა, ვფიქრობ, რომ ცოტა მეტის მიღწევაც შეგვეძლო. განსაკუთრებით გული დამწყდა მეორე ტაიმში ჟერვინიოს მომენტზე. იმედი მაქვს, რომ ამ შედეგის მერე ჩემს ფეხბურთელებს საკუთარი ძალის რწმენა უფრო განუმტკიცდებათ. აშკარად ჩავვარდით ლესკოტის გოლის მომენტში, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ "სიტი" ის გუნდია, რომელსაც სტანდარტული მდგომარეობებიდან გოლები ყველაზე ხშირად გააქვს. ამ დროს მცველების გარდა ვიტო მანონეც შეცდა, თუმცა მისი თამაშით საბოლოოდ მაინც კმაყოფილი დავრჩი. მე მომწონს ეს ბიჭი.

### დი მატეო ვეტერანებს არ უარყოფს

საინტერესო იყო, რომ "ჩელსის" "სტოკთან" შეხვედრაში ძირითადში არც **ჯონ ტერი** ჰყავდა და არც **ფრენკ ლემპარდი**. ჟურნალისტებმა იტალიელი სპეციალისტისგან ახსნა-განმარტება მოითხოვეს. აი, რას ამბობს "ლურჯების" დამრიგებელი: "ეს არაფერს ნიშნავს. ვეტერანების სკამზე დასმა მხოლოდ აუცილებელი როტაციაა. ჩემს განკარგულებაში დიდებული შემსრულებლები არიან და სწორედ ამის წყალობაა, რომ შემადგენლობის გადახალისების საშუალება მეძლევა. მჭიდრო გრაფიკის გამო ამის გაკეთება მომავალშიც მოგვიწევს. სეზონის განმავლობაში ძალების რაციონალურად გადასანაწილებლად ეს ერთადერთი გზაა".

**ბომბარდირები:**

5 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი),

4 - **სტივენ ფლეტჩერი** (სანდერლენდი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი), **დემბა ბა** (ნიუკასლი), **რიკი ლამბერტი** (საუთჰემპტონი);

3 – **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **ბობი ზამორა** (ქუინზ პარკი), **კევინ ნოლანი** (ვესტ ჰემი), **დემიენ დაფი** (ფულჰემი), **მარუან ფელაინი** (ევერტონი)

**ასისტენტები:**

4 - **ედენ აზარი** (ჩელსი);

3 - **უეინ რუტლეჯი** (სუონსი), **ბრაიან რუისი** (ფულჰემი);

2 –**კრის ბრანტი** (ვესტ ბრომვიჩი), **სებასტიან ლარსონი** (სანდერლენდი), **ადამ ლალანა** (საუთჰემპტონი), **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი), **ნათან დაიერი** (სუონსი), **რიკარდუ ვას ტე** (ვესტ ჰემი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **სანტი კასორლა** (არსენალი), **სტივენ პიენაარი** (ტოტენჰემი)

**გოლი+პასი:**

5 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი) - 4+1, **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 5+0, **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი) – 4+1, **რიკი ლამბერტი** (საუთჰემპტონი) – 4+1, **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 3+2, **ედენ აზარი** (ჩელსი) – 1+4;

4 - **ნათან დაიერი** (სუონსი) – 2+2, **უეინ რუტლეჯი** (სუონსი) – 1+3

**გაფრთხილებები:**

3 - **მარტინ შკრტელი** (ლივერპული), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **ერიკ ლიშაი** (ასტონ ვილა), **ჯეიმს მაკარტური** (უიგანი), **ანხელ რანხელი** (სუონსი);

2 – **კირან კლარკი** (ასტონ ვილა), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ბრედ გუზანი** (ასტონ ვილა), **დავიდ ლუისი** (ჩელსი), **პოლ სქოულზი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **ეშლი უილიამსი** (სუონსი), **ხავი გარსია** (მანჩესტერ სიტი), **მარუან ფელაინი** (ევერტონი), **კარიმ ელ-აჰმადი** (ასტონ ვილა), **ჯეიმს კოლინზი** (ვესტ ჰემი), **უინსტონ რიდი** (ვესტ ჰემი), **ფილ ნევილი** (ევერტონი)

**გაძევებები:**

**კირან კლარკი** (ასტონ ვილა), **ჩიკო** (სუონსი), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ჯონჯო შელვი** (ლივერპული), **პიტერ ოდემვინგე** (ვესტ ბრომვიჩი), **ტომ ჰადლსტოუნი** (ტოტენჰემი), **დანიელ აგერი** (ლივერპული), **ნათან დაიერი** (სუონსი)



მიკაელ ლაუდრუპს ბევრი საფიქრალი დაუგროვდა

სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **დემიენ დაფი** (ფულჰემი)
2. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
3. **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)
4. **ბრანისლავ ივანოვიჩი** (ჩელსი)
5. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნ.)

**ზოგადი სტატისტიკა დღისთვის:**

49 მატჩი
32 მოგება
17 ფრე
27 მშრალად შენახული კარები
137 გოლი
701 ზუსტი დარტყმა კარებში
533 აცილება
387 ფეხბურთელი
64 ეროვნების მოთამაშე
1 ჰეთთრიკი
123 ყვითელი ბარათი
8 წითელი ბარათი
1 737 256 ფანი ტრიბუნებზე

**ტურის გმირი**

ცოტა უცნაური ტური იყო. არც ერთ ფეხბურთელს დიდად თავი არ გამოუჩენია. ცენტრალურ მატჩებსაც კი არ ჰყოლიათ გამოკვეთილი გმირი და შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ ტურის გმირის "წოდება" არავისთვის გადაგვეცა.

**ტურის მწვრთნელი**

**ნაიჯელ ედკინსი** (საუთჰემპტონი) – 47 წლის სპეციალისტს პრემიერლიგაში გუნდის გაძღოლის პრაქტიკა არასოდეს ჰქონია და როცა ამის შანსი მიეცა, ბედშავს, პირველ ოთხ ტურში შარშანდელი ჩემპიონატის სამი საუკეთესო გუნდი – "მანჩესტერ სიტი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი" დაუპირისპირდა. "წმინდანებმა" სცადეს ბრძოლა და ეს "მეთოფეების" გარდა ყველასთან გამოუვიდათ. და აი, ზღვისპირელებს პირველად მოუხდათ "თანატოლთან" ჭიდაობა. მასპინძლებმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს.

**მომდევნო ტური:**

**29 სექტემბერი:** არსენალი-ჩელსი, ევერტონი-საუთჰემპტონი, ფულჰემი-მანჩესტერ სიტი, ნორვიჩი-ლივერპული, რედინგი-ნიუკასლი, სტოკ სიტი-სუონსი, სანდერლენდი-უიგანი, მანჩესტერ იუნაიტედი-ტოტენჰემი

**30 სექტემბერი:** ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი

**1-ლი ოქტომბერი:** ქუინზ პარკი-ვესტ ჰემი

### IV ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბოსინგვა სერიოზულად დაშავდა

პრემიერლიგის მე-5 ტურში ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი დაშავდა სერიოზულად და მათზე ცალ-ცალკე მოგითხრობთ. უპირველესად **ჟოზე ბოსინგვაზე** მოგახსენებთ, ვინც "ტოტენჰემთან" შეხვედრის დაწყებიდან ორიოდე წუთში დაშავდა. "ქუინზ პარკის" თავკაცმა **მარკ ჰიუზმა** ის დაუყოვნებლივ შეცვალა. ლონდონური კლუბის ექიმები შიშობენ, რომ მუხლის მყესების ტრავმამ 30 წლის პორტუგალიელი, შესაძლოა, დიდი ხნით ჩამოაშოროს საყვარელ საქმეს. "სამწუხაროა, მაგრამ იმის შანსი, რომ ჟოზესთვის წინასწარ დასმული პროგნოზი გამართლდება, ძალიან დიდია," – აცხადებს უელსელი სპეციალისტი.

### არა მარტო სამი ქულა

"ლივერპულმა" "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში არა მარტო სამი ქულა, არამედ წამყვანი მცველები – **დანიელ აგერი** და **მარტინ კელიც** დაკარგა. პირველის მდგომარეობა ურთულესია. 27 წლის დანიელი სტოპერი, ვისთანაც მერსისაიდელები ახალი ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავდნენ, შესაძლოა "ენფილდს" სეზონის ბოლომდე დააკლდეს. გუშინ სალამოს ფეხბურთელისთვის საბოლოო დიაგნოზი უნდა დაესვათ. უკვე დაზუსტებულ ინფორმაციას უახლოეს ნომრებშივე შემოგთავაზებთ. მაგალითად გეტყვით, რომ ანალოგიური პრობლემების გამო **გლენ ჯონსონმა** მხოლოდ სამი თვე გამოტოვა, სამაგიეროდ, **ნემანია ვიდიჩს** მთელი ცხრა თვე გაუცდა. ასე რომ, ახლა ამ თემაზე მსჯელობა წყლის ნაყვას ემსგავსება.

ასევე მუხლის ტრავმა მიიღო **მარტინ კელიმაც**. მისი მდგომარეობა შედარებით მსუბუქია, მაგრამ "შედარებით" არ ნიშნავს რეალურად მსუბუქს. 22 წლის აყლაყუდა მცველი ვარჯიშებს მხოლოდ იანვარში თუ დაუბრუნდება. მარტინი თავის მდგომარეობას ნახევრად ირონიით უყურებს და წერს, შემიძლია გითხრათ, რომ ეს ნამდვილად არ არის ყველაზე მძიმე ტრავმა რაც კარიერის განმავლობაში მიმიღიაო.

### გაუგებრობები კინის თავს

ჩემპიონშიპში გავარდნილი "ბლექბერნის" შოტლანდიელი მთავარი მწვრთნელი **სტივ კინი** შესაძლოა "ივუდ პარკიდან" დაითხოვონ. ამის მიზეზად წარუმატებელ თამაშს ვერ დავასახელებთ, რადგან ფაქტია, რომ "ვარდები" რანგით მეორე ლიგაში 7 შეხვედრაში დაგროვილი 14 ქულით მე-2 ადგილზე არიან. კომპანია **Venky's**-ის (კლუბის მესაკუთრე ფირმა) ხელმძღვანელების ქმედებები ლოგიკაში არ ჯდება. კინი მათ მაშინ არ მოიშორეს თავიდან, როცა 44 წლის სპეციალისტმა "ბლექბერნს" ელიტაში ვერ შეუნარჩუნა ადგილი და ახლა, როცა გუნდი გუნდს დაემსგავსა, მის გაშვებაზე მსჯელობენ. თანაც, კინის შემცვლელად არა ვინმე სახელოვანი სპეციალისტი, არამედ მისი ასისტენტი ერიკ ბლეკი განიხილება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

უცხოური ფეხბურთი

ბრაზილია. სერია A. XXVI ტური

# ფლუმინენსე მსაჯების წყალობით გალიდერდა

## სამსაჯო სკანდალების, ვეტერანებისა და დებიუტანტების ტური

**ფლუმინენსე–ნაუტიკო 2:1**

გოლები: 1:0 ლეანდრო ეუსებიო (41), 2:0 ფრედი (45), 2:1 კიმი (82).

**ფიგეირენსე–პალმეირასი 1:3**

გოლები: 0:1 ტიაგო ელენო (8), 0:2 ენრიკე (10), 1:2 ალოიზიო (65), 1:3 მარკოს ასუნსაო (67).

**სანტოსი–პორტუგეზა 1:3**

გოლები: 0:1 ბრუნო მინეირო (38), 0:2 ლეო სილვა (43), 0:3 ბრუნო მინეირო (63), 1:3 ანდრე (75).

**ბოტაფოგო–კორინთიანსი 2:2**

გოლები: 1:0 ზეედორფი (6), 1:1 გერერო (9), 1:2 დუგლასი (13-პენ), 2:2 ზეედორფი (75).

**სან პაულო–კრუზეირო 1:0**

გოლი: 1:0 ოსვალდო (68).

**პონტე პრეტა–ვასკო და გამა 0:0**

**ატლ. გოიანიენსე–ფლამენგო 1:2**

გოლები: 1:0 ჟოილსონი (11), 1:1 კლებერ სანტანა (36), 1:2 ლიედსონი (66).

**ინტერნასიონალი–ბაია 3:1**

გოლები: 1:0 ფრედი (13), 2:0 ფორლანი (38), 3:0 ლეანდრო დამიაო (53), 3:1 კლებერსონი (90).

**სპორტ რესიფე–კურიტიბა 1:0**

გოლი: ჟილბერტო (90-პენ).

**ატლ. მინეირო–გრემიო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 26 | 16 | 8 | 2 | 43-18 | 56 |
| 2. ატლ. მინეირო | 25 | 15 | 7 | 3 | 39-17 | 52 |
| 3. გრემიო | 26 | 15 | 4 | 7 | 37-21 | 49 |
| 4. ვასკო და გამა | 26 | 12 | 8 | 6 | 32-26 | 44 |
| 5. სან პაულო | 26 | 13 | 3 | 10 | 38-28 | 42 |
| 6. ბოტაფოგო | 26 | 11 | 7 | 8 | 41-33 | 40 |
| 7. ინტერნასიონ. | 26 | 10 | 10 | 6 | 33-23 | 40 |
| 8. კორინთიანსი | 26 | 9 | 9 | 8 | 30-26 | 36 |
| 9. კრუზეირო | 26 | 10 | 5 | 11 | 32-36 | 35 |
| 10. პონტე პრეტა | 26 | 8 | 10 | 8 | 30-32 | 34 |
| 11. სანტოსი | 26 | 8 | 9 | 9 | 31-35 | 33 |
| 12. პორტუგეზა | 26 | 8 | 8 | 10 | 28-30 | 32 |
| 13. ნაუტიკო | 26 | 9 | 4 | 13 | 31-42 | 31 |
| 14. ფლამენგო | 25 | 8 | 7 | 10 | 26-35 | 31 |
| 15. ბაია | 26 | 7 | 10 | 9 | 27-30 | 31 |
| 16. კურიტიბა | 26 | 8 | 4 | 14 | 38-46 | 28 |
| 17. სპორტ რესიფე | 26 | 6 | 9 | 11 | 23-35 | 27 |
| 18. პალმეირასი | 26 | 6 | 5 | 15 | 25-36 | 23 |
| 19. ფიგეირენსე | 26 | 5 | 7 | 14 | 29-45 | 22 |
| 20. ატლ. გოიან. | 26 | 4 | 8 | 14 | 27-46 | 20 |

**ბომბარდირები:** 12 – ფრედი (ფლუმინენსე); 11 – ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ბრუნო მინეირო (პორტუგეზა); 10 – ვაგნერ ლავი (ფლამენგო); 9 – ალექსანდრო (ვასკო და გამა), ალოიზიო (ფიგეირენსე), ველინგტონ პაულისტა (კრუზეირო).

**"ატლეტიკო მინეირომ" სერია A-ს 26-ე ტურში "გრემიო" ვერ დაამარცხა, ხოლო ვინაიდან "ფლუმინენსემ" აქტივში მორიგი სამი ქულა ჩაიწერა, "ატლეტიკო" უკვე ერთპიროვნული ლიდერი აღარ არის. 27 სექტემბერს გამოტოვებული მატჩი "ფლამენგო"-"ატლეტიკო მინეირო" უნდა გაიმართოს და გამარჯვების შემთხვევაში მინას ჟერაესის შტატის წარმომადგენლები, "ფლუსთან" მხოლოდ ქულათა სხვაობას თუ შეამცირებენ...**

### ლიდერების განსხვავებული გამოსვლა

მორიგი სათამაშო დღე სწორედ ჩემპიონატის ლიდერმა გახსნა. "ფლუმინენსეს" მეტოქე "ნაუტიკო" იყო, გუნდი, რომელიც ლამის ყველას ამარცხებს შინ, მაგრამ ამავე დროს, სტუმრად თითქმის ყოველთვის აგებს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ფავორიტი, რა თქმა უნდა, **აბელ ბრაგას** გუნდი იყო. "ფლუს" დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ **ფრედი** დაუბრუნდა და ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ასევე აღსანიშნავია **დეკუს** დაბრუნება – "პორტუს", "ბარსელონას" და "ჩელსის" ყოფილ ვარსკვლავს, თითქმის ორი თვე არ ჰქონდა ნათამაშები.

ანგარიში 41-ე წუთზე გაიხსნა: **ველინგტონ ნემის** კუთხურს სტუმართა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ყველაზე უკეთ სიტუაციაში ფრედი გაერკვა, რომელმაც ბურთი მკერდზე მიიღო, მაგრამ სანამ დაარტყამდა, მას თანაგუნდელმა, შეტევაში ჩართულმა მცველმა, **ლეანდრო ეუსებიომ** დაასწრო და სეზონში მესამე გოლი გაიტანა. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე "ფლუმ" მეორე გოლიც გაიტანა. თავი ამჯერად ფრედმა გამოიჩინა, რომელმაც **ტიაგო ნევეშის** გადაცემით ისარგებლა. ფრედისთვის ეგ გოლი მე-12 იყო ჩემპიონატში და ის ბომბარდირთა დავაში კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. "ნაუტიკო" ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ამ გუნდს, სტუმრად დადებითი შედეგის დაფიქსირება, უბრალოდ არ შეუძლია. დებიუტანტმა მეორე ტაიმში ერთი ბურთი გაქვითა: გოლი **კიმის** ანგარიშზეა. მატჩის ბოლო წუთებზე კი, იმავე კიმს ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ **დეიგო კავალიერიმ** საოცარი რეაქცია გამოავლინა და საკუთარი გუნდი იხსნა, თუმცა ეპიზოდი ამით არ დამთავრებულა: კიმი დამატებაზე თამაშს ცდილობდა, მაგრამ მასპინძელთა მცველმა **გუმმა** ფორვარდს ხელი წესების აშკარა დარღვევით შეუშალა. კიმმა და სტუმართა სხვა ფეხბურთელებმა პენალტის დანიშვნა მოითხოვეს, მაგრამ არბიტრმა კუთხურისკენ მიუთითა. საბოლოოდ 2:1 და "ფლუმინენსემ" შეინარჩუნა ლიდერობა.

*"ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ უნდა მოვეშვათ. სეზონის ბოლომდე სულ ცოტა დარჩა და ბოლომდე კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ. დღეს მშვენივრად ვთამაშობდით, ორი ბურთით ვიგებდით და ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ შემდეგ მოვეშვით და კინაღამ დავისაჯეთ, ასეთი რამ მომავალში არ უნდა დაგვემართოს"* – განაცხადა მატჩის შემდეგ დეკუმ.

ტურის ცენტრალური მატჩის მონაწილე "ატლეტიკო მინეირო" იყო. "ინდეპენდენსიაზე" ერთმანეთს მეორე და მესამე ადგილზე მყოფი გუნდები ხვდებოდნენ. დამატებით ინტრიგას ამ მატჩს **რონალდინიოს** ფაქტორი სძენდა – რონიმ ფეხი, ხომ სწორედ "გრემიოში" აიდგა და ფეხბურთის თამაში იქ დაიწყო. სხვათა შორის, შეხვედრის დაწყებამდე მასპინძელთა ქომაგებმა რონალდინიოს დედის მხარდასაჭერი ბანერი გამოფინეს, **დონა მიგელინა** უკურნებელ სენს ებრძვის. გაუჩომ რამდენიმეჯერ გაიხედა ბანერისკენ, მატჩის შემდეგ კი გულშემატკივრებს მადლობა გადაუხადა. ასევე თბილად შეხვდნენ "ატლეტიკოს" ქომაგები "გრემიოს" დამრიგებელ **ვანდერლეი ლუშემბურგოს**, რომელიც 2010 წელს სწორედ "ატლეტიკოს" მწვრთნელი იყო.

თვითონ შეხვედრა ძალიან სანახაობრივი და სახიფათო მომენტებით დატვირთული გამოდგა, მაგრამ გუნდებმა გოლების გატანა ვერ შეძლეს. პირველ ტაიმში უკეთ მასპინძლები გამოიყურებოდნენ და რეალური მომენტებიც ჰქონდათ. ყველაზე კარგი შანსი რონალდინიოს პასის შემდეგ **გილერმეს** შეექმნა, მაგრამ მასპინძელთა მე-9 ნომერმა ბურთი ხარიხას გაარტყა. მეორე ნახევარი კი უკეთ "გრემიომ" ჩაატარა და სტუმრებმა კინაღამ მოიგეს – **მარსელო მორენოს** საოცარი მომენტი რომ არ გაენიავებინა, სტუმრები პორტუ ალეგრიში სამი ქულით ხელდამშვენებულნი დაბრუნდებოდნენ. შეხვედრის ბოლო წამებზე მსაჯმა მოედნიდან "ატლეტიკოს" დამრიგებელი **კუკა** გააძევა, რომელმაც ეს გაძევება უსამართლოდ მიიჩნია, თუმცა ჟურნალისტებთან ყურადღება სხვა არბიტრის სხვა გადაწყვეტილებაზე გაამახვილა: *"გუშინ მსაჯი ვალდებული იყო, რომ "ფლუმინენსეს" კარში პენალტი დაენიშნა. მის გადაწყვეტილებას, სეზონის ბოლოს, შესაძლოა ძალიან დიდი ფასი დაედოს, რადგან "ნაუტიკოს", გადარჩენისთვის ბრძოლაში, შეიძლება სწორედ ეს ერთი ქულა დააკლდეს. მატჩი ფრედ რომ დამთავრებულიყო, ჩვენ კვლავ პოტენციური ლიდერები ვიქნებოდით".*




ტურის ერთ-ერთი გმირი მარკოს ასუნსაო

### პალმეირასის ოცნება: ახალმა ცოცხმა გაამართლა

ფლორიანოპოლისში ე.წ. 6-ქულიანი მატჩი გაიმართა გასავარდნ ზონაში მყოფ "ფიგეირენსესა" და მის მეზობელ "პალმეირასს" შორის. სტუმრები ახალი მთავარი მწვრთნელის, **ჟილსონ კლეინას** ხელმძღვანელობით პირველ მატჩს ატარებდნენ და ახალგაზრდა სპეციალისტს დებიუტი წარმატებული გამოუვიდა. ამ შეხვედრაში გაიბრწყინა **მარკოს ასუნსაომ**, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ, მხოლოდ მეორე მატჩს ატარებდა. ვეტერანმა გოლი გაიტანა და გარდა ამისა 2 საგოლე პასი გააკეთა. მისი გადაცემებით მცველებმა, **ტიაგო ელენომ და ენრიკემ** (რომელიც ასუნსაოს არყოფნაში საყრდენად თამაშობდა) იხეირეს. "ფიგეირენსეს" საუკეთესო ბომბარდირმა **ალოიზიომ** 65-ე წუთზე სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ ზუსტად ორ წუთში ასუნსაომ თავადაც გაიტანა და "პალმეირასს" უმნიშვნელოვანეს მატჩში მოაგებინა. "სანტოსთან" ერთად ბრაზილიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი (8 საჩემპიონო ტიტული) ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ ტრავმირებული ფეხბურთელების დაბრუნება და ახალი მთავარი მწვრთნელის ფაქტორი "პალესტრა იტალიას" ქომაგებს ოპტიმისტურად განაწყობს.

სკანდალის გარეშე არც ამ მატჩს ჩაუვლია. "პალმეირასის" ერთ-ერთმა ლიდერმა, **ხორხე ვალდივიამ**, შეხვედრის არბიტრი **ვილტონ პერეირა სამპაიო**, მიკერძოებაში დაადანაშაულა. საქმე იმაშია, რომ ეს ადამიანი სჯიდა ბრაზილიის თასის ფინალის საპასუხო შეხვედრას "პალმეირასსა" და "კურიტიბას" შორის. იმ შეხვედრაში მსაჯმა ვალდივია გააძევა, აღნიშნულ ტურში კი ჩილელი უკვე მე-4 წუთზე გააფრთხილა და ამითაც არ დაკმაყოფილდა. თავად ვალდივიას მოვუსმინოთ: *"მან დამაჯარიმა, შემდეგ ჩემკენ გამოემართა და სახე სახეზე მომადო, ხელები გაშალა და მემუქრებოდა. ამ ეპიზოდის ფოტოები თავად შეგიძლიათ ნახოთ. ფეხბურთელმა თუ მსაჯისკენ გაიწია - დაისჯება, მსაჯს კი, როგორც ჩანს, ყველაფრის უფლება აქვს. არ ვიცი ასე რატომ იქცეოდა, შესაძლოა გულში წყენა ბრაზილიის თასის ფინალიდან მოყოლებული აქვს ჩადებული. მან ეს ყველაფერი უნდა დაივიწყოს და თავი დამანებოს".*

მოიგო "ფლამენგომაც", რომელიც ძალიან ახლოს იყო გასავარდნ ზონასთან. **დორივალ ჟუნიორის** შეგირდებმა ბოლო ადგილზე მყოფი "ატლეტიკო გოიანიენსე" დაამარცხეს. სტუმრები თავიდან აგებდნენ, მაგრამ თავი აქაც ვეტერანებმა გამოიჩინეს: 36-ე წუთზე **კლებერ სანტანამ**, რომელიც "ფლამენგოში პირველ მატჩს ატარებდა, ანგარიში გაათანაბრა, ხოლო გამარჯვების მომტანი გოლი 66-ე წუთზე **ლიედსონმა** გაიტანა.

საერთოდ ეს ტური გამორჩეული იყო მსოფლიოში ცნობილი ლეგიონერებისა და ვეტერანებისთვის. თავად განსაჯეთ: 36 წლის **კლარენს ზეედორფმა** დუბლი შეასრულა, გოლი გაიტანა **ხოსე პაულო გერერომაც**. თავი ასევე გამოიჩინეს: ფრედმა, 36 წლის მარკოს ასუნსაომ, კლებერ სანტანამ, 34 წლის ლიედსონმა, **დიეგო ფორლანმა** და 33 წლის **კლებერსონმა.**

"ბრაზილეირაოს" მომდევნო ტური 29-30 სექტემბერს გაიმართება და მას ბრაზილიის კლასიკო, "ფლამენგო"-"ფლუმინენსე", იგივე "ფლა"-"ფლუ" დაამშვენებს.




ზეედორფმა მორიგი დუბლი შეასრულა

ამბები

### გერეტსი ყატარში

"ფრანს ფუტბოლის" ცნობით, **ერიკ გერეტსი**, რომელიც მაროკოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან 15 სექტემბერს გაათავისუფლეს, უმუშევარი დიდხანს არ იქნება. ბელგიელი უკვე ყატარშია და მალე ადგილობრივ კლუბ "ლეხვიასთან" 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. "ლეხვია" ცოტა ხნის წინ დაარსებული კლუბია, რომელმაც ყატარის ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ მოიგო. ამ სეზონში გუნდის საქმეები კარგად არ მიდის, ამიტომაც ამჟამინდელი მწვრთნელის **ჯამალ ბელმადის** გერეტსით შეცვლა გადაწყდა. ამ ყატარული გუნდის მფლობელი შეიხი **თამიმ ბინ ჰამად ალ-თანი** გახლავთ, ადამიანი, რომელიც ასევე "პარი სენ-ჟერმენის" მფლობელია.

### რომულო მძიმედ დაშავდა

მოსკოვის "სპარტაკის" და ბრაზილიის ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველმა რომულომ, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში "ბარსელონას" გაუტანა, უმძიმესი ტრავმა მიიღო. ბრაზილიელმა "როსტოვთან" მოგებულ (3:1) შეხვედრაში ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა. რომულოს ახლა გერმანიაში ელის ოპერაცია. ის ფეხბურთს მინიმუმ 6 თვე ვერ ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

პარლამენტის ბიბლიოთეკა

სერია A IV ტურის გამოხმაურება

# შავ-წითელთა შავი დროება

## ალეგრი ჯერ ისევ პოსტზეა...

### გაუგებრობა სარდინიაზე

სერია A-ს გასულ სეზონში, არაერთი მატჩი გადაიდო, რის გამოც სატურნირო ცხრილში ხშირად იყო სრული განუკითხაობა. ეს ძირითადად კლიმატური პირობების გამო ხდებოდა.

მიმდინარე სეზონში, პირველი თამაში გასულ უქმეებზე გადაიდო, თუმცა არა კლიმატური პირობების, არამედ კლუბისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის შეუთანხმებლობის გამო. ეს ორი სუბიექტი რომ ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ, გუშინაც გაუწყეთ - დღეს კი შევეცდებით ავხსნათ, თუ რაში მდგომარეობს მათი შეუთანხმებლობა...

საქმე იმაშია, რომ უკვე მესამე წელია "კალიარის" მესვეურები მუდმივ კონფლიქტში არიან ქალაქის პრეფექტურასთან, იმავე მუნიციპალიტეტთან - სადავო კი "სტადიო სანტ ელიას" საიჯარო გადასახადი გახლავთ. ქალაქის მმართველებმა გასულ ზაფხულს კიდევ ერთხელ გააძვირეს სტადიონის იჯარა, რამაც კლუბის მესვეურთა აღშფოთება გამოიწვია. სწორედ ამ მიზეზით, გასულ სეზონში სარდინიელმა გუნდმა რამდენიმე საშინაო შეხვედრა ქალაქ ტრიესტში ჩაატარა და როგორც ჩანს, იგივე შეიძლება ამ სეზონშიც განმეორდეს. კალიარის" მფლობელი, **მასიმო ჩელინო** გაზრდილ გადასახადს აგერ უკვე მესამე თვეა, არ იხდის და არც "რომასთან" მატჩის წინ მიღებულ გამაფრთხილებელ წერილს უგდო ყური... შედეგად, ქალაქის მმართველებმა პრინციპულობა გამოიჩინეს და "კალიარი:"-"რომას" პაექრობა ჩაშალეს. სადამდე გაგრძელდება ეს კონფლიქტი, უცნობია და არც ისაა დღეს ცნობილი, სად ჩაატარებს მომდევნო საშინაო მატჩს სარდინიული გუნდი. გასარკვევია ისიც, გადაიდება თუ გაუქმდება არშემდგარი თამაში... ამ ყველაფერზე, პასუხი მალე გვეცოდინება.

### რა ბედი ელის ალეგრის?

"მილანის" საცოდაობით "იუვენტუსის" გულშემატკივრებიც კი შენუხდნენ... ლომბარდიულ გრანდს ოთხი თამაშიდან სამი მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილის ფსკერზე ყურყუტებს. **მასიმილიანო ალეგრი** არ ტყდება და აცხადებს, რომ არათუ პოსტის დატოვებას არ აპირებს, მისი გუნდი სულაც სკუდეტოსთვის უნდა აბრძოლოს... საინტერესოა, როგორ იბრძოლებს "როსონერი" ჩემპიონობისთვის, როდესაც სეზონის სტარტზე გრაფაში უკვე სამი



მასიმილიანო ალეგრი "უდინეზესთან" მატჩის დროს

მარცხი უწერია - შედარებისთვის შეგახსენებთ, რომ "იუვენტუსმა" გასულ სეზონში სკუდეტო წაუგებლად მოიგო.

გასულ უქმეებამდე, აქტიურად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ თუ "მილანი" უდინეში ვერ მოიგებდა, მასიმილიანო ალეგრის პოსტის დატოვება მოუწევდა. "მილანის" თავკაცი ჯერ თავის ადგილზეა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსად წასვლაზე არ ფიქრობს. აი, რას ამბობს ლომბარდიული კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, **ადრიანო გალიანი:**

*"ჩემპიონატში კატასტროფული სტარტი ავიღეთ და ვითარება როგორმე უნდა გამოვასწოროთ. ამის თაობაზე მასიმილიანო ალეგრის უნდა ველაპარაკო, რადგან კრიზისიდან გუნდის გამოყვანა სწორედ მას ევალება. დიახ, მისი გათავისუფლების საკითხი არ დგას დღის წესრიგში, მაგრამ თუ კრიზისის დაძლევის გეგმა ვერ დავინახეთ, შეიძლება პოზიციის გადახედვამ მოგვიწიოს".*

მოკლედ, მასიმილიანო ალეგრი ჯერ "მილანის" მთავარი მწვრთნელია, მაგრამ რა იქნება ხვალ, ღმერთმა უწყის. ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

### გვიდოლინმა ალეგრის დასცინა?

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი უდინეში გაიმართა, სადაც "უდინეზემ" "მილანს" უმასპინძლა და მეტოქე მინიმალური სხვაობით დაამარცხა, 2:1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს იყო "როსონერის" მესამე მარცხი მეოთხე შეხვედრაში, რამაც ლომბარდიული გრანდის მიმართ ბევრი ირონიულადაც კი გაიწყო. მაგალითად, მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე, "უდინეზეს" მთავარ მწვრთნელს ასეთი კითხვა დაუსვეს - უნდა გაათავისუფლონ თუ არა პოსტიდან მასიმილიანო ალეგრი? - ამ კითხვაზე გვიდოლინმა შემდეგნაირად უპასუხა:

*"ვერ გეტყვით, რადგან ეს საკითხი ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ისე, პირველი ათი წუთი "მილანმა" შთამბეჭდავად ითამაშა და ნათლად დავინახეთ, რომ ალეგრის, გუნდის კრიზისიდან გამოყვანა და აღორძინება შეუძლია".*

გვიდოლინს წყნარი და თავმდაბალი კაცის იმიჯი აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მის ნათქვამს ათასი კუდი გამოება. როდესაც "მილანის" დარ გუნდზე ამბობ, რომ ათი წუთი შთამბეჭდავად ითამაშა, რაც მწვრთნელის დამსახურებაა, იქ ირონია, ან გნებავთ ცინიზმი აშკარად იკვეთება. მოკლედ, ალეგრის კოლეგებმაც შეუტიეს და ვნახოთ, სადამდე გაუძლებს ასეთ წნეხს...

### ძანეტი უჩვეულო ამპლუაში

საოცარია, მაგრამ ფაქტია - ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, **ხავიერ ძანეტი** პირველად დარჩა ძირითადი შემადგენლობის მიღმა. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება ის შეხვედრები, რომელშიც ვეტერანი არგენტინელი ტრავმის, ან დისკვალიფიკაციის გამო განაცხადშიც არ იყო. დიახ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ხავიერ ძანეტი პირველად დასვეს სათადარიგო სკამზე და თამაშიც ისე ჩამთავრდა, რომ მოედანზე არ გამოჩენილა. მატჩის შემდეგ, "კორიერე დელო სპორტი" სწორედ ხავიერს გაესაუბრა და მისგან შემდეგი მოისმინა:

*"ნიშნავს თუ არა ეს დასასრულის დასაწყისს? - ასეთ პესიმისტურ და სევდიან სიტყვებს ნუ გამოვიყენებთ. ყველაფერს აქვს დასასრული და არც ჩემი კარიერაა განუსაზღვრელი, მაგრამ ბუზისგან სპილოს თუ არ გადავაქცევთ, კარგი იქნება. მწვრთნელმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სათადარიგოთა სკამზე უნდა დავრჩენილიყავი და არანაირი პროტესტის გრძნობა არ გამჩენია. დარწმუნებული ვარ, ხვალ და ზეგ ისევ ძირითად შემადგენლობაში ვიქნები, რადგან "ინტერში" ერთი წუთითაც არ მიგრძვნია თავი ზედმეტად".*

■ ■ ■

გასულ უქმეებზე, ვარსკვლავებმა ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი და ძირითადად ისეთი ფეხბურთელები გამოირჩნენ, მხოლოდ იტალიური ფეხბურთის მოყვარულებისთვის რომ არიან ცნობილნი. მაგალითად, დაცვაში ყველაზე საიმედო თამაში **სპოლიმ, ლოდიმ** და **რონკალიამ** აჩვენეს - პირველი "კატანიას" ღირსებას იცავს, მეორე "უდინეზეში" ასპარეზობს, ხოლო მესამე "ფიორენტინას" შემადგენლობაშია. ცნობისთვის, რონკალიამ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში და ნამატჩევს ამაყად განაცხადა, იმედია ჩემს წინსვლას იტალიის ეროვნული ნაკრების თავკაცი უყურადღებოდ არ დატოვებსო.

ნახევარმცველთა შორის **პოლ პოგბა** უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც პირველად იყო "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში და თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. მატჩის შემდეგ, ტურინელთა თავკაცმა სწორედ ახალგაზრდა შუახაზელი გამოარჩია და დასძინა, რომ ის "იუვეს" მომავალია. პოგბას მხარდამხარ ვხედავთ **ვერგასოლას**, რომელმაც "ინტერს" გაუტანა და "სიენას" სენსაციურ გამარჯვებას დაუდო სათავე... ასევე **რაიმონდის**, რომლის გოლმაც "ატალანტას" "პალერმოსთან" მოაგებინა.

რაც შეეხება თავდასხმას, ორი იტალიელი ფორვარდი უნდა გამოვარჩიოთ, რომლებზეც ერთობლივად სამი გოლი მოდის. ერთი **მარკო ბორიელო** გახლავთ, რომელმაც "ჯენოას" "ლაციოსთან" მოაგებინა, ხოლო მეორე **ფაბიო კვალიარელა**, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ...

**ტურის გმირი**

ტურის გმირი რა თქმა უნდა, ფაბიო კვალიარელა გახლავთ, ფეხბურთელი, რომელმაც "კიევოს" დუბლი შეუსრულა და "იუვეს" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. თანაც, გოლებიცაა და გოლებიც - ფაბიომ პირველი შედეგიანი დარტყმა ვარდნაში განახორციელა, მეორეჯერ კი მცველს აუარა გვერდი და რეიდი უზუსტესი დარტყმით დააგვირგვინა. მოკლედ, კვალიარელამ გაიბრწყინა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ უნიჭიერესი ფორვარდია.

საგულისხმოა, რომ ზაფხულში ფაბიო "მილანში" გადასვლასთან იყო ახლოს, თუმცა ბოლო მომენტში, მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ტრანსფერი "იუვეს" თავკაცმა, **ანტონიო კონტემ** ჩაშალა და ფორვარდი თავისთან დაიტოვა. ფაბიომ უკვე დაამტკიცა, რომ კონტეს გადაწყვეტილება მართებული იყო, თუმცა კიდევ უფრო მეტი ჯერ დასამტკიცებელი აქვს.

***P.S.* „რომას“ „კალიარისთან“ ტექნიკური მოგება, 3:0 მიენიჭა.**

### IV ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




სერია A. V ტურის წინ

# ბრძოლა მოედნის ცენტრისთვის

**დღეს**

**ფიორენტინა-იუვენტუსი 22.45**

სავარაუდო შემადგენლობები

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო - რონკალია, გონსალო, ტომოვიჩი - კუადრადო, მილიაჩო, პისარო, ბორხა ვალერმო, პასკუალი - ლიაიჩი, იოვეტიჩი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბონუჩი, ლუსიო, ბარცალი - კასერესი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, დე ჩელიე - ჯოვინკო, კვალიარელა.

**ტრავმა:** აკვილანი, ელ ჰამდაუი, დელა როკა - პეპე, პადოინი.

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მეხუთე ტური შუა კვირაში გაიმართება... ტურის ვრცელ წინასიტყვაობას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ, აქ კი მოკლედ იმ ერთადერთი შეხვედრის შესახებ ვთქვათ, რომელიც დღეს გაიმართება. ფლორენციაში ერთმანეთის პირისპირ ისტორიული მეტოქეები: "ფიორენტინა" და "იუვენტუსი" წარდგებიან. ბუნებრივია, ყველას გვაინტერესებს, წააგებს თუ არა ოდესმე ტურინული გრანდი, "იუვეს" ბევრი არაკეთილმოსურნე კი იმედებს სწორედ ფლორენციულ მატჩზე ამყარებს. მიზეზი მარტივია, "არტემიო ფრანკიზე" თამაში იოლი არაა და "ვიოლამაც" სეზონი ნორმალურად, შეიძლება ითქვას, რომ კარგად დაიწყო.

"გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, მასპინძლებიც და სტუმრებიც 3-5-2



ფაბიო კვალიარელა "ფიორენტინას" პირველივე წუთებიდან შეუტევს

ტაქტიკით გაირჯებიან. ფლორენციელთა რიგებში, შეტევის წინა ხაზზე **ლიაიჩი** და **იოვეტიჩი** იმოქმედებენ, ტურინელები კი **ჯოვინკო-კვალიარელას** ტანდემს დაეყრდნობიან. "ბიანკონერის" სამწვრთნელო შტაბი როტაციას განაგრძობს - თუ ავტორიტეტულ გამოცემას დავუჯერებთ, ამჯერად წინა შეხვედრაში დასვენებულ ფეხბურთელებს ვიხილავთ ძირითად შემადგენლობაში - მაგალითად, **ანდრეა ბარცალის, ანდრეა პირლოს, არტურო ვიდალს** და იმავე სებასტიან ჯოვინკოს. მოკლედ, ტურინელებს ასარჩევად აქვთ საქმე და ირჩევენ კიდეც.

ფლორენციელები პირველი ნომრიდან შეეცდებიან თამაშს, რაზეც გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ვინჩენცო მონტელას** სიტყვები მეტყველებს: *"აუცილებლად შევუტევთ, რადგან მოედანზე მხოლოდ სამი ქულის მოსაპოვებლად გავდივართ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ, ჩვენი გულშემატკივრების თვალწინ. ვეცდებით მოედნის ცენტრი მოვიგოთ, რისი ძალაც ნამდვილად შეგვწევს".*

ყველაზე საინტერესო სწორედ მოედნის ცენტრში გაჩაღებული ბრძოლა იქნება - "იუვეს" რომ მძლავრი შუა ხაზი ჰყავს, გასული სეზონიდან ვიცით, ფლორენციელებმა კი ზაფხულში გააძლიერეს ნახევარდაცვა და ამად არის, რომ ახალ სეზონში 3-5-2 ტაქტიკაზე აკეთებენ აქცენტს. ვნახოთ, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-2 | 12 |
| 2. ნაპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 3. ლაციო | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 4. სამპდორია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 9 |
| 5. რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 10-6 | 7 |
| 6. ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 7. ინტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 8. ჯენოა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 9. კატანია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-7 | 5 |
| 10. ატალანტა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 5 |
| 11. ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 4 |
| 12. პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 13. უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 14. ბოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 15. მილანი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 16. კიევო | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 17. კალიარი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| 18. პალერმო | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |
| 19. პესკარა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |
| 20. სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | -1 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 4 - იოვეტიჩი (ფიორენტინა); 3 – პაცინი (მილანი), კლოზე (ლაციო), ერნანესი (ლაციო), მაქსი ლოპესი (სამპდორია), ჯილარდინო (ბოლონია).

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

გერმანია. ბუნდესლიგა. V ტურის წინ

# ბაიერნი ოქტობერფესტისთვის ემზადება

## დესპოტ ფელიქსს რეკორდმაისტერისთვის ზეიმის ჩაშხამება უნდა


მიუნხენელებმა შაბათს გელზენკირხენში 2:0 მოიგეს. დღეს მათი სტუმარი ვოლფსბურგი იქნება

**დღეს**

**ბაიერნი–ვოლფსბურგი 22:00**

**ტრავმა:** კონტენტო, ალაბა, გომესი - პილარი, პოლაკი, ჰელმესი

**შალკე–მაინცი 22:00**

**ტრავმა:** ჰილდებრანდი - ჰ. მიულერი, რისსე

**ფიურტი–ფორტუნა 22:00**

**ტრავმა:** ტირალა, ფალი - ბალოგუნი

**აინტრახტი–ბორუსია (დ) 22:00**

**ტრავმა:** ამედიკი, კუემაა - ოვომოიელა, გიუნდოგანი, დუკში

**ხვალ**

**ბორუსია (მ)–ჰამბურგი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** რაიკოვიჩი (შიდა), ირაჩეკი (ორივე ჰამბურგი)
**ტრავმა:** აოგო, კაჩარი, რინკონი (ყველა ჰამბურგი)

**შტუტგარტი–ჰოფენჰაიმი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჰარნიკი (შტუტგარტი)
**ტრავმა:** ჰუგლანდი, აუდელი, დიდავი - ვიზე, კრისი, იაისლე, შიპლოკი

**ჰანოვერი–ნიურნბერგი 22:00**

**ტრავმა:** პანდერი, კ. შულცი - ჰლუშეკი, მენდლერი

**ფრაიბურგი–ვერდერი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუკიმია (ვერდერი)
**ტრავმა:** როზენტალი (ფრაიბურგი)

**აუგსბურგი–ლევერკუზენი 22:00**

**ტრავმა:** იენტცში, ფიპლი, ბა, კალსენ-ბრაკერი, კოო, მუსონა, მიოლდერსი

**ბუნდესლიგა ამ კვირაში ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს: დღეს და ხვალ მეხუთე ტურის მატჩები გაიმართება. მთავარი შეხვედრები დღესაა: ასპროცენტიან ლიდერებს - „ბაიერნსა" და „აინტრახტს" თავიანთ არენებზე მნიშვნელოვანი თამაშები ელით. რეკორდმაისტერი ფელიქს მაგათის „ვოლფსბურგს" მასპინძლობს, ფრანკფურტელები კი, რომლებსაც ასევე ოთხივე თამაში აქვთ მოგებული, მოქმედ ჩემპიონ „დორტმუნდს" დაუპირისპირდებიან. დღესვე კიდევ ორი მატჩია, დანარჩენი ხუთი შეხვედრა კი ხვალ გაიმართება.**

### რას მოიფიქრებს მაგათი?

**ფელიქს მაგათს** ძალიან უყვარს „ბაიერნის" გამწარება და ფაქტია, რომ შეგირდებს დღევანდელი მატჩისთვის განსაკუთრებით განაწყობს. მნიშვნელობა არა აქვს, რის მაქნისია „ვოლფსბურგი" დღესდღეობით - ფაქტია, რომ „მგლები" „ალიანს არენაზე" მედგრად იბრძოლებენ. სხვა საქმეა ის, რომ „ვოლფსბურგს" მიუნხენში წარმატების მიღწევა ისტორიულად უჭირს და „ალიანს არენაზე" ვერც მაშინ დაიქუხა, როცა საუკეთესო დროება ედგა და ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონობა იზეიმა. მაშინ, 2008 წლის 25 ოქტომბერს, „დესპოტი ფელიქსის" „ვოლფები" მიუნხენში 2:4 დამარცხდნენ, თუმცა მეორე წრის მატჩში მაგათმა მაინც გაამწარა რეკორდმაისტერი - 5:1 გაანადგურა, რასაც „ვოლფსბურგის" სენსაციური ჩემპიონობა მოჰყვა.

საერთო ჯამში, „ვოლფსბურგი" 15-ჯერ ესტუმრა „ბაიერნს", 14 თამაში წააგო და მხოლოდ ერთხელ, 2000/2001 წლების სეზონში გამოჰკრა ხელი ფრეს (3:3). ბავარიელებმა „მგლები" ყველაზე დიდი ანგარიშით 1999 წელს დაამარცხეს (5:0), ხოლო წინა სეზონში, მიუნხენში ამ გუნდების დაპირისპირება ასევე „ბაიერნის" გამარჯვებით (2:0) დასრულდა.

ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი**, სავარაუდოდ, ისევ როტაციას მიმართავს და საინტერესოა, რას შეცვლის ძირითად შემადგენლობაში. კვირას, გელზენკირხენში მოგებულ შეხვედრაში (2:0) „დონ იუპმა" **ხავი მარტინესი** სასტარტოში ისევ არ გაამწესა და ბავარიელებს მცირე ტრავმის გამო **ფრანკ რიბერიც** აკლდათ. დღეს ფრანკი ალბათ ითამაშებს და შეიძლება, ჰაინკესმა უკვე **არიენ რობენი** დაასვენოს. დიდი შანსია, რომ ცენტრფორვარდის პოზიციაზე ამჯერად **კლაუდიო პისარო** ვიხილოთ. მართალია, **მარიო მანჯუკიჩი** კარგ ფორმაშია, მაგრამ დასვენება მასაც სჭირდება, **მარიო გომესი** კი ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა.

ფელიქს მაგათს ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. საინტერესოა, როგორ ითამაშებს **ივიცა ოლიჩი** ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ და გამოიჩენს თუ არა თავს **დიეგო**, რომლის გადაბირება ბავარიელებს წლების წინ ძალიან უნდოდათ, მაგრამ ბრაზილიელმა „იუვენტუსში" გადასვლა ამჯობინა და მას მერე მისი კარიერა უკან-უკან წავიდა...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი - ლუის გუსტავო, ხავი მარტინესი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - პისარო.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი, ნალდო, პოგატეცი, როდრიგესი - კალენბერგი, კნოხე - ვიეირინია, დიეგო, ოლიჩი - დოსტი.

### აინტრახტის პირველი სერიოზული გამოცდა

„აინტრახტი" უკვე ამ სეზონის აღმოჩენაა - ფრანკფურტელებმა ყველასათვის მოულოდნელად ოთხივე თამაში მოიგეს და **არმინ ფეეს** გუნდი ერთადერთია, რომელიც „ბაიერნს" ერთპიროვნულად გალიდერების საშუალებას არ აძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ „აინტრახტს" იოლი მატჩები არ ჰქონია - ფეეს შეგირდებმა ჯერ „ლევერკუზენი" დაამარცხეს (2:1), მერე „ჰოფენჰაიმი" გაანადგურეს (4:0), მესამე ტურში „ჰამბურგსაც" სამი ქულა დაატოვებინეს (3:2), გასულ პარასკევს კი ნიურნბერგში გაიმარჯვეს (2:1) და პირველ ადგილზე მარტო იმიტომ არ არიან, რომ „ბაიერნს" ბურთების უკეთესი შეფარდება აქვს.

თუმცა დღეს „აინტრახტს" მართლა სერიოზული გამოცდა ელის: ფრანკფურტში გერმანიის მოქმედი და ზედიზედ ორგზის ჩემპიონი „დორტმუნდი" სტუმრობს. თანაც, „ბორუსია" გაბრაზებულია, რადგან **იურგენ კლოპის** შეგირდები შაბათს ჰამბურგში დამარცხდნენ და „ბაიერნს" უკვე ხუთი ქულით ჩამორჩებიან. ამ ნაგებით „დორტმუნდმა" 31-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, თუმცა კლოპმა მაინც თქვა, ცხოვრება და ბრძოლა გრძელდებაო. შესაბამისად, საინტერესოა, როგორ წარმოაჩენენ თავს ჩემპიონები ფრანკფურტში, სადაც ახლა ფეხბურთის ბუმია.

„აინტრახტის" წარმატებები მწვრთნელთან ერთად, ძალიან კარგ ფორმაში მყოფი ახალგაზრდა ფეხბურთელების, **სებასტიან იუნგის, კარლოს სამბრანოს,** მეკარე **კევინ ტრაპის**, ნიჭიერი **სებასტიან როდეს** და ბრწყინვალედ მოასპარეზე იაპონელი შემტევი ნახევარმცველის, **ტაკაში ინუის** დამსახურებაა, რომლის ანგარიშზე ოთხი ტურის შემდეგ ორი გოლი და ამდენივე საგოლე პასია.

*„მზად ვარ, გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს „აინტრახტიდან" რამდენიმე კანდიდატი შევთავაზო. ვფიქრობ, რომ ბუნდესგუნდისთვის უკვე მზად არიან იუნგი, ოჩიპკა და როდე," -* ეს არმინ ფეეს თამამი განცხადებაა, რომელსაც გერმანიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თუ ფრანკფურტელები „დორტმუნდსაც" გაუძლებენ, თამამად ვიტყვით, რომ „აინტრახტს" იმაზე მეტისთვის შეუძლია ბრძოლა, ვიდრე პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა.

### შალკე ჰუნტელაარის გარეშე?

„ბაიერნთან" წაგებული „შალკე" „მაინცს" უმასპინძლებს და შაბათს განცდილი მარცხისთვის ფანების წინაშე ბოდიშის მოხდას შეეცდება. შარშან ამ გუნდების დაპირისპირება გელზენკირხენში ფრედ 1:1 დამთავრდა და სხვათა შორის, „შალკეს" „მაინცი" საკუთარ მოედანზე 2009 წლის 18 დეკემბრის შემდეგ აღარ დაუმარცხებია (მაშინ 1:0 მოუგო). „მაინცმა" შაბათს „აუგსბურგს" 2:0 მოუგო, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი **თომას ტუხელი** და მისი შეგირდები გელზენკირხენში ჩინებული განწყობით ჩადიან. გელზენკირხენელთა რიგებში კითხვის ნიშნის ქვეშაა გოლეადორ **კლაას-იან ჰუნტელაარის** ასპარეზობა. შესაძლოა, **ჰუუბ სტევენსმა** ვერც საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** და გარემარბი **იბრაჰიმ აფელაი** გამოიყენოს.

დღესვე, „ფიურტი" „ფორტუნას" მასპინძლობს და ეს ელიტაში ახლახან აღზევებული გუნდების ჯახია. **მაიკ ბიუსკენსის** „ფიურტი" 4 ტურის შემდეგ მე-14 ადგილზეა და შაბათს „ვოლფსბურგიდან" ქულა წაიღო (1:1). დიუსელდორფელები კარის მშრალად შენახვას განაგრძობენ - „ფორტუნა" ერთადერთი გუნდია მთელ ბუნდესლიგაში, რომელსაც გაშვებული გოლების გრაფაში ჯერ კიდევ 0 უწერია...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| 2. აინტრახტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 3. ჰანოვერი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-7 | 7 |
| 4. ბორუსია (დ) | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| 5. შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 6. ნიურნბერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 7. ფორტუნა | 4 | 1 | 3 | 0 | 2-0 | 6 |
| 8. ფრაიბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 9. ბორუსია (მ) | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 10. ვოლფსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-5 | 5 |
| 11. ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |
| 12. მაინცი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 13. ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14. ფიურტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 15. ჰამბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-12 | 3 |
| 17. შტუტგარტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-9 | 2 |
| 18. აუგსბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 – თ. მიულერი (ბაიერნი); 3 – კროოსი (ბაიერნი), მანჯუკიჩი (ბაიერნი), სონი (ჰამბურგი).

### საუკეთესო ფეხბურთელები

IV ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 3 | 1.00 |
| 2. რენე ადლერი | ჰამბურგი | 4 | 1.50 |
| 3. სებასტიან როდე | აინტრახტი | 4 | 1.75 |
| 4. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 4 | 1.88 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 4 | 2.00 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 4 | 2.13 |
| 7. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 4 | 2.17 |
| 8. აარონ ჰანტი | ვერდერი | 4 | 2.25 |
| 9. ტაკაში ინუი | აინტრახტი | 4 | 2.25 |
| 10. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 4 | 2.33 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 4 | 4 | 4 | 8 |
| 2. ჟაბოლჩ ჰუშტი | აინტრახტი | 3 | 2 | 5 | 7 |
| 3. ჰიროში კიოტაკე | ნიურნბერგი | 4 | 1 | 4 | 5 |
| 4. ტაკაში ინუი | აინტრახტი | 4 | 2 | 2 | 4 |
| 5. მაქს კრუსე | ფრაიბურგი | 4 | 2 | 2 | 4 |
| 6. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 4 |
| 7. ნილს პეტერსენი | ვერდერი | 4 | 1 | 3 | 4 |
| 8. ხუან არანგო | ბორუსია (მ) | 4 | 1 | 2 | 3 |
| 9. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 4 | 2 | 1 | 3 |
| 10. ჯეფერსონ ფარფანი | შალკე | 3 | 0 | 3 | 3 |

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



**IV ტურის გმირი**

### სებასტიან როდე (აინტრახტი)

„აინტრახტის" თავკაც არმინ ფეეს ნიურნბერგის სტადიონის დატოვება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, როცა ჟურნალისტმა კითხვა მიაძახა: *„რა გაუკეთეთ როდეს?"* ფრანკფურტელთა თავკაცი მოტრიალდა: *„კარგად ითამაშა, არა?"* კარგი კი არა, **სებასტიან როდე** „ნიურნბერგისა" და „აინტრახტის" მატჩში ბრწყინვალე იყო! 21 წლის ნახევარმცველმა ორთაბრძოლების აბსოლუტური უმრავლესობა მოიგო, ბურთს ჭკვიანურად ფლობდა და მშვენიერ მეპასედაც წარმოჩნდა. ფეეს აზრით, როდე უკვე მზადაა იმისათვის, რომ გერმანიის ნაკრებში გამოიძახონ და ათამაშონ.

### IV ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



## რეალი


ფერნანდო რედონდო მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ

# ვისი ქუსლური ჯობდა? რედონდომ გუტის მოუგო

იმასთან დაკავშირებით, რომ სეზონის დასაწყისში ფეხბურთიდან 35 წლის ასაკში წავიდა „რეალის" ერთ-ერთი გამოჩენილი ნახევარმცველი **ხოსე მარია გუტიერესი** ან უბრალოდ **გუტი**, „მარკამ" გაზეთის მკითხველთა გამოკითხვა მოაწყო. გუტის კარიერის საუკეთესო ეპიზოდად 2010 წლის იანვარში შესრულებული საგოლე პასია, როცა „რეალმა" 19-წლიანი პაუზის შემდეგ შეძლო ლაკორუნიაში გამარჯვება. მაშინ გუტიმ პასი ბრწყინვალე სტილში, ქუსლით გააკეთა. „მარკამ" „სამეფო კლუბის" ისტორიაში ქუსლით თამაშის რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა და მათ შორის ისტორიაში საუკეთესოს შერჩევა მკითხველს მიანდო. მოულოდნელად, 7 ათასმა გამოკითხულმა გუტის საგოლე პასი არ დაასახელა საუკეთესოდ.

უმეტესობამ საუკეთესოდ ასევე „რეალის" ფეხბურთელის, **ფერნანდო რედონდოს** ქუსლით თამაში მიიჩნია - 2000 წელს „ოლდ ტრეფორდზე" არგენტინელი ამ ილეთით ბრწყინვალედ გასცდა „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველ **ჰენინგ ბერგს**. რედონდომ ხმების 51,1% მიიღო. გუტი მეორე ადგილზე გავიდა, მესამეზე კი **კრიშტიანო რონალდოს** გოლი გავიდა „რაიო ვალეკანოს" კარში, გასულ სეზონში პორტუგალიელმა „ელჩეს" კარში გოლი ქუსლით გაიტანა. **ალფრედო დი სტეფანოს** ცნობილი ქუსლური მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ მხოლოდ მე-4 ადგილს დასჯერდა.

# პოლიცია საბოტაჟის ვერსიას იძიებს

მოგეხსენებათ, კვირის მადრიდული დერბი „რაიო ვალეკანოსა" და „რეალს" შორის უცნაური შემთხვევის გამო გადაიდო. „ვალეკასზე" ვერ მოხერხდა განათების სრულად ჩართვა, რადგან უცნობებს კაბელები გადაეჭრათ. საქმეში მადრიდის პოლიცია ჩაერთო, რომელიც ინციდენტს იძიებს. პოლიციის თანამშრომლებმა დეტალურად გადაიღეს ყველა ნივთმტკიცება, რათა დამნაშავეთა კვალს მიაგნონ, თუმცა გამოძიებას ჯერ არ აქვს რაიმე ხელჩასაჭიდი.

# მოუ: ყოველ მიზეზგარეშე!
## ესპანეთის შემდეგ ისევ ინგლისი

**ჟოზე მოურინიომ** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად მოსინჯავს ძალებს ისევ ინგლისურ პრემიერლიგაში. „განსაკუთრებულმა" ინტერვიუ „სქაი სპორტსს" მისცა: *„რეალის" შემდეგ, მსურს ინგლისში გავაგრძელო კარიერა. ეს ყოველგვარი ეჭვის გარეშე გადაწყვეტილი მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ესპანეთის შემდეგ მხოლოდ ინგლისში მომინდება მწვრთნელობა*". ინგლისელი ჟურნალისტები ჩაეძიენ მოუს, თუ კონკრეტულად რომელ ინგლისურ კლუბში სურს მუშაობა: *„მე შევძლებ ნებისმიერი ინგლისური კლუბის გაწვრთნას. რა თქმა უნდა, ლონდონელი „ლურჯების" მხარდამჭერად ვრჩები, მაგრამ პროფესიონალი ვარ და ნებისმიერ გუნდში შეიძლება მომინიოს მუშაობა".*

ჟოზე მოურინიოს „ჩელსის" მწვრთნელობა 2007 წელს დაატოვებინეს. ინგლისში მან 3 სეზონი გაატარა. მოურინიოს არ სურს დაკონკრეტება, როდის წავა „ნისლიან ალბიონზე", თუმცა აღნიშნავს, რომ „ერთხელაც" პორტუგალიის ეროვნული ნაკრების თავკაცობაც სურს, მინიშნებით შეიძლება გავიგოთ, რომ ნაკრებში მოუს ინგლისში გატარებული კარიერის დასრულების შემდეგ სურს დანიშვნა.


ჟოზე მოურინიო ჩელსიში ყოფნისას

## ბარსელონა


ლიონელ მესი

# მესი, ვილია და შავი კატა

„გრანადასთან" მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს ისეთ ბარსელონელს უმტყუნა ნერვებმა, ძნელად რომ წარმოიდგენ კაცი - **ლიონელ მესის**. ანდალუსიელთა კარისკენ მორიგი უნაყოფო შეტევის შემდეგ, არგენტინელმა ხელების შლით და ყვირილი მიმართა **დავიდ ვილიას**, რომელმაც მას დროული პასი არ მიაწოდა. თავის მხრივ, არც „ელ გუახეს" დაუხევია უკან და პასუხიც ანალოგიურ სტილში გასცა. თანაგუნდელთა ეს გაწევ-გამოწევა ძალიან უშნოდ გამოჩნდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში **ტიტო ვილანოვამ** ვილია გამოცვალა და მის ნაცვლად **პედრო** შევიდა. თუმცა ესპანელი ფორვარდი ერთადერთი არ იყო, ვინც იმ საღამოს მესის წყრომა დაიმსახურა - ლეომ არც **ტიაგო ალკანტარას** დააკლო. ის ახალგაზრდა თანაგუნდელს გაუბრაზდა, რადგან მიიჩნევდა, რომ ჯობდა ტიაგოს კარში არ დაერტყა, არამედ მისთვის გადაეცა ბურთი.

თამაშის მერე მესი გაღიზიანებული პასუხობდა ჟურნალისტთა შეკითხვებს: *„მე არავითარი პრობლემა არ მაქვს დავიდ ვილიასთან. ნუ ეძებთ პრობლემას იქ, სადაც ის უბრალოდ არაა"*. მესი ამბობს, რომ უბრალოდ ძალიან გაჭიანურდა გოლის გატანა „გრანადას" კარში და გუნდი ცოტა ანერვიულდა: *„ეს გუნდის ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკურია - ჩვენი მიზანი მუდამ გამარჯვებაა"*.

იმავე აზრისაა ვილანოვაც, რომელიც მიიჩნევს, რომ მის გუნდში იდეალური სიტუაციაა: *„სიმართლეა, რომ გაგვიჭირდა თამაშის რიტმში შესვლა, გაგვიჭირდა მოგება. მეტოქე ძალიან კარგად გვიშლიდა ხელს. მანამდე ჩემპიონთა ლიგის მატჩსაც დიდი ძალები შევალიეთ, მოკლედ ამ რთულ გამარჯვებას თავისი ახსნა აქვს. თამაშის განმავლობაში კარგი და ცუდი მომენტები გვქონდა. მესის და ვილიას ურთიერთსაყვედურები არ იყო კარგი სანახავი, მაგრამ ეს მომენტიც აჩვენებს, რომ „ბარსას" მოგებები სწყურია"*.

## ლა ლიგა. V ტური

### ვალეკანო–რეალი 0:2

**რაიო ვალეკანო (4-4-2):** რუბენი – ტიტო (76. ტრაშორასი), ლაბაკა, ამატი, კასადო – ხოსე კარლოსი (82. ბილე ნილსენი), ფუეგო, დომინგესი (67. პიტი), ლ. ბანგურა – დელიბაშიჩი, ლეო კარილიო.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო – ესიენი, ჩაბი ალონსო – დი მარია (77. ხედირა), მოდრიჩი (63. იოზილი), რონალდო – ბენზემა (70. იგუაინი).

**გოლები:** 0:1 ბენზემა (13), 0:2 რონალდო (70-პენ)

**გაფრთხილება:** დომინგესი, ამატი, კასადო – ესიენი, არბელოა, ალონსო

გაძევება: კასადო (93)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 1-10; **კარში დარტყმა:** 13-16 (3-6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 15 000

### დეპორტივო–სევილია 0:2

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია – მ. პაბლო, აიტამი, მარჩენა, ევალდო – ხ. დომინგესი (86. ანდრე სანტოსი), აგილარი – გამა, ვალერონი (77. კამუნიასი), პიცი – რიკი (60. ოლივეირა).

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი – სისინიო, ბოტია, სპაჰიჩი, ფ. ნავარო – მედელი, მადურო (78. კამპანია)– ხესუს ნავასი, რაკიტიჩი (86. კონდობია), ტროხოვსკი (72. დელ მორალი) – ნეგრედო.

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (75), 0:2 რაკიტიჩი (84)

**გაფრთხილება:** ბოტია, ნავასი

**კუთხური:** 9-10; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 15-13 (4-7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 27 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 14-3 | 15 |
| 2. მალიორკა | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 3. მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 4. სევილია | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 5. ატლეტიკო | 4 | 3 | 1 | 0 | 11-5 | 10 |
| 6. ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 7. რეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-4 | 7 |
| 8. ვალეკანო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 9. ლევანტე | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 10. დეპორტივო | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 11. სელტა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 12. სარაგოსა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 13. ვალიადოლიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 14. სოსიედადი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-9 | 6 |
| 15. ვალენსია | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 16. ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 8-12 | 5 |
| 17. ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 18. გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |
| 19. ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 7-11 | 1 |
| 20. ოსასუნა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |

**ბომბარდირები:** 6 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 5 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 4 - ტომერ ჰემედი (მალიორკა); 3 - არიც ადურისი (ბილბაო), აბდელაზიზ ბარადა (ხეტაფე), გონსალო იგუაინი (რეალი), ხორხე მოლინა (ბეტისი), კრიშტიანო რონალდო (რეალი).

## ესპანური ფეხბურთი


ნუევო მესტალია

# ვალენსია იძულებულია, ისევ გაყიდოს

სამშენებლო სამუშაოები „ვალენსიას" ახალ სტადიონზე, რომლებიც 2009 წელს შეწყდა, განახლდა. ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში კლუბმა ხელშეკრულება დაუდო ფირმა „ნიუქოვალს", რომელიც იტვირთებს „ნუევო მესტალიას" აგებას და სამუშაოების 2 წელიწადში დასრულებას. თუმცა ახლახან გახდა ცნობილი, რომ კლუბს პრობლემები შეექმნა პარტნიორ კომპანია „ბანკია ჰაბიტატთან", რომელიც ხელშეკრულებიდან გამოვიდა ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეტალების სისტემატური შეუსრულებლობით. მოკლედ, საქმეს, რომელიც ძლივს დაიძრა, ისევ შეჩერების საფრთხე დაემუქრა.

სწორედ ამიტომ, „ვალენსიას" დირექტორთა საბჭო პარასკევს შეიკრიბა, რომელსაც პრეზიდენტი **მანუელ ლორენტე** გაუძღვა. ლორენტე პრესკონფერენციაზე თავდაჭერილი და ოპტიმისტი ჩანდა. *„ბანკიას" გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. კლუბმა უნდა ამის მიხედვით იმოქმედოს"*, - რას გულისხმობდა პრეზიდენტი? მოგეხსენებათ, „ვალენსიას" ჯერაც დარჩა ვალები, რომლებსაც პერიოდულად ვარსკვლავების გაყიდვით ისტუმრებს. სტადიონის მშენებლობისთვის განსაზღვრული თანხის ნაწილი ახლა კლუბს დააწვება - ამიტომაც „ღამურებს" სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა ერთისა - კიდევ გაყიდონ თავიანთი ვარსკვლავები. მოკლედ, როგორც ჩანს, „რეალთან" და „ბარსელონასთან" თანასწორად კონკურენციის შანსი ისევ მოკვდა.

# სიმეონემ კაპელო დაამხო

**დიეგო პაბლო სიმეონემ** მწვრთნელთა ისტორიაში თავი დაიმკვიდრა, ამისთვის მას 7-თვიანი მუშაობაც ეყო. ზუსტად ამდენი გავიდა არგენტინელი მწვრთნელის დებიუტიდან „ატლეტიკოში". მან ზედიზედ 11 ევროპული მატჩი მოიგო, ეს კი, თურმე, ჯერ არც ერთ მწვრთნელ დებიუტანტს არ მოუხერხებია. არც **გვარდიოლას**, არც **მოურინიოს**, არც **ფერგიუსონს** და არც სხვა ვინმე სხვა დიდ მწვრთნელს არ მიუღწევია ასეთი შედეგისთვის. თან, ამ ხნის განმავლობაში „ატლეტიკო" ხვდებოდა ისეთ ძლიერ კლუბებს, როგორიცაა „ლაციო", „ბეშიქთაში", „ვალენსია", „ბილბაო" და „ჩელსი". ამასთან, გუნდმა ორი ტიტული მოიპოვა - ევროპალიგა და ევროპის სუპერთასი. 11-მატჩიან მოგებათა სერია უშუალოდ სიმეონეს დამსახურებაა, თუმცა „ატლეტიკო" უკვე 14 მატჩია ზედიზედ იგებს ევროსარბიელზე, პირველი სამი მან **გრეგორიო მანსანოს** ხელმძღვანელობით მოიგო. სიმეონემ **ფაბიო კაპელოს** შედეგი გააუმჯობესა, 1992/93 წლების სეზონში იტალიელმა „მილანს" ზედიზედ 10 მატჩი მოაგებინა. კაპელოს ბრწყინვალე და სარეკორდო დებიუტი უკვე დამხობილია.

# გახარებული პარკი

27 წლის ფორვარდი **ჩუ იუნ პარკი** პირველი კორეელი გახდა, რომელმაც პრიმერადივიზიონში გაიტანა. ეს „სელტას" ახალწვეულმა, რომელიც ლონდონის „არსენალის" საკუთრებაა და ვიგოში იჯარის წესით თამაშობს, დებიუტიდან 2 წუთში შეძლო. „ხეტაფესთან" მატჩის 68-ე წუთზე პარკი **მიკაელ კრონ-დელის** ჩაწოდებას გამოეხმაურა და ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

*„ძალიან გახარებული ვარ, ტრიბუნები ჩემს სახელს სკანდირებდნენ. სიამაყით მახსენდება ეს გუგუნი - „პარკ, პარკ, პარკ" - თმა ყალყზე დამიდგა სიამაყისგან. მიხარია, რადგან ვიცი, რომ მილიონობით კორეელი გავახარე სამშობლოში, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით ჩემს თამაშს თვალს ადევნებდნენ"*, - განაცხადა პარკმა, რომელსაც მიაჩნია, რომ „სელტა" მზარდი კოლექტივია და ელიტაში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



## ქართული სპორტი

● სამბო

# ხუთი ოქრო და ევროპაში პირველები



გამარჯვებულები. მარცხნიდან: I რიგში - გიორგი გახოკიძე, გიორგი ბაჯაძე, ირაკლი გოგია, ჯაბა ქურდიანი, თორნიკე ნაგლიაშვილი; II რიგში - გიორგი ციხელაშვილი, ჯემალ ბუჩუნტელი, ემინ რაში (მწვრთნელი), გიორგი მეტრეველი და დავით ოზბეთელაშვილი

წლეულს გაზაფხულზე ჭაბუკმა სამბისტებმა, ევროპის პირველობაზე ბუქარესტში, გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. გასულ შაბათ-კვირას კი ტალინში, 15-16 წლის ჭაბუკებმა კადეტთა ევროპის პირველ ღია პირველობაზე გუნდური გამარჯვება იზეიმეს. (მწვრთნელი **ემინ რაში**).

ესტონეთის დედაქალაქში ხუთი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. გუნდურ ჩათვლაში კი ჩვენების შემდეგ მეორე და მესამე ადგილებზე ბელარუსის და რუსეთის თანატოლები გავიდნენ...

ჩემპიონები გახდნენ: **თორნიკე ნაგლიაშვილი** (46კგ), **ჯაბა ქურდიანი** (50კგ), **გიორგი მეტრეველი** (60კგ), **ირაკლი გოგია** (78კგ) და **დავით ოზბეთელაშვილი** (84კგ). ვერცხლის მედალი მოიპოვა **მიხეილ ახალაურმა** (+84კგ), ბრინჯაო **ჯემალ ბუჩუნტელმა** (66კგ).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

### კვარცხლბეკი

**46 კგ**
1. **თორნიკე ნაგლიაშვილი** (საქართველო)
2. დანიილ შევჩენკო (უკრაინა)
3. შამილ აბდულაევი (რუსეთი) და მიხეილ დონჩილე (მოლდოვა)

**50 კგ**
1. **ჯამბულ ქურდიანი** (საქართველო)
2. ბოჟიდარ ტემელკოვი (ბულგარეთი)
3. ალექსანდრ სუჩკოვი (რუსეთი) და მაქსიმ ტოკარჩუკი (უკრაინა)

**60 კგ**
1. **გიორგი მეტრეველი** (საქართველო)
2. დან ბურლაკი (მოლდოვა)
3. ივან სტეფანოვი (ბულგარეთი) და ოლეგ ნაგორნი (ბელარუსი)

**66 კგ**
1. ივან ნაუმოვი (ბელარუსი)
2. რამინ მასმალიევი (აზერბაიჯანი)
3. ალექსი ფომიჩოვი (რუსეთი) და **ჯემალ ბუჩუნტელი** (საქართველო)

**72 კგ**
1. ალექსანდრ გერასიმჩუკი (უკრაინა)
2. გინტს ბუმეისტერ (ლატვია)
3. რომან იუშინი (რუსეთი) და ალინ ტესკუ (მოლდოვა)

**78 კგ**
1. **ირაკლი გოგია** (საქართველო)
2. სერგეი ჩირიჩი (უკრაინა)
3. იან ხალიმოვი (ბელარუსი) და ტიმურ ვასილევი (ბულგარეთი)

**84 კგ**
1. **დავით ოზბეთელაშვილი** (საქართველო)
2. ალექსეი აკიმენკო (ლატვია)
3. ნიკიტა სვირიდი (ბელარუსი) და ალექს ვასილევი (ბულგარეთი)

**+84 კგ**
1. სულთან აბდულაევი (რუსეთი)
2. **მიხეილ ახალაური** (საქართველო)
3. მახამად მახარამოვი (აზერბაიჯანი) და არტურ პოლეიანი (უკრაინა)

**გუნდური პირველობა**
1. საქართველო — 46,
2. ბელარუსი — 30,
3. რუსეთი — 29 ქულა.



ნანი კირკიტაძე

# სამბოს დედოფალი

სამბოსა და ძიუდოს მწვრთნელი ქალბატონი **ნანი კირკიტაძე**, 12 წელიწადია ბათუმში მუშაობს და მოჭიდავეებს ზრდის. თვითონ მძლეოსანი იყო და არასდროს უჭიდავია... ჭიდაობის სიყვარულმა გახადა ფალავანთა დამრიგებელი.

წლეულს, ნანის აღსაზრდელებმა **ირინე ლეონიძემ** (80კგ) და **შორენა შარაძემ** (64კგ მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე სამბოში შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ქალბატონ ნანი კირკიტაძეს 2012 წლის 29 აგვისტოს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა ჭიდაობა სამბოში.

ანაბაჯის სამშობლოში ნანი კირკიტაძე პირველი ქართველი ქალია რომელიც დამსახურებული მწვრთნელის წოდებას ფლობს ჭიდაობის ერთ-ერთ სახეობაში.

**გაბრიელ ბარჯაძე**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ოქროს დიდი პრიზი

# უმედლობა ბაქოში

ჩვენი ბერძენ-რომაელები ფრიად ნარუმატებლად გამოვიდნენ ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ტურნირზე - ვერც ერთი მედალი ვერ მოვიპოვეთ. იქ ექვსი ჩვენებური ჭიდაობდა: **ნიკა ცეცხლაძე** (55), **მარადი აბულაძე** (66), **ილია გულბათაშვილი** (74), **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **ირაკლი ქაჯაია** (96), **სერგო გოგისვანიძე** (120). სანუგეშო წრეში გადასვლის შანსი მხოლოდ ცეცხლაძეს მიეცა, აბულაძე, ნადარეიშვილი, ქაჯაია და გოგისვანიძე პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ, გულბათაშვილმა კი ერთი ბრძოლა მოიგო.

**ირაკლი თავაძე**

# ევროპაშიც გვასახელებენ



გივი ზაუტაშვილი

ამ დღეებში თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტებს შორის შიდა ქართლის გუნდმა კარგად იასპარეზა. უკანასკნელ წლებში შიდა ქართლის, კერძოდ კი გორის დარბაზის აღზრდილები სამბოში ძლიერი გუნდებით არ გადიოდნენ საჭიდაოდ და შედეგიც არ ჰქონდათ მაინცდამაინც კარგი. ახლანდელ ჩემპიონატზე კი განსაკუთრებით ახალგაზრდები გამოირჩნენ. მათ ოთხი ოქროს, სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც საუკეთესო გუნდური შედეგია. ჭაბუკები შინ მხოლოდ ოთხი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ. გუნდი შეჯიბრებაზე **ნიკო ბიბილაშვილისა** და **გივი ზაუტაშვილის** ხელმძღვანელობით გავიდა.

*„მოგეხსენებათ გორის დარბაზში სამბოზე სპეციალიზებული ჯგუფი არ არსებობს და შეჯიბრებებზე ძიუდოისტებით გავდივართ. საქართველოს პირველობაზე შედარებით ძლიერი შემადგენლობით გავედით, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იყოჩალეს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რეგიონის ნაკრების სამი პოტენციური წევრი ევროპის ძიუდოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საასპარეზოდ იყო წასული, მათთან ერთად კი უფრო ხელდამშვენებულნი დავბრუნდებოდით დედაქალაქიდან. ამ ასაკში ყველა გამარჯვებული — **ლაშა გიუნაშვილი, ირაკლი ლომიძე, ამირან იანვარაშვილი, უშანგი კოკაური** — ოქტომბერში ბულგარეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე იჭიდავებენ საქართველოს ნაკრებში. გამარჯვებულთაგან აღსანიშნავია ირაკლი ლომიძის (68 კგ) კარგი ასპარეზობა. მას ადრე მხოლოდ ძიუდოში ჰქონდა წარმატებები, მაგრამ ბოლო ხანს სამბოს ისე მოერგო, რომ მომავალში დიდი გამარჯვებების მიღწევაც არ უნდა გაუჭირდეს. მნიშვნელოვანია მძიმე წონაში უშანგი კოკაურის ჩემპიონობაც, მით უფრო, რომ მან ფინალში დამაჯერებლად სძლია მსოფლიოს ჩემპიონს სამბოში **სლავა რეზესიძეს**. საყურადღებო იყო ამავე წონაში ჩვენი ჭაბუკთა გუნდის წევრის **გიგა გელაშვილის** ჭიდაობა. ის ორივე ასაკში გავიდა არენაზე და ორივეგან ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ევროპის და მსოფლიოს პრიზიორ **ლაშა გიუნაშვილისგან** (62 კგ) კი ნამდვილად აღარაა გასაკვირი საშინაო არენაზე მიღწეული გამარჯვებები, ახლა მთავარი ისაა, პრიზიორობა ჩემპიონობით შეცვალოს ბულგარეთში. სასიამოვნო იყო ამირან იანვარაშვილის (82 კგ) საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ხილვაც. მერწმუნეთ, ყველა მათგანი ღირსეულად დაიცავს ჩვენი ქვეყნის სახელს მსოფლიოს ჩემპიონატზე“* - გვითხრა გივი ზაუტაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

● ძიუდო. ევროპის ახალგაზრდული პირველობა

# საიმედო რეზერვი

## ახალი ნაკრების ახალგაზრდული [illegible]

კიდევ ერთხელ უნდა ვუთხრათ მადლობა ვაჟ ძიუდოისტთა ახალგაზრდულ ნაკრებს ხორვატულ პორეჩში, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებული გამოსვლისთვის - 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო, ასეთია მათი მონაგარი. კონტინენტის ჩემპიონი **ლევან მატიაშვილი** (+100) გახდა, **ლერი ჭელიძე** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60), **ფრიდონ გიგანი** (73) და **ბექა ღვინიაშვილი** (81) მეორეზე გავიდნენ, **ლევან გუგავა** (73) და **გურამ თუშიშვილი** (100) - მესამეზე. ამასთან, **ბექა ვიბლიანი** (66), **რევაზ ნულუკიძე** (90) და **როსტომ ხახალეიშვილი** (+100) მეხუთეზე გავიდნენ.

სტატისტიკურად მშვენიერი გამოსვლაა - 8 წონიდან 5-ში ფინალში, 16-დან 10-მა მედლისთვის იჭიდავა და საბოლოოდ 7 ჯილდო ვირგუნეთ. ბიჭებში მედლების საერთო რაოდენობით პირველზე ვართ და მეორეზე მყოფ რუსეთს 2 მედლით ვუსწრებთ. თუმცა მსგავს რეიტინგში უპირატესობას ოქროებს აძლევენ და ამ მაჩვენებლით მესამეზე ვართ რუსეთისა და საბერძნეთის შემდეგ. თუ ბიჭებისა და გოგოების საერთო მაჩვენებელს დავაჯამებთ, მხოლოდ რუსეთი გვისწრებს - 9 მედალი, ოღონდ გოგოების ხარჯზე. ჩვენ და საფრანგეთს 7-7 მედალი გვაქვს. „მამლებსაც“ ძირითადად გოგოები წაეხმარნენ და ისინიც ოქროებით გვისწრებენ. ეს კიდევ ერთი მაგალითი, რომ ყურადრება ქალთა ძიუდოსაც უნდა მიექცეს. არადა, ამ ტურნირზე გოგოებში მონაწილე საერთოდ არ გვყოლია. ძირითადად უფულობის გამო 16-წლიანთა ნაკრებიც შეფერხდა, ეს მდგომარეობა კი გამოსასწორებელია.

უმედლოდ მხოლოდ ორ წონაში - 66 და 90-ში დავრჩით, თუმცა ბრინჯაოსთვის იქაც ვიჭიდავეთ. ეს ყველაფერი სტაბილურობაზე მიუთითებს, ანუ სუსტი წერტილები გუნდს პრაქტიკულად, არ აქვს. ეს ყველაფერი **გია გუგავას** ახალი სამწვრთნელო მეთოდიკის დამსახურება გვგონია, რომელიც მეორე სეზონია, ამტკიცებს თავის მაღალ დონეს, თუმცა გვერდითაც მრავალი ცნობილი ფალავანის აღმზრდელი **გურამ მოდებაძე** უდგას. ცხადია, მზადების კონკრეტულ ეტაპზე ან უშუალოდ ტურნირის მიმდინარეობისას ცალკეულ ეპიზოდებში, რამაც განწყობა, საბრძოლო ტონუსი უნდა შექმნას, მისი როლი განუზომელია. ოღონდ, ნაკრების მოსამზადებელ გეგმას მაინც მთავარი მწვრთნელი ამტკიცებს, გუგავამ კი ახალი ელემენტები, თუნდაც ფიზმომზადების მხრივ, ჯერ კიდევ შარშანვე შეიტანა მასში.

ამ გუნდის გამოსვლის მთავარ ნაკლად ამდენი ფინალის წაგება მიგვაჩნია, თუმცა რაღაც გამართლება იქნებ ამასაც ჰქონდეს - რამდენიმე პრინციპული შეხვედრა ისეთი ქვეყნების წარმომადგენლებთან დავთმეთ, რომლებსაც მასობრივად ჩამოჰყავთ გადაზრდილები. თუმცა სწორედ ასაკობრივი ფაქტორია ის კიდევ ერთი ძალიან კარგი ნიუანსი, რაც სიხარულისა და დაიმედების უფლებას გვაძლევს - ამ ბიჭების დიდი ნაწილი ახალი გადმოსულია ჭაბუკთა ნაკრებიდან და 17 წლისებს რამდენიმე წლით უფროსებთან უწევთ პაექრობა. შარშანდელი შემადგენლობიდან ჭელიძე, მარგველაშვილი, გიგანი და მატიაშვილი არიან, სხვა მედალოსნები კი შარშან ჭაბუკებში გამოდიოდნენ. იმათგან ღვინიაშვილი და თუშიშვილი ნოემბერში ახალგაზრდულ მსოფლიოზე კი აჭიდავეს, მაგრამ უფრო გამოცდილების მისაღებად წაიყვანეს (თუმცა ღვინიაშვილმა ბრინჯაოსაც გამოჰკრა ხელი) და ეს მაინც არ იყო იმ დონის გამობრძმედა, რაც ერთი ასაკიდან მეორეში გადანაცვლებას სჭირდება. მისასალმებელია, რომ ახლებმა თავი არც აქ შეირცხვინეს და ადაპტაცია კარგად გაიარეს.

სტატისტიკის გარდა, გუნდის ახლანდელი გამოსვლა სასიამოვნო ჭიდაობის მაღალი ხარისხითაც იყო - თითქმის ყველა მედალოსანმა საკმაოდ დამაჯერებელი მომზადება აჩვენა. ნორმალური იყო ფიზიკური მომზადებაც და ტექნიკურ-ტაქტიკური დონეც, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი წარმატების იმედს გვიტოვებს.

ჭელიძის მსგავსად, მატიაშვილიც ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია და ესეც ზედიზედ მეორედ გავიდა ევროპირველობის ფინალში, თუმცა, თანაგუნდელისგან განსხვავებით, ამან ამჯერად გაიმარჯვა და მეორე ცდით უწია მიზანს. ის მზარდი და ნიჭიერი სპორტსმენია, რომელზეც გუგავა ხშირად ამბობდა, მისი სახით ნაკრებს კარგი კადრი ეზრდებაო, რაც პორეჩში გამართლდა კიდეც. ჩვენებურმა 5-დან 4 შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო, ერთში კი დამატებითი დრო დასჭირდა. თავიდან ესტონელ **ჰენრიხ სილდვეერს** ვაზარით მოუგო, თურქ **სემიჰ ადიამანს** - იპონით. რუს პიტრ კაკოვკინთან ყველაზე მეტად გაუჭირდა და დამატებითში მოუგო გაფრთხილებით, ბოლო ორ შეხვედრაში კი უკრაინელები დაჯაბნა - ნახევარფინალში **ანდრეი კოლესნიკს** ვაზარით აჯობა, ხოლო ფინალში **მიკიტა დიბრინი** დააიპონა. უკრაინელებმა მისი ჯავრი ხახალეიშვილზე იყარეს - დიბრინმა ქართველს მეოთხედფინალში მოუგო, კოლესნიკმა კი ბრინჯაოს მედალი არ დაანება.

>> მე-11 გვერდზე



ლევან მატიაშვილი (თეთრ კიმონოში)

### განცხადება

2012 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა.

დღის წესრიგი: კომიტეტის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, გენერალური მდივნის და გამგეობის წევრების არჩევა.

კომიტეტის პრეზიდენტის კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 2 ოქტომბრის 17 სთ, კომიტეტის ოფისში (ტელ: 591.331.212).

« მე-10 გვერდიდან

ჩვენები მშვენივრად გამოვიდნენ 73-შიც - გიგანიც და გუგავაც ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ ორივეს ბედისწერად პოლონელი **დამიან შვარნოვიცკი** ექცა, რომელმაც ჯერ გუგავა დააიპონა, ფინალში კი გიგანიც წმინდად დაგვიმარცხა. ეს წონა ნაკრებში შარშანაც ერთ-ერთი დასაყრდენი იყო და წარმატება წლეულსაც გრძელდება. 19 წლის გიგანი შარშანაც ჭიდაობდა ამ გუნდში, გუგავა კი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და ახალგაზრდებში პირველად გამოდიოდა. ის ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორია. გიგანმა პორეჩში ფინალამდე ოთხივე ბრძოლა იპონით მოიგო. მათ შორის - საბერძნეთში გადასულ **რომან მასტოუპულოსთან**, რომელიც **გიორგი რევაზიშვილის** შვილია და ჭაბუკებში რუსთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **არბი ხამხოევთან**. არანაკლებ შთამბეჭდავია გუგავას სტატისტიკაც - 6-დან 4 შეხვედრა წმინდად მოიგო, ერთში კი ვაზარით იმარჯვა ჭაბუკებში რუსთა ევროპის ჩემპიონ **დმიტრი ზუევთან**.

ბექა ლვინიაშვილი რომ ქომაგთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, არახალია. სამწუხაროდ, წლეულს ის მეორედ დამარცხდა ბერძენ **ალექსიოს ნტანაციდისთან** - პირველად ბერძნულ მუდანიაში, საერთაშორისო ტურნირზე, მეორედ - პორეჩში ფინალში. ამჯერად ჩვენებურს ხელი სტკიოდა და იქნებ წაგება ამის ბრალიცაა, სტატისტიკა კი ამასაც კარგი აქვს - 6 შეხვედრიდან 5 მოიგო. მათ შორის - 3 იპონით, 2 - ვაზარით, მეორე წრეში კი ევროპის რუსი მოქმედი ჩემპიონი **ხასან ხალმურზაევი** დაამარცხა.

სასიამოვნოა თუშიშვილის გამოსვლაც - ჭაბუკებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი პირველხარისხოვან შეჯიბრებაზე სულ მეორედ ჭიდაობდა ახალგაზრდებში და ბრინჯაომდე მივიდა. მან ძალიან კარგად გაიარა ჯგუფური ეტაპი - სამივე შეხვედრა იპონით მოიგო და ნახევარფინალში გავიდა, სადაც რუსთა მომავალ ჩემპიონ **ოლეგ იშიმოვთან** წმინდად წააგო, ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაში კი ფრანგი **ნაბილ მაჩტროუ** ვაზარით დაამარცხა.

90-ში უმედლოდ კი დავრჩით, მაგრამ დებიუტანტი **რევაზ წულუკიძე** ნახევარფინალში გავიდა. სამწუხაროდ, ბექა ვიბლიანის მსგავსად მერე ისიც ჰოლანდიელებმა დაჩაგრეს - ნახევარფინალში **მიხაელ კორელთან** იუკოთი წააგო, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი **მაქს დე ვრეეზესთან** წმინდად დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# თელავი ქალას იკრებს

ქართველი ჩოგბურთელებისთვის ეს კვირა საინტერესო პაექრობებით იქნება აღსავსე. სანამ შეჯიბრებებზე ვიტყოდეთ რამეს, ჩვენებურთა სარეიტინგო მდგომარეობას გაგაცნობთ: **ანა ტატიშვილი** 1162 ქულით მისთვის კვლავაც საუკეთესო - 52-ე ადგილზეა. ასევე, უცვლელი დარჩა **სოფიო შაფათავას** მაჩვენებლები - 173 ქულით უწინდებურად 290-ეა. 19 საფეხურით წაიწია წინ **მაკა ჩახნაშვილმა** და 161 ქულით მე-300 პოზიცია უკავია. დანარჩენები: 380 (369). **სოფიო ქვაცაბაია** (104), 472 (471). **ეკატერინე გორგოძე** (67), 607 (608). **ნათია გეგია** (40), 662 (660). **ოქსანა კალაშნიკოვა** (33), 718 (617). **თათია მიქაძე** (27), 950 (952). **ანი გოგვაძე** (11), 1069 (1070). **თამარ ჭალაგანიძე** (6 ქულა). აქვე ჩვენი ვაჟების მონაცემებსაც გაუწყებთ: **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, რომელიც კვლავ საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავს და ერთი კვირის წინათ თბილისის 15.000-იანი საერთაშორისო ტურნირიც მოიგო, 143 ქულით 309-ე ადგილზეა. სარეიტინგო მდგომარეობა გარკვეულწილად გაიუმჯობესეს **ალექსანდრე მეტრეველმა** (952-დან 929-ე ადგილი) და **გიორგი ჯავახიშვილმა** (1653-იდან 1429-ე ადგილი), **გიორგი ცივაძემ** კი 21 საფეხურით უკან გადაიწია და დღეს 1532-ეა.



სოფიო შაფათავა

ახლა კი ამ კვირას დაგეგმილი შეჯიბრებების შესახებ (ჩინეთის საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 4.828.050 დოლარი) 29 სექტემბრიდან დაიწყება. ანა ტატიშვილი პეკინში პირველად ითამაშებს და ასპარეზობაში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაებმება). უპირველესად, ალბათ, თელავის ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) უნდა აღვნიშნოთ. ჩვენებურთაგან ძირითად ბადეში მოხვდნენ მაკა ჩახნაშვილი და სოფიო შაფათავა, ასევე, ველური ბარათით მიწვეულები - სოფიო ქვაცაბაია, ნათია გეგია, ოქსანა კალაშნიკოვა და ეკატერინე გორგოძე. ტურნირის რეიტინგფავორიტია უკრაინელი **ლესია ცურენკო**, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციით 111-ე ადგილი უკავია.

საკვალიფიკაციო ეტაპიდან 11-მა ქართველმა ჩოგბურთელმა აიღო სტარტი. 9 მათგანი, სამწუხაროდ, პირველსავე წრეში დამარცხდა, ორმა კი თანამემამულეთა ძლევით გააღწია მხოლოდ მომდევნო ეტაპზე: **ანი გოგვაძე - ლანა როსტიაშვილი** 6:4, 6:1, განა როზნიხირენკო (უკრაინა) - გოგვაძე 6:1, 6:2; ეკატერინა წიკლაური (რუსეთი) - **ანა დობორჯგინიძე** 6:2, 6:2, დარია ლებეშევა (ბელარუსი) - **ბაბილინა მაჩაიძე** 6:2, 4:6, 6:3, ჰილდა მელანდერი (შვედეთი) - **ბარბარე ერისთავი** 6:27 6:3, **მარიამ გოგელაშვილი - მარიამ ქურასბედიანი** 6:3, 6:1, მარგარიტა ლაზარევა (რუსეთი) - გოგელაშვილი - 6:2, 6:1, ვიქტორია კანი (რუსეთი) - **მარგალიტა ჭიჭაშვილი** 6:0, 6:0, ემილია გაჯიევა (რუსეთი) - **ესთერ სარქისიანი** (საქართველო) 6:2, 6:1, ლაურა პოუს-ტიო (ესპანეთი) - **თამარ ჭალაგანიძე** 6:1, 6:1.

ძირითადი ბადის პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: ეკატერინე გორგოძე - მაკა ჩახნაშვილი, სოფიო შაფათავა - ინეს ფერერი-სუარესი (ესპანეთი), ოქსანა კალაშნიკოვა - ანასტასია გრიმალსკა (იტალია), სოფიო ქვაცაბაია - ტერეზა მრდეზა (ხორვატია), ნათია გეგია კი მოწინააღმდეგეს საკვალიფიკაციოდან ელოდება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ქართველთა ოქტეტი ბაქოში

აზერბაიჯანის დედაქალაქში დაიწყო მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი - „ბაქო-2012“, რომელშიც 10 ქვეყნის 64 წარმომადგენელი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის, მათ შორის - 8 საქართველოდანაა. ტურნირის საპრიზო ფონდია 50.000 დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 10.000-ს მიიღებს. მომდევნო ოთხ ადგილზე გასულნი, შესაბამისად, 6.000, 4.000, 2.000 და 1.500 დოლარით დაჯილდოვდებიან. სულ 30 საუკეთესო მიიღებს ფულად პრიზს. ქალთა შორის საუკეთესო სამეულისთვის, შესაბამისად, 600, 400 და 200 დოლარია დაწესებული.

უკვე გათამაშდა სამი ტური. გუშინ მეწინავეთაგან ბარის ესენმა (თურქეთი) შავი ფიგურებით ევგენი ალექსეევი (რუსეთი) დაამარცხა. მასპინძელმა ელთაჯ საფარლიმ თანამემამულე ვასიფ დურარბეილის მოუგო, ხოლო მაგჰამი ჩაემი (ირანი) და გადირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) დაზავდნენ. ტურნირის რეიტინგფავორიტმა (2705) ანტონ კორობოვმა (უკრაინა) მუსტაფა იილმაზი (თურქეთი) დაჯაბნა. ჩვენებურთა შეხვედრები აზერბაიჯანელ მეტოქეებთან ასე დამთავრდა: ლომგულ გულიევი - **მიხეილ მჭედლიშვილი** 0,5:0,5, კანან იზატი - **თორნიკე სანიკიძე** 0,5:0,5, **სალომე ხაჟომია** - აზერ მირზოევი 0:1, ნიჯათ ასაევი - **გაიოზ ნიგალიძე** 0,5:0,5, ნარმინ კაზიმოვა - **ნინო ბაციაშვილი** 0:1, **სოფიკო ხუხაშვილი** - საბინა იბრაგიმოვა 1:0, გულნარ მამადოვა - **ანა გავაშელი** 1:0, ქანან ჰეიდარლი - **ლევან ფანცულაია** 0,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ: ესენი, საფარლი - 3-3, კორობოვი, გუსეინოვი, მამედოვი, პარიმარიჯან ნეგი - 2,5-2,5... მჭედლიშვილი, სანიკიძე, ბაციაშვილი, ხუხაშვილი - 2-2, ხაჟომია, ნიგალიძე - 1,5-1,5, გავაშელი, ფანცულაია - 1-1 ქულა.

დღეს მე-4 ტურის პაექრობები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

სუმო. სექტემბრის ბაშო



# დაგვიანებული გამოფხიზლება

შემოდგომის ბაშოს ბოლო დღეებში **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** მიჯრით მოიგო, ჯერ **ტოიოჰიბიკი** დაამარცხა, შემდეგ კი მძიმეწონოსანი **მიაბიამა**. სამწუხაროდ, ჩვენებურის გამოფხიზლება ნაგვიანევი იყო - ლევანი აუცილებლად დაკარგავს კომუსუბის ტიტულს, რადგან ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა - 6-9. კიდევ უფრო ცუდად იასპარეზა მე-2 მაეგაშირა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, 212-კილოგრამიანი ქართველის ბალანსი 4-11-ია. **კოკაი (ლევან ცაგურია)** კი პროფესიული სუმოს სამყაროს სამუდამოდ დაემშვიდობა.

იმპერატორის თასი ბრწყინვალე შედეგით (15-0) მონღოლმა ოძეკი **ჰარუმაფუჯიმ** მოიგო, რომელიც მომდევნო ბაშოზე უკვე დიდი ჩემპიონის რანგით იჭიდავებს.

**XIV დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო- კისენოსატო (ჰატაკიკომი), ჰარუმაფუჯი-კაკურიუ (იორიკირი), ტოჩიოძანი-გოეიდო (ოკურიდაში), მიოგირიუ-ტაკეკაძე (ოკურიდაში), **ტოჩინოშინი**-ტოიოჰიბიკი (ჰატაკიკომი), აოიამა-ჰომაშო (ცუკიტაოში), კაისეი-მასუნოიამა (იორიტაოში), შოჰოზანი-**გაგამარუ** (ცუკიოტოში) , ამინიშიკი-ტაკაიასუ (იორიკირი).

**ბოლო დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰრუმაფუჯი-ჰაკუჰო (მიტატენაგე), კაკურიუ-კისენოსატო (ოშიდაში), ამინიშიკი-მიოგირიუ (ცუკიოტოში),გოეიდო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოკიტენკუ-აოიამა (ჰატაკიკომი), **ტოჩინოშინი**-მიაბიამა (იორიკირი), ჰომაშო-კაისეი (იორიკირი), შოტენრო-**გაგამარუ** (სუკუინაგე).

**საბოლოო მდგომარეობა**

**15-0:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი).

**14-1:** -

**13-2:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**12-3:** -

**11-4:** კაკურიუ (ოძეკი), ოკინოუმი (მაეგაშირა 8).

**10-5:** კისენოსატო (ოძეკი), მიოგირიუ (სეკივაკე), ამინიშიკი (მ 4), ტაკაიასუ (მ 9), კიოკუტენჰო (მ 11).

**9-6:** ჰომაშო (მ 3), ტოჩიოძანი (მ 5).

**8-7:** გოეიდო (სეკივაკე), ტაკეკაძე (მ 5), მასუნოიამა (მ 6), ასასეკირიუ (მ 13), ასაჰიშო (მ 14), ფუჯიაზუმა (მ 15).

—

**7-8:** შოჰოზანი (მ 1), კაისეი (მ 1), ტოიოჰიბიკი (მ 4), დაიდო (მ 8), იოშიკაძე (მ 10), ვაკანოსატო (მ 11).

**6-9:** **ტოჩინოშინი** (კომუსუბი), ტოიონოშიმა (მ 3), ტოკიტენკუ (მ 6), შოტენრო (მ 7), კიტატაიკი (მ 9), ვაკაკოიუ (მ 10), ჩიოტაირიუ (მ 12), ტენკაიჰო (მ 13), კიმურაიამა (მ 14), ტაკანოიამა (მ 16).

**5-10:** მიაბიამა (მ 5), ტაკარაფუჯი (მ 12), სადანოფუჯი (მ 15).

**4-11:** აოიამა (კომუსუბი), **გაგამარუ** (მ 2).

**3-12:** არანი (მ 2).

**2-13:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი)

**1-14:** ბარუტო (ოძეკი).

**ტიტულები**

**იმპერატორის თასი:** ჰარუმაფუჯი (მე-4)
**შესანიშნავი ასპარეზობა:** ტოჩიოძანი (1-ელი)
**მებრძოლი სული:** არავის
**ტექნიკური რიკიში:** მიოგირიუ (მე-4)
**ძურიოს ჩემპიონი:** ჯოკორიუ (1-ელი)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფარიკაობა

# 15-წლიანთა სპორტული სიმწიფე

**ქრისტინე მიქაძე** და **მიქაელ მიქაელიანი** ჯერ მხოლოდ 15 წლისანი არიან, მაგრამ გუშინწინ უფროსებთან პაექრობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა შეძლეს. მოფარიკავეთა საქართველოს ჩემპიონატის დასკვნით დღეს დაშნაში გამოვლინდნენ მედალოსნები. ქუთაისელმა მიქაძემ (მწვრთნელი **ნათია ჩუბინიძე**), რომელსაც თანატოლებში არაერთხელ მიუღწევია წარმატებისთვის, ნახევარფინალში თბილისელ **მარიამ ლომიძეს** აჯობა 15:12 და გადამწყვეტ პაექრობაში **თეონა ბენიძის** (ქუთაისი) მძლეველ (15:10) თანაგუნდელს - მარია ზაკირჩენკოს დაუპირისპირდა. მარია 1996 წელსაა დაბადებული. იუნიორებში საქართველოს 2010 წლის ჩემპიონია, შარშან უფროსებში მეორე ადგილი დაიკავა. ამჯერადაც ვერცხლის მედალს დასჯერდა. არადა, ახლოს იყო გამარჯვებასთან: მიქაძესთან მისი პაექრობა დრამატულად წარიმართა: ჯერ ზაკირჩენკო იგებდა, მერე მიქაძე დაწინაურდა - 14:13. მარიამ ანგარიში გაათანაბრა - 14:14. ამის შემდეგ მეტოქეებმა ერთმანეთს ხუთ-ხუთჯერ ერთდროული ჩხვლეტა მიაყენეს - 19:19, ბოლოს მაინც მიქაძემ იყოჩაღა - 20:19 გაიმარჯვა და უფროსებში პირველად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

უფრო მშვიდად წარიმართა მიქაელ მიქაელიანისა (თბილისი) და **დავით არველაძის** (ქუთაისი) გადამწყვეტი შეხვედრა. არადა, მიქაელიანმა ნახევარფინალში მძიმე ბრძოლა გადაიტანა რიონისპირელ **ირაკლი ამბროლაძესთან** - შეხვედრის ბედი ბოლო ჩხვლეტამ გადაწყვიტა თბილისელის სასარგებლოდ - 15:14. ფინალამდე არველაძემ იოლად მოუგო რუსთაველ **გიორგი ქაფიანიძეს** - 15:9.

მიქაელი თბილისში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ ფარიკაობის ანაბანას ერევანში ეზიარა, სადაც რამდენიმე წლის წინათ გადასახლდა მისი ოჯახი. წლეულს მიქაელიანები თბილისს დაუბრუნდნენ. 15 წლის მუშკეტერმა (ამჟამად **ნოდარ დიდია** ავარჯიშებს) გაზაფხულზე ქუთაისში **გალაქტიონ ჩიქოვანის** თასზე მესამე ადგილი დაიკავა, გუშინწინ კი საქართველოს ჩემპიონატის ფინალში არველაძე დაამარცხა (15:7) და ოქროს მედალი დაიმსახურა.

შაბათს მოფარიკავეთა ეროვნულ პირველობაზე რაპირათი მოასპარეზეებმა გაინაწილეს მედლები. ვაჟებში მამა-შვილ - **ლუდვიგ** და **ირაკლი ღლანიძეების** შეგირდებმა იყოჩაღეს: **ლუკა ღლანიძემ,** რომელიც შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულია, ნახევარფინალში ქუთაისელი **ავთანდილ ჭეიშვილი** დაჯაბნა - 15:7. ასეთივე ანგარიშით საქართველოს ნაკრების წევრმა **არჩილ უგულავამ** (თბილისი) ბათუმელ **ირაკლი ჭელიძეს** აჯობა. ფინალში უგულავამ 15:11 გაიმარჯვა და ჩემპიონობაც მოიპოვა. გოგონებში მსგავს წარმატებას მიაღწია თბილისელმა **თეონა გოგლიძემ** (მწვრთნელი **თეონა ნიშნიანიძე**), რომელმაც ნახევარფინალში რუსთაველი **მარიამ ცუხიშვილი** დაამარცხა (15:4), ფინალში თანაქალაქელ **ნუცა იაგორაშვილს** (ამ უკანასკნელმა **ანა მელიას** სძლია - 15:8) დააყრევინა ფარ-ხმალი - 15:10.

- შეჯიბრება, რომელშიც თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აჭარისა და ოზურგეთის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, საინტერესოდ წარიმართა, - გვითხრა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ.** - განსაკუთრებით 15-წლიანმა მოფარიკავეებმა - მიქაძემ და მიქაელიანმა გაგვაკვირვეს უშელავათო პაექრობებით. კარგი ახალგაზრდობა მოდის, რაც გვაიმედებს. 5-7 ოქტომბერს ერევანი რაპირასა და დაშნაში 1996 წელსა და უფრო გვიან დაბადებულთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ჩვენგან სომხეთის დედაქალაქში იასპარეზებენ: ლუკა ღლანიძე, გიორგი გელაშვილი, ლაშა გალუაშვილი, თეო გოგლიძე, მარიამ ცუხიშვილი, ანა მელია (ყველა - რაპირა), მიქაელ მიქაელიანი, ირაკლი ფანცხავა, ქრისტინე მიქაძე, მარია ზაკირჩენკო (ყველა - დაშნა). 19-21 ოქტომბერს კი თბილისი მეორედ უმასპინძლებს ხმალში 23-წლამდელთა მსოფლიოს თასის ეტაპს. მანამდე სახელოვანი იტალიელი სპეციალისტი, მსოფლიოს ჩემპიონატისა და გუნდურში ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის - ლუიჯი ტარანტინოს პირადი მწვრთნელი მარკო სიესტო გვეწვევა. საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომით მომავალი წლიდან მასთან ხელშეკრულების გაფორმებას და მოხმალავეთა მთავარ მწვრთნელად დანიშვნას აპირებს და სიესტომაც მომავალ შეგირდთა თბილისის ტურნირზე დაზვერვა მოინადინა...



მარია ზაკირჩენკო (მარცხნივ) და ქრისტინე მიქაძე

**კვარცხლბეკი**

**ხმალი**

**ქალები.** 1. თეონა ყვავაძე, 2. ანა სინატაშვილი, 3. თეონა კენჯია და ქრისტინე სანდუხაძე (ყველა - ქუთაისი).

**ვაჟები.** 1. ბექა ბაზაძე (ქუთაისი), 2. საბა სულამანიძე (თბილისი), 3. სანდრო ბაზაძე და გიორგი გორგიძე (ორივე - ქუთაისი).

**რაპირა**

**ქალები.** 1. თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი, 3. ანა მელია (სამივე - თბილისი) და მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი).

**ვაჟები.** 1. არჩილ უგულავა, 2. ლუკა ღლანიძე (ორივე - თბილისი), 3. ირაკლი ჭელიძე (ბათუმი) და ავთანდილ ჭეიშვილი (ქუთაისი).

**დაშნა**

**ქალები.** 1. ქრისტინე მიქაძე, 2. მარია ზაკირჩენკო, 3. თეონა ბენიძე (სამივე - ქუთაისი) და მარიამ ლომიძე (თბილისი).

**ვაჟები.** 1. მიქალე მიქაელიანი (თბილისი), 2. დავით არველაძე, 3. ირაკლი ამბროლაძე (ორივე - ქუთაისი) და გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი).

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

თვალსაზრისი

# შერმადინი იქ, შერმადინი აქ

## კლუბში უკეთ, ვიდრე ნაკრებში... რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ნაკრების თამაშებს ადევნებდა თვალს და შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ ჩვენი ლეგიონერების გამოსვლასაც აკვირდება, უთუოდ დაებადებოდა შეკითხვა: **გიორგი შერმადინი** კლუბში უკეთესად რატომ თამაშობს, ვიდრე ნაკრებში?

რატომ შეიძლება გაჩენილიყო ეს კითხვა, ახლავე მოგახსენებთ. კვირას შერმადინმა თელ-ავივის „მაქაბისთან" ერთად გერმანიაში დაასრულა ბამბერგის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი ბერძნული „ოლიმპიაკოსი", რუსული „ხიმკი" და ევროლიგის წარმომადგენელი ბამბერგის „ბროსე" მონაწილეობდნენ. რუსებთან გიორგი (1989 წელი, 216 სმ) 15 ქულით მაქაბელთა ბომბარდირი გახდა, გერმანელებთან 10 ქულა ჩააგდო, ხოლო გაცილებით ძლიერ „ოლიმპიაკოსთან" 14 ქულა, 14 მოხსნა, 2 დაფარება, 3 პასი მოაგროვა, არც საჯარიმო და არც ორქულიანი ტყორცნა არ აუცილებია. ეს ყველაფერი 22 წუთში მოასწრო. მოკლედ, სწორედ ქართველი ცენტრი იყო ევროლიგის ჩემპიონის ძლევის მთავარი შემოქმედი. „მაქაბიში" ჩატარებულ სადებიუტო ტურნირზე ახალბედა გიორგის საშუალო მონაგარი ასე გამოიყურება: **3 მატჩი, 20.3 წუთი, 13.0 ქულა, 9.0 მოხსნა.**

ახლა საქართველოს ნაკრებში შერმადინის წლევანდელ მონაგარს გადავხედოთ: **8 მატჩი, 16.9 წუთი, 5.1 ქულა, 4.6 მოხსნა (0.6 შეცდომა).**

წუთობრივ მაჩვენებლებში სხვაობა მხოლოდ 3-ია, სამაგიეროდ გაცილებით დაბალია სანაკრებო ქულა-მოხსნების რაოდენობა. თუმცა „მხოლოდ ერთი კუთხით შედარება საქმის არსის შესაცნობად საკმარისი არ არის", - არაერთგან უწერია თავის ნაშრომში ივანე ჯავახიშვილს, რომელიც თუნდაც ერთი სიტყვის წარმომავლობის დასადგენად უამრავ წყაროს იშველიებს. ასევე არ შეიძლება მხოლოდ სამ თამაშზე დაყრდნობით ვთქვათ, რომ შერმადინი კლუბში უკეთესად ირჯება, ვიდრე ნაკრებში. რეალური სურათის შესაქმნელად აუცილებელია ისტორიასაც გადავხედოთ.

2012 წლის სტატისტიკა ზემოთ გაგაცანით.

**2011-12 წლების სეზონში იტალიური „კანტუს" მაისურით ევროლიგის ტოპ-16-ში: 6 მატჩი, 24.6 წუთი, 13.2 ქულა, 6.3 მოხსნა (1.5 შეცდომა).**

2011 წელს ევრობასკეტზე: 8 მატჩი, 15.3 წუთი, 4.4 ქულა, 4.4 მოხსნა (1.6 შეცდომა).


2012 წელი. შერმადინი ბოსნიასთან მატჩისას


2011 წელი. შერმადინი ოლიმპიას მაისურით ბარსელონას წინააღმდეგ

**2010-11 წლების სეზონში სლოვენიური „ოლიმპიას" შემადგენლობაში ევროლიგის ტოპ-16-ში: 6 მატჩი, 21.1 წუთი, 10.0 ქულა, 5.2 მოხსნა (1.7 შეცდომა).**

2010 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე - 8 მატჩი, 11.4 წუთი, 5.0 ქულა, 3.1 მოხსნა (0.5 შეცდომა).

იყო მომენტი, ვიდრე „ოლიმპიაში" ფეხს მოიკიდებდა, პირველ წრეში მწვრთნელი მეტად არათანაბრად ათამაშებდა. ასე და ამგვარად, კიდევ უფრო ლოგიკურ სახეს იღებს კითხვა: რატომ კლუბში, ვიდრე ნაკრებში?

პასუხის ძიება იოლი საქმე როდია. მხოლოდ ციფრების ენით მსჯელობა, არ კმარა. როცა ასეთ საკითხს ეხები, შერმადინის სანაკრებო თამაშებიც ნანახი უნდა გქონდეს და საკლუბოც. საბედნიეროდ, ტექნიკურმა პროგრესმა საშუალება მოგვცა ზემოთ ჩამოთვლილი ევროლიგის შეხვედრები კომპიუტერის ეკრანზე გვეხილა. ეროვნული გუნდის თამაშებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

### შემადგენლობა

პირველი მოსაზრება ნაკრების შემადგენლობასთანაა დაკავშირებული. 90-იან წლებში საქართველოს ნაკრებში ცენტრად **ვლადიმერ სტეფანია** თამაშობდა, რომელიც თავის ამპლუაში ფაქტობრივად შეუცვლელი იყო. 1999 წელს გუნდში დებიუტი ჰქონდა 16 წლის **ზაზა ფაჩულიას**. მას შემდეგ იგი შეუცვლელ კალათბურთელად იქცა (სტეფანია ნაკრებში აღარ იყო). კლუბებში ზაზაც და ვოვაც უმაღლეს დონეზე, ევროლიგასა და NBA-ში თამაშობდნენ და თამაშობენ (ფაჩულიას იგულისხმება). ასევე ახალგაზრდულ ასაკში გამოჩნდა ნაკრებში გიორგი შერმადინი, რომელსაც ევროლიგაზე ასპარეზობის საკმარისი გამოცდილება მოუგროვდა... თუმცა მას ნაკრებში ფაჩულია დახვდა.

*- ზაზასნაირ კალათბურთელებს დიდ პატივს ვცემ. ის, როგორც ანდრეი კირილენკო, გუნდის ნამდვილი ლიდერია, შესაძლოა ეს ქულებში არ გამოიხატოს, მაგრამ როცა ფაჩულია მოედანზეა, მეტოქე დიდი თავსატეხის წინაშე დგება,* - ეს ფრაზა გიორგი შერმადინის ამჟამინდელმა მწვრთნელმა („მაქაბიში") **დევიდ ბლატმა** ევრობასკეტზე რუსეთთან თამაშის შემდეგ გვითხრა.

სლოვენიის „ოლიმპიაში" შერმადინი ერთადერთი ნომინალური ცენტრი იყო, ხოლო იტალიურ „კანტუში" სისწრაფემოკლებული **დენის მარკონატო** ჰყავდა კონკურენტად. გიორგი ერთგანაც და მეორეგანაც №1 ცენტრი იყო. საქართველოს ნაკრებში კი მეორე მეფარეა, ზაზა ფაჩულიას შემდეგ. ...მაგრამ ხომ არის შემთხვევები, როცა ზაზა ვერ თამაშობს. მაშინ, რატომ ვერ ირჯება შერმადინი ისე, როგორც კლუბში? ასეთი შემთხვევა გასულ შესარჩევზე სამჯერ იყო: რუმინეთთან (შინ და გარეთ) და ჰოლანდიასთან (თბილისში). კითხვაზე ქვემოთ ვუპასუხოთ.

### ტაქტიკა

საქართველოს ნაკრების მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** ექსპერიმენტები არ უყვარს. მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ოფიციალურ მატჩებში პირველად ჰოლანდიაში დააყენა მოედანზე ერთდროულად შერმადინი და ფაჩულია (ისიც რამდენიმე წუთით). ამ ამბავს თავად მწვრთნელმაც გაუსვა ხაზი და ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ორი ცენტრით თამაში მსოფლიოში მიუღებელი პრაქტიკაა. ზოგ გუნდში ეს მთავარ კოზირადაც ითვლება. საქართველოში ჩამოსულ ბერძენ **გეორგიოს კეცელიდისს** ჩვენი ნაკრების შესახებ რომ ველაპარაკეთ, თქვა - გასაკვირია, რატომ არ თამაშობენ შერმადინი და ფაჩულია ერთდროულად, ეს ხომ დიდი პლუსი იქნებოდაო?! ცხადია, ლაპარაკია გარკვეულ ეპიზოდებზე, არავინ ამბობს, ორი ცენტრი მოედანზე 40-40 წუთი უნდა იდგეს.

კოკოშკოვმა წინამორბედ მწვრთნელებთან შედარებით ტაქტიკური თვალსაზრისით ნაკრების თამაშში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ საქართველოს ნაკრები ევროპაში ტაქტიკურად ყველაზე გამართული გუნდია. 2012 წელს, შესარჩევი ეტაპის დასაწყისში სწრაფ კალათბურთს ვთამაშობდით, მოხსნისთანავე ბურთს მეტოქის ფარისკენ მივაქანებდით, რაც ქართული სტილია და უდავოდ მისასალმებელია. თუმცა ამ დროს უფრო ინდივიდუალური მონაცემებია მთავარი, ვიდრე ტაქტიკური მონახაზი. ასეთ სიტუაციაში ცენტრი სისწრაფეში ფორვარდებსა თუ უკანახაზელებს ვერ გაასწრებს. ამიტომ, ვერც გიორგი შერმადინი გამოიჩენდა თავს. შესარჩევის მეორე ნახევარში სწრაფი თამაში გაგვიჭირდა, რადგან ეს დიდ ენერგიას მოითხოვდა, მწვრთნელს კი წამყვანი კალათბურთელების სრულფასოვანი შემცვლელები არ ჰყავდა (ან არ ენდობოდა). ამიტომ უფრო დინჯ თამაშზე გადავედით, ბურთი მეტოქის ნახევარზე **გიორგი ცინცაძეს** გადაჰქონდა და იქ ვათამაშებდით. მთავარი ამოცანა ბურთის ზაზა ფაჩულიამდე მიტანა იყო, რომლის შეჩერებაც ყველა მოწინააღმდეგეს უჭირდა. როცა ზაზა ვერ თამაშობდა, ტაქტიკაც იცვლებოდა, ბურთის ცენტრამდე მიტანა პრიორიტეტად არ რჩებოდა. თავად განსაჯეთ: შერმადინს 8 მატჩში მოედანზე გატარებულ 135 წუთში მხოლოდ 20 ორქულიანი (10 ჩაგდებული) და 23 საჯარიმო აქვს ნატყორცნი. „კანტუს" მაისურით კი ევროლიგის ტოპ-16-ში 149 წუთში 46 ორქულიანი და 40 საჯარიმო სტყორცნა. ამის მიზეზი სწორედ სტრატეგიაა:

*- „კანტუ" იტალიაში ძალიან მოძრავი გუნდია. მის კომბინაციებზე რომ ვვარჯიშობდით, ვირტუსელები ვიღლებოდით. წარმოიდგინეთ, რაოდენ რთული იყო კანტუელთა დევნა უშუალოდ თამაშისას,* - გვითხრა **ვიქტორ სანიკიძემ.**

არც „კანტუს" თამაში ეწყობოდა შერმადინზე, მაგრამ ბურთი შემადგენლობასთან ერთად იმდენად სწრაფად ტრიალებდა, რომ ცენტრი ხშირად რჩებოდა დაუცველი (ისევე როგორც პერიმეტრის მოთამაშეები). პასი კი არასოდეს აგვიანებდა. ამიტომ, გიორგისთან ერთად ფორვარდებიცა და უანახაზელებიც ხშირად უტევდნენ მეტოქის კალათს..

### ნდობა

როცა იცი, რომ მეორე ნომერი ხარ და მატჩში დაახლოებით 10-12 წუთი მოგიწევს მოედანზე ყოფნა, ითამაშებ ისევე თამამად, როგორც კლუბში, სადაც მწვრთნელი გეუბნება: „ბარსელონასთან" მატჩის ბოლო წუთზე ბურთი შენ უნდა მიიღო, რათა მეტოქემ წესების დარღვევით შეგაჩეროს და გადამწყვეტი ჯარიმები შეასრულოო! „კანტუსთვის" შერმადინს ბოლო წამებზე არაერთი კარგი საქმე გაუკეთებია, ძნელი გასახსენებელია, მის გამო თამაში წაეგოს.


2011 წელი. კანტუელი შერმადინი ბარსელონას ფარქვეშ

გიორგის ნაკრებში მაშინაც კი, როცა ფაჩულია ვერ თამაშობს, ბოლო წუთებზე მოედანზე ყოფნა თითქმის არ უწევს. გამონაკლისი მხოლოდ ჰოლანდიასთან თბილისური მატჩი იყო, რომელშიც არც ფაჩულიას უთამაშია და არც შენგელიას. გადამწყვეტ მომენტში მწვრთნელი მასზე მეტად სხვას ენდობა. ეს ნებისმიერი კალათბურთელის ფსიქოლოგიაზე მოქმედებს.

ლატვიელთა დამრიგებელმა **აინარს ბაგაცკისმა** გიორგი შერმადინზე ლაპარაკისას გვითხრა:

*- კლუბსა და ნაკრებში იგი სხვადასხვა მოთამაშეა. ეროვნულ გუნდში სითამამე, თავისუფლება აკლია. მან რომ არ იცოდეს, სათამაშო დრო 10-15 წუთზე მეტი არ ექნება, ვფიქრობ, გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეეძლება.*

როგორც ხედავთ, დასაწყისში დასმულ კითხვაზე პასუხისთვის ფსიქოლოგიას, ტაქტიკას, შემადგენლობას და სხვა არაერთ ნიუანსს გადავწვდით. მწვრთნელის ფაქტორზეც დავწერეთ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, გაცილებით სახელიანი დამრიგებლის ხელში სიტუაცია იგივე იყოს. იგორ კოკოშკოვს საქართველოს ნაკრებთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და 2013-ში დაგეგმილ ევრობასკეტზე კარგი შედეგის საჩვენებლად აუცილებლად დასჭირდება შემადგენლობის მაქსიმალურად გამოწურვა. რაც უმთავრესად სათადარიგოებს ეხებათ, თორემ „დამრტყმელი ხუთეული" ისედაც გვარიანად დაიტვირთა.


2012 წელი. ახალი სეზონი მაქაბთან ერთად იწყება

ვაჟა სიმონიშვილი

ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# სუთიაშვილისა და შეყლაშვილის პირველი ელიტური ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ექვსი ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ლიდერობს ქართველი მორაგბეების, დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონი", რომლითაც ამ კლუბის მულტიმილიონერმა მეპატრონემ, მურად ბურჯელალმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სუპერგუნდი შექმნა.**

ტულონელებმა მე-6 ტურში შინ დამაჯერებლად მოუგეს **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს" - 33:12. კასტრელები ნებისმიერი რანგის გუნდისთვის ანგარიშგასაწევნი არიან. თვით ის ფაქტი, რომ გასულ სეზონში ამ კლუბებს შორის გამართული ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

„კასტრმა" მასპინძლებს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მატჩის პირველ ტაიმში გაუწია. ტულონელებმა პირველი ნახევარი მხოლოდ 5 ქულის სხვაობით მოიგეს - 17:12. შესვენების შემდეგ კი მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცეს.

„ტულონის" ძირითად შემადგენლობაში **ფრედერიკ მიშალაკმა** და **ჯონი ვილკინსონმა** პირველად ითამაშეს ერთად. მიშალაკმა ცხრა ნომრის პოზიცია დაიკავა, „ვილკო" კი ჩვეულად, მგეზავად გაისარჯა და გუნდს 18 ქულა მოუტანა (სამი საჯარიმო, სამი გარდასახვა, ერთი არეკნი).

ქუბრიაშვილი და ფეიქრიშვილი ტრავმირებულნი არიან და არ უთამაშიათ, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ იყვნენ.

„ტულონს", რომელსაც 27 ქულა დაუგროვდა, 4 ქულით ჩამორჩება და კვალში უდგას **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი". „ვულკანებმა", რომლებმაც აქამდე მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს, შინ მიიღეს დივიზიონის დებიუტანტი „გრენობლი" და 44:20 სძლიეს.

„ალპელებმა" საწყისი 28 წუთის განმავლობაში მრისხანე მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ დროისთვის ანგარიში საყაიმო იყო - 6:6. თუმცა ტაიმის დასკვნით ათ წუთში მასპინძლებმა ორი ლელო გაიტანეს და 23:6 დაწინაურდნენ. ვითარება მოედანზე არც მატჩის მეორე ნახევარში შეცვლილა. 50-ე წუთისთვის კლერმონელები 24 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ და ანგარიშში ეს განსხვავება ბოლომდე შეინარჩუნეს.

ზირაქაშვილი ტრავმირებულია, კოლელიშვილი განაცხადში არ იყო.

საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერთა სამეულის ბოლო წევრიც „ქართული გუნდია". ქვეყნის ჩემპიონმა, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზმა" სტუმრად დაამარცხა ბასკური „ბაიონი" - 35:6.

ტულუზელები ინიციატივას თავიდანვე დაეუფლნენ და მეტოქე უშანსოდ დატოვეს. ყველაზე შედეგიანი სტუმართა შორის ახალზელანდიელი მგეზავი **ლუკ მაკალისტერი** იყო, რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, სამი გარდასახვა და სამი საჯარიმო). თამაში, მიუხედავად ანგარიშში დიდი სხვაობისა, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. მატჩის არბიტრმა ორივე გუნდიდან ორ-ორი მორაგბე გაასინბინა. „ტულუზს" მომდევნო ტურში გაცილებით მძიმე მატჩი ელის, ჩვენებურთა ეს გუნდი გათამაშების ლიდერს, „ტულონს" მასპინძლობს.

ბრეგვაძე და კაკოვინი ტრავმირებულნი არიან და არ უთამაშიათ.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიემ" სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „ბორდოსთან" - 23:15. მონპელიელებს ტრავმის გამო გიორგი ჟღენტი დააკლდათ, არ უთამაშიათ ასევე არგენტინის ეროვნულ ნაკრებში მივლინებულ ოთხ მონპელიელს.

„ბორდოსთან" გასვლით მატჩში წარმატებამ ჩვენებურთა გუნდის მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა. ნარიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, გორგოძე თამაშში 46-ე წუთიდან ჩაერთო. მან ისევ მეორე ხაზში ითამაშა.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ" შინ უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა „პერპინიანი" - 34:24. მასპინძლებმა პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით 12:11 მოიგეს და გადამწყვეტ უპირატესობას მხოლოდ მეორე ნახევარში მიაღწიეს. არბიტრმა ამ შეხვედრაშიც ოთხი მორაგბე გაასინბინა - ორ-ორი ორივე გუნდიდან. ჟვანია განაცხადში არ იყო.



მარჯვნივ მიხეილ ნარიაშვილი



ბურთით შალვა სუთიაშვილი

## I დივიზიონი

### VI ტური

ბაიონი-ტულუზი 6:35, ტულონი-კასტრი 33:12, სტად ფრანსე-პერპინიანი 34:24, კლერმონი-გრენობლი 44:20, მონ დე მარსანი-აჟენი 16:28, ბორდო-მონპელიე 15:23, მეტრო რასინგი-ბიარიცი 13:12.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 27 ქულა, 2. კლერმონი - 23, 3. ტულუზი - 20, 4. ბიარიცი - 18, 5. მეტრო რასინგი - 18, 6. კასტრი - 15, 7. გრენობლი - 14, 8. მონოპელიე - 14, 9. პერპინიანი - 11, 10. სტად ფრანსე - 10, 11. აჟენი - 10, 12. ბორდო - 9, 13. ბაიონი - 7, 14. მონ დე მარსანი - 0.

### VII ტური

**კლერმონი-სტად ფრანსე, მონპელიე-კასტრი, პერპინიანი-მონ დე მარსანი, გრენობლი-მეტრო რასინგი, აჟენი-ბორდო, ტულუზი-ტულონი, ბიარიცი-ბაიონი.**

ელიტურ, მეორე დივიზიონში ხუთი ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ლიდერობს „ოიონაქსი", რომელსაც კვალში მიჰყვებიან ქართველ მორაგბეთა გუნდები, „ორიაკი", „ლიონი" და „ტარბი". საპლეიოფო ხუთეულს მიუახლოვდა „ალბი".

**ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა", რომელიც 16 ქულით მეორე ადგილზეა, შინ დაამარცხა **გოდერძი შველიძის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი" - 27:20. რეგიონის დერბიში თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ, ისინი მე-15 წუთისთვის 6:0-ს იგებდნენ. თუმცა მასპინძლებმა მატჩის სადავეების ხელში აღება შეძლეს და ტაიმი 11 ქულის სხვაობით მოიგეს.

მეორე ნახევარში „ორიაკმა" მდგომარეობა კიდევ უფრო განიმტკიცა და 74-ე წუთისთვის 27:15 იგებდა. ბრიველთა გააქტიურება მატჩის მიწურულს ერთი ლელოთი აღინიშნა, რაც თამაშის გადასარჩენად საკმარისი არ იყო.

ასეიშვილმა და დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ნაცარაშვილი 48-ე წუთზე შეცვალეს, შველიძემ კი ხინჩაგიშვილი 70-ე წუთზე შეცვალა, ნატრიაშვილი განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

**გურამ კავთიძის** „ლიონს", რომელიც „ორიაკს" ერთი ქულით ჩამორჩება, საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადახდა „ლა როშელთან" - 22:15. ლიონელებმა პირველი ტაიმი 10:12 წააგეს. მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა კი შესვენების შემდეგ ჟულიენ დუმორას საჯარიმოების წყალობით შეძლეს. მატჩის არბიტრმა მოთამაშეებს ოთხი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი უჩვენა. სტუმრები კაცნაკლულნი ბოლო 16 წუთის განმავლობაში ასპარეზობდნენ.

კავთიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 65-ე წუთზე შეცვალეს.

**გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ დაამარცხა პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „კარკასონი" - 37:30. ჩვენებურთა გუნდმა „ლიონის" მსგავსად 15 ქულა დააგროვა და ახლა მეოთხე ადგილზეა.

ტარბელებს დასაწყიში საკმაოდ გაუჭირდათ, ერთი ხანობა აგებდნენ კიდეც, თუმცა მდგომარეობის გამოსწორება პირველივე ტაიმში შეძლეს და უმნიშვნელოვანესი ოთხი ქულა მიითვალეს.

ნემსაძემ სრულად ითამაშა, ჩხაიძე მოედანზე 42-ე წუთიდან გამოჩნდა, დადუნაშვილი ოთხი წუთის შემდეგ შეცვალეს, მირცხულავა განაცხადში არ იყო.

ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდა **ალექსანდე თოდუას, კახაბერ კობერიძის, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბი", რომელმაც მე-5 ტურში სტუმრად მოუგო **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასის" - 34:29. ელიტაში, მატჩის 64-ე წუთზე პირველი ლელო გაიტანა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა შალვა სუთიაშვილმა. მან და ალექსანდრე თოდუამ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ვახტანგ მაისურაძე 50-ე წუთზე შეცვალეს, დავით აშვეთიამ მოედანი ოთხი წუთის შემდეგ დატოვა, გიორგი თეთრაშვილმა მასზე 33 წუთით მეტი ითამაშა, კობერიძე და ახობაძე განაცხადში არ იყვნენ.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ", რომელიც 9 ქულით მე-14 ადგილზეა, შინ დაამარცხა უშუალო კონკურენტი „ექსი" - 39:28. შეყლაშვილმა, რომელიც 55-ე წუთზე შეცვალეს, პირველი ტაიმის 23 წუთზე ლელო გაიტანა.

ორი ქულა აქვს და სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზეა **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი", რომელმაც მორიგი მარცხი განიცადა სტუმრად „ნარბონთან" - 19:22. რატიანიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს.

## II დივიზიონი

### V ტური

**ტარბი-კარკასონი 37:30, მასი-ალბი 29:34, ნარბონი-დაქსი 22:19, ოიონაქსი-კოლომიე 27:6, ოში-პო 33:26, ბეზიე-ექსი 39:28, ლიონი-ლა როშელი 22:15, ორიაკი-ბრივი 27:20.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ოიონაქსი - 20 ქულა, 2. ორიაკი - 16, 3. ლიონი - 15, 4. ტარბი - 15, 5. პო - 13, 6. ალბი - 13, 7. კარკასონი - 12, 8. ოში - 12, 9. ლა როშელი - 11, 10. ბრივი - 11, 11. ნარბონი - 10, 12. კოლომიე - 10, 13. მასი - 9, 14. ბეზიე - 9, 15. ექსი - 7, 16. დაქსი - 2.**

### VI ტური

**კარკასონი-ოიონაქსი, ექსი-ტარბი, ალბი-ორიაკი, კოლომიე-ლა როშელი, ბრივი-ოში, ბეზიე-პო, დაქსი-მასი, ლიონი-ნარბონი.**

■ ■ ■

კელტთა ლიგის გათამაშების მე-4 ტურში საქართველოს ნაკრების მესამეხაზელ **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა" სტუმრად წააგო ირლანდიურ „ლენსტერთან" - 16:22. მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში უდავო უპირატესობას ფლობდნენ და ედინბურგელებმა მათი შევიწროება ნაწილობივ მხოლოდ დასკვნით 15 წუთში მოახერხეს.

ბასილაია სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო. ახლა „ედინბურგს" 11 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა. გათამაშებას ისევ უელსური „ჰლანეჰლი" ლიდერობს, რომელმაც პირველი მარცხი განიცადა შინ ასევე უელსური „ოსფრიზისგან" - 16:23.

## კელტთა ლიგა

### IV ტური

**ჰლანეჰლი-ოსფრიზი 16:23, ზებრე-ალსტერი (გადაიდო), გლაზგო-ქონოთი 27:17, ლენსტერი-ედინბურგი 22:16, კარდიფი-ბენეტონი 34:18, მანსტერი-ნიუპორტი 33:13.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ჰლანეჰლი - 15 ქულა, 2. მანსტერი - 14, 3. კარდიფი - 14, 4. ლენსტერი - 14, 5. ალსტერი - 12. 6. ედინბურგი - 11, 7. გლაზგო - 10, 8. ოსფრიზი - 6, 9. ქონოთი - 5, 10. ნიუპორტი - 5, 11. ბენეტონი - 5, 12. ზებრე - 0.**

### V ტური

**ნიუპორტი-ედინბურგი, კარდიფი-ალსტერი, გლაზგო-ზებრე, ქონოთი-ლენსტერი, ბენეტონი-ჰლანეჰლი, ოსფრიზი-მანსტერი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



მარცხნივ გიორგი ჩხაიძე

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა


ჟო-ვილფრიდ ცონგა

# კლიჟანი აღარ ხუმრობს...

გასულ კვირას, მამაკაცებმა ორ ტურნირზე დაასრულეს ევროპაში ურთიერთობის გარკვევა და ახლა, აზიაში გადადიან სათამაშოდ.

სანკტ-პეტერბურგის ტურნირზე ერთი რეკორდი დამყარდა - ნახევარფინალში **მიხაილ იუჟნი** და **მარტინ კლიჟანი** 3 საათი და 49 წუთი არკვევდნენ ურთიერთობას, რაც ხანგრძლივობის რეკორდია დარბაზებში სამსეტიანი ფორმატის მატჩებისთვის.

სლოვაკმა ბოლო პერიოდში სერიოზულ პროგრესს მიაღწია - ამერიკის ღია პირველობაზე **ჟო-ვილფრიდ ცონგას** მოუგო და მერვედფინალამდე გავიდა. კლიჟანმა კარგი ფორმა სანკტ-პეტერბურგის ტურნირისთვისაც შეინარჩუნა და იუჟნისთან ნახევარფინალამდე სეტი არ დაუთმო მეტოქეებს.

კლიჟანისა და იუჟნის ნახევარფინალი მართლაც ტურნირის მშვენება აღმოჩნდა. სამივე პარტიაში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველში მარტინმა ბრეიკით დაწინაურება შეძლო, ოთხი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე 11:13 წააგო.

მეორეში ბრეიკით წინ იუჟნი გავიდა, მაგრამ ბოლოში ზედიზედ ოთხი გეიმის წაგებით სეტებში ანგარიში გაათანაბრებინა სლოვაკს. მესამე პარტიაში არანაკლები ბრძოლა იყო. აქაც, თავიდან იუჟნიმ აიღო მეტოქის მოწოდება, მაგრამ კლიჟანმა მაშინვე გაათანაბრა ანგარიში და მალე 5:2 დაწინაურდა. თუმცა სლოვაკმა შემდეგი სამი გეიმი ჩააგდო და საბოლოოდ, ყველაფერი ისევ ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. რუსმა მაშინვე მისცა მეტოქეს ფორა და კლიჟანმა მცირე უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

მარტინი ტურნირისთვის შესანიშნავად იყო მზად ფიზიკურად. იმ დღეს მან წყვილთა საათნახევრიან ნახევარფინალშიც ითამაშა, მეორე დღეს კი ერთეულთა ფინალი ჩაატარა, სადაც მას **ფაბიო ფონინი** უპირისპირდებოდა. წესით, იტალიელს უნდა ეცადა ხანგრძლივი გათამაშებები შეეთავაზებინა მეტოქისთვის, რათა კიდევ უფრო გამოეფიტა კლიჟანი, მაგრამ ფონინიმ შემტევი და რისკიანი თამაში აირჩია და ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. მან კარიერაში მეორე ფინალი ითამაშა და მეორედ დამარცხდა - 2:6, 3:6, კლიჟანი კი პირველი სლოვაკია 2004 წლის შემდეგ, ვინც ATP-ის ტურნირი მოიგო (რვა წლის წინ, **დომინიკ ჰრბატიმ** მარსელში გაიმარჯვა).

პარალელურად, საფრანგეთის ქალაქ მეცში მიმდინარეობდა ტურნირი. აქ სიურპრიზი შემოგვთავაზა რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ**, რომელსაც კარგა ხანია არანაირი წარმატებისთვის არ მიუღწევია. მაგრამ, ამჯერად, დავიდენკომ ზედიზედ მოუგო **მიშა ზვერევს**, **ჟილ მიულერსა** და **ივო კარლოვიჩს** და ფინალში გასასვლელად ადგილობრივი პუბლიკის მთავარ იმედს ჟო-ვილფრიდ ცონგას დაუპირისპირდა.

ფრანგმა პირველი სეტი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო, მაგრამ მეორეში დავიდენკომ ბრძოლა მოახვია თავს მეტოქეს, რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მოიგერია, რის შემდეგაც მეშვიდე გეიმში გადამწყვეტი ბრეიკი გააკეთა. მესამე სეტში ცონგამ ისევ იპოვა თავისი თამაში, მეტოქეზე გაცილებით აქტიურად მოქმედებდა და მიღებაზე არანაირ შანსს არ აძლევდა რუსს. გამარჯვების მომტანი ბრეიკი ცონგამ 4:4-ზე გააკეთა და აღარ გასჭირვებია მატჩისთვის წერტილის დასმა - 6:0, 3:6, 6:4.

მეორე ნახევარფინალში **ანდრეას სეპიმ გაელ მონფილსს** მოუგო, რომლისთვისაც ეს იყო პირველი ტურნირი მაისის შემდეგ. იტალიელმა კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის უთამაშებლობა და ფინალში გააღწია, მაგრამ ორ დღეში ზედიზედ ორი ფრანგის დამარცხება ვერ შეძლო. ჟო-ვილფრიდმა ანდრეასი ორ სეტში - 6:1, 6:2 გაანადგურა. ჩოგბურთელებმა კორტზე მხოლოდ 50 წუთი დაჰყვეს და ცონგამ სეზონში მეორე ტურნირი მოიგო. სხვათა შორის, ჟოსთვის ეს ზედიზედ მეორე ტრიუმფია მეცში - შარშანდელ ფინალში მან ხორვატი **ივან ლუბიჩიჩი** დაამარცხა.

ახლა, მამაკაცები ქალებს მიბაძავენ და ისინიც აზიურ ტურნეს დაიწყებენ. ამ კვირას ორი ტურნირი იმართება - ბანგკოკსა და კუალა ლუმპურში.

**St. Petersburg Open**

სანკტ პეტერბურგი (რუსეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 468 000 დოლარი

**ფინალი**

**მარტინ კლიჟანი (სლოვაკ, 3)**-ფაბიო ფონინი (იტა, 4) 6:2, 6:3.

**Moselle Open**

მეცი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 ევრო

**ფინალი**

**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 1)**-ანდრეას სეპი (იტა, 5) 6:1, 6:2.

კალათბურთი. NBA 2012-13 წელი

# სეზონის წინ: დენვერ ნაგეტსი

**დენვერ ნაგეტსი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 106,5 ქულა - მე-3 ლიგაში

**მცველი:** საშუალოდ 103,4 ქულა - მე-19 ლიგაში

**წინა ხაზი**

ახალ სეზონში "დენვერის" თამაში ბევრი რამით იქნება საინტერესო. მაგალითად, გასარკვევია, შეძლებს თუ არა **მაკგი** თავისი 44-მილიონიანი კონტრაქტის გამართლებას; რას გააკეთებს **გალინარი** იმისთვის, რომ დაავიწყოს გულშემატკივრებს შარშანდელი ჩავარდნა; და კიდევ, ჩვენ მოწმენი გავხდებით იმისა, როგორ ეცდება **კენეტ ფარიდი** მარტომ დააგროვოს უფრო მეტი მოხსნა, ვიდრე ამას მთლიანად მეტოქე გუნდი გააკეთებს.

**შეფასება:** 4 მინუსით

**უკანა ხაზი**

**ანდრე იგუოდალა**, სავარაუდოდ, თამაშს შემტევი მცველის პოზიციაზე დაიწყებს. ტაი ლოუსონი ეცდება სწრაფი შეტევების განხორციელებას და თავდასხმაში სიტუაციის გამწვავებას. ის ქულებსაც საკმარისად დააგროვებს, რადგან „თავისი ბურთების“ ჩაგდება ეხერხება.

**შეფასება:** 4

**დაცვა**

გასულ სეზონში "დენვერი" მეტოქეებს ბევრი ქულის დაგროვების საშუალებას აძლევდა - საკუთარი სწრაფი თამაშის გამო. მაკგიმ, რომელიც გუნდში სრულფასოვან სეზონს ჩაატარებს, აგრეთვე წელს შეძენილმა იგუოდალამ, ეს სიტუაცია უნდა გამოასწორონ.

**შეფასება:** 3

**სათადარიგოთა სკამი**

**უილსონ ჩენდლერის** დაბრუნება – შესანიშნავი გაძლიერებაა. **ანდრე მილერი** – სტაბილური და გამოცდილია. ასევე თადარიგში არიან: **ენტონი რენდოლფი**, **ევან ფონიერი** და **ქუინსი მილერი**. თუ რომელიმე ამათგანი "გაისვრის", მაშინ "დენვერის" სკამი კონკურენტუნარიანი იქნება.

**შეფასება:** 4

**მწვრთნელი**

**ჯორჯ კარლი** ექსპერტია მოტივაციის დარგში. **კარმელო ენტონის** წასვლის შემდეგ, "დენვერს" სერიოზულად არავინ აღიქვამდა. შარშანდელი სეზონის წინ, არავინ ელოდა ლიდერის გარეშე დარჩენილი გუნდის ასეთ წარმატებულ თამაშს. მაგრამ კარლმა კრიტიკოსები გააჩუმა მას შემდეგ, რაც "დენვერი" პლეი ოფში გაიყვანა.

**შეფასება:** 5

**საბოლოო შეფასება**

გუნდმა კიდევ ერთხელ გადააჭარბა მოლოდინს - ისევე როგორც შარშანწინდელ სეზონში, როცა თანაბრად ებრძოლა "ლეიკერსს" და მხოლოდ მეშვიდე მატჩში დამარცხდა. იგუოდალას შეძენა, რა თქმა უნდა, გუნდის გაძლიერებაა, რომელიც მის გარეშეც მეტად შინაარსიან და გონიერ თამაშს აჩვენებდა.

მაგრამ, შემდეგი ნაბიჯი კიდევ უფრო რთული იქნება და მეტწილად, ის დამოკიდებულია გალინარისა და მაკგის პროდუქტიულობაზე, რომელმაც, დროა იპოვოს თავისი თამაში და მოიპოვოს სტაბილურობა. რეგულარული სეზონის დადებითი ბალანსით დასრულება და პლეი ოფის პირველ სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობის მიღება – მეტად ამბიციური მიზანია. მაგრამ, მართებული არ იქნება "დენვერის" ნაადრევად ჩამოწერა.

**საერთო შეფასება:** 4 მინუსით



ანდრე იგუოდალა

ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ბელგიელის სოლო


ფილიპ ჟილბერის იერიში

ჰოლანდიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების მორიგი კომპლექტი გათამაშდა - მამაკაცებმა ჯგუფურ რბოლაში იასპარეზეს.

რბოლა დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ის იმ ტრასაზე გადიოდა, რომელზეც ლეგენდარული ერთდღიანი კლასიკური რბოლა - „ამსტელ გოლდ რეისი“ იმართება. შესაბამისად, ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე, ველომრბოლებს ცნობილი ამაღლება კაუბერგი უნდა დაელაშქრათ. ასეთი მარშრუტი იდეალურად ერგებოდა ბელგიელი **ფილიპ ჟილბერის** სტილს, რომელიც ერთდღიანი კლასიკური რბოლების სპეციალისტად არის მიჩნეული.

მთელი რბოლის განმავლობაში ვიხილეთ გაქცევები, არაერთი წაქცევა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი კაუბერგის აღმართზე გადაწყდა. ყველამ იცოდა, რომ სწორედ აქ შეუტევდა ფილიპ ჟილბერი, მაგრამ მის ბრწყინვალე იერიშს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოსკენ ბელგიელი თითქოს დაიღალა, მაგრამ ვერავინ მოახერხა ნორმალური კონტრშეტევის მოწყობა და ჟილბერმა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა. არადა, იმ დღეს მისი კონკურენტები იყვნენ ისეთი დიადი ველომრბოლები, როგორებიც არიან **ალბერტო კონტადორი** და **ბრედლი უიგინსი**.

პოდიუმის მეორე საფეხური ნორვეგიელმა **ედვალდ ბოასონ ჰაგენმა** დაიკავა, მესამე - ესპანელმა **ალეხანდრო ვალვერდემ**.

**ინდივიდუალური რბოლა**

1. **ფილიპ ჟილბერი** (ბელგია) - 6:10.41; 2. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია) - +0.04; 3. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი) - +0.05; 4. **იონ დეგენკოლბი** (გერმანია) - იგივე დრო; 5. **ლარს ბოომი** (ჰოლანდია) - იგივე დრო; 6. **ალან დევისი** (ავსტრალია) - იგივე დრო...

ამბები

**ჩოგბურთი**

## რადვანსკა მეოთხეა

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** WTA-ის წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში თამაშის უფლება მიიღო, რომელიც სტამბოლში 23-28 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში პოლონელმა მოიგო სამი ტურნირი - დუბაიში, მაიამიში და ბრიუსელში, აგრეთვე ითამაშა უიმბლდონის ფინალში.

*„წელს, აგნიეშკა თავის კარიერაში საუკეთესო ჩოგბურთს აჩვენებს. მას ნამდვილი ჩემპიონის ხასიათი აქვს და ჩვენი სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. გასაკვირი არ არის, რომ შარშან, სწორედ მან მოიგო გულშემატკივართა გამოკითხვა“*, - განაცხადა WTA-ის პრეზიდენტმა **სტეისი ალასტერმა**.

უფრო ადრე, წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაში გაინაღდეს **ვიქტორია აზარენკამ, მარია შარაპოვამ** და **სერენა უილიამსმა**.

## არანჩამ მშობლებს უჩივლა

ლეგენდარულმა ესპანელმა ჩოგბურთელმა, ამჟამად კი ფედერეციის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა **არანჩა სანჩეს-ვიკაირომ** საკუთარ მშობლებს სასამართლოში უჩივლა, - წერს გაზეთი AS. ესპანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, სანჩეს-ვიკარიო მისი კუთვნილი სახლიდან მშობლების გამოსახლებას აპირებს.

ადრე „დიდი სლემის“ ტურნირების ოთხგზის ჩემპიონმა მშობლები იმ თანხის გაფლანგვაში დაადანაშაულა, რომელიც მან პროფესიული კარიერის დროს გამოიმუშავა. შეგახსენებთ, რომ მშობლებთან კონფლიქტის შესახებ ყოფილმა ჩოგბურთელმა ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა.

სასამართლო პროცესი ქალაქ ბარსელონაში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ჩაცხრილული ყოფილი ჩემპიონი

## პრეტორიაში ვლადიმერ კლიჩკოს მძლეველი კორი სანდერსი მოკლეს



კორი სანდერსი

მსოფლიო კრივის სამყარომ სამწუხარო ამბავი შეიტყო. კვირა საღამოს, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი **კორი სანდერსი**. 46 წლის მოკრივე თავის მშობლიურ ქალაქ პრეტორიაში დაიღუპა, როცა რესტორანში შესულმა მძარცველებმა სროლა აუტეხეს იქ მყოფ სტუმრებს.

ერთ-ერთმა მოწმემ პოლიციას განუცხადა, რომ კორი რესტორანში თავისი ნათესავის დაბადების დღეს აღნიშნავდა. თავდამსხმელები სამნი იყვნენ - ისინი რესტორანში დაახლოებით 18 საათზე შეცვივდნენ და ცეცხლი გახსნეს. სანდერსს გმირობის ჩადენა არ უცდია, უბრალოდ თავის ქალიშვილს გადაეფარა და სწორედ ამ დროს მოხვდა ტყვია მუცელსა და ხელში.

ძარცვის მომენტში რესტორანში დაახლოებით 50 ადამიანი იყო და არავინ დაზარალებულა სანდერსის გარდა. მოკრივე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ რვა საათის შემდეგ, სანდერსი მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

კორი სანდერსი ბავშვობაში სამხრეთ აფრიკის „თეთრი“ მოქალაქეებისთვის ტრადიციული სახეობებით - რაგბითა და გოლფით იყო გატაცებული, მაგრამ მამის გავლენით, ბოლოს კრივი აირჩია. პროფესიულ რინგზე მისი კარიერა 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. 1991 წელს სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი გახდა და საჩემპიონო შეხვედრის უფლებისთვის ბრძოლა დაიწყო.

პირველი სატიტულო ბრძოლის უფლება მან 1997 წელს მიიღო და 15 ნოემბერს, მსაჯების გადაწყვეტილებით დაამარცხა ამერიკელი **როს პიურიტი**, რამაც კორის WBU-ის ტიტული მოუტანა.

სამხრეთაფრიკელმა სამჯერ დაიცვა საჩემპიონო ქამარი, მეოთხე ჯერზე კი, კარიერაში ყველაზე მძიმე მარცხი იწვნია. მაშინ კორის მეტოქე იყო ცნობილი ამერიკელი **ჰასიმ რაჰმანი**, რომელმაც ბრძოლა მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო. ამის შემდეგ, სანდერსი წელიწად-ნახევარი არ გადიოდა რინგზე და ყველას ეგონა, რომ მისი კარიერა დასრულებული იყო.

მაგრამ სამხრეთაფრიკელმა შეძლო მწვერვალზე დაბრუნება. 2003 წელს კორიმ უფრო პრესტიჟული ვერსიის - WBO-ის საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლის უფლება მიიღო. მისი მეტოქე დღეს დაუმარცხებელი **ვლადიმერ კლიჩკო** იყო. რა თქმა უნდა, სანდერსისა არავის სჯეროდა.

8 მარტს, ჰანოვერში გამართული ბრძოლა სამუდამოდ შევიდა კრივის ისტორიაში - ამ დღეს უკრაინელი ყველა კომპონენტში დაჩაგრეს.

უკვე პირველ რაუნდში კლიჩკო ორჯერ დაეცა რინგზე და ის ნოკაუტისგან გონგმა იხსნა. მაგრამ დროებით - მეორე რაუნდის დასაწყისში სანდერსმა ისევ დასცა მეტოქე და ამჯერად, ვლადიმერი ველარ წამოდგა. კორი სენსაციურად ავიდა კრივის ოლიმპის მწვერვალზე. მაგრამ, სამწუხაროდ, იქ დიდხანს ვერ გაჩერდა, რადგან თავის პრომოუტერულ გუნდთან და WBO-სთან უთანხმოების გამო მოუწია საკუთარი ნებით ტიტულზე უარის თქმამ. შემდეგ წელს, მან WBC-ის საჩემპიონო ქამრის წართმევა სცადა **ვიტალი კლიჩკოსთვის**, მაგრამ ეს წარუმატებელი ცდა იყო - უფროსმა კლიჩკომ მერვე რაუნდში ნოკაუტით მოუგო სანდერსს.

ამის შემდეგ, სამხრეთაფრიკელმა კიდევ ორი ბრძოლა წააგო ნაკლებად ცნობილ მოკრივეებთან და მიხვდა, რომ წლებს თავისი მიჰქონდა. კორი სანდერსმა კარიერა 2008 წელს დაასრულა. მის ანგარიშზე 46 ბრძოლაა, აქედან 42 მოიგო (31 ნოკაუტით) და ოთხჯერ დამარცხდა.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ცხოვრებაში მთავარი ბრძოლა კორი სანდერსმა არა რინგზე, არამედ პრეტორიის ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციაში წააგო. ეს ბრძოლა რვა საათი გრძელდებოდა.

# წავიდა თუ არა?

## ვიტალი კლიჩკომ კარიერის დასრულება გამოაცხადა, მაგრამ...



ვიტალი კლიჩკო

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა **ვიტალი კლიჩკომ** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. *„აღარ ვაპირებ კარიერის გაგრძელებას“*, - განაცხადა WBC-ის ჩემპიონმა დონეცკში გამართულ პრესკონფერენციაზე. 41 წლის კლიჩკო ბოლოს რინგზე 2012 წლის 8 სექტემბერს, მოსკოვში გავიდა. ამ დღეს უკრაინელმა გერმანელი **მანუელ ჩარი** დაამარცხა და ტიტული დაიცვა.

ვიტალი კლიჩკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი ძმა - **ვლადიმერი**, რომელიც რამდენიმე საჩემპიონო ქამარს ფლობს, კარიერას გააგრძელებს. *„კიდევ არაერთხელ აღიმართება უკრაინის დროშა და აჟღერდება უკრაინის ჰიმნი, როცა რინგზე კლიჩკო გავა“*, - აღნიშნა მოკრივემ.

ჩართან გამარჯვების შემდეგ, კლიჩკომ განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უკრაინის უმაღლესი რადას არჩევნების შედეგებზე იქნება დამოკიდებული. არჩევნებში, რომელიც 28 ოქტომბერს არის დანიშნული, კლიჩკოს პარტიაც მიიღებს მონაწილეობას.

კვლევების თანახმად, ვიტალი კლიჩკო მეორე ადგილზეა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე პრეტენდენტებს შორის. არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, მოკრივეს ხმას ამომრჩეველთა 11.9 პროცენტი მისცემდა (ლიდერია უკრაინის პრეზიდენტი **ვიქტორ იანუკოვიჩი** - 22.1 პროცენტი).

ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსანმა **დევიდ ჰეიმ** განაცხადა, რომ კლიჩკომ პოლიტიკოსის კარიერა იმის გამო აირჩია, რომ მასთან ბრძოლისგან დაეძვრინა თავი. ჰეის თქმით, ვიტალიმ არ უნდა გამოიყენოს უკრაინის პარლამენტის არჩევნები ბრძოლისგან თავის ასარიდებლად.

ვიტალი კლიჩკოს მენეჯერმა **ბერნტ ბიონტემ** განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა შეიძლება დაასრულოს კარიერა, თუ არჩევნების შედეგების მიხედვით შეეძლება უკრაინაში პოლიტიკურ სიტუაციაზე გავლენის მოხდენა. *„დემოკრატიისთვის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დევიდ ჰეისთან ჩხუბი“*, - თქვა ბიონტემ.

ვიტალი კლიჩკომ კარიერის განმავლობაში 47 ბრძოლა ჩაატარა, 45 მოიგო (41 ნოკაუტით) და ორჯერ დამარცხდა.

P. S. მოგვიანებით, ვიტალი კლიჩკოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **ოქსანა ზინოვიევამ** უარყო საკრივო კარიერის დასრულების შესახებ ინფორმაცია. მისი თქმით, კლიჩკოს არ უთქვამს, რომ სპორტიდან მიდის, უბრალოდ განაცხადა, რომ სიბერემდე არ იჩხუბებს.

*„ვიტალის ახალი არაფერი უთქვამს, მას უბრალოდ მხედველობაში ჰქონდა, რომ კარიერას თავის ძმაზე ადრე დაასრულებს“*, - ამბობს პრესსამსახურის ხელმძღვანელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 17** | |
| საბერძნეთი-სლოვენია | 0:0 |
| საფრანგეთი-ბოსნია | 3:1 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბლეკპული-ჰადერსფილდი | 1:3 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| სან მარინო-პავია | 0:1 |
| **ესპანეთი** | |
| რაიო ვალეკანო-რეალი | 0:2 |
| დეპორტივო-სევილია | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ობერჰაუზენი-ფორტუნა (კ) | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ბ)** | |
| ილერტისენი-ბაიერნი A | 3:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიჟონი-კლერმონი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| ეშტორილი-მარიტიმუ | 3:1 |
| სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 2:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ესბერგი | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ჰიონეფოსი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| გიოტებორგი-გაის | 0:0 |
| ჰელსინგბორგი-მალმიო | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1:2 |
| **ავსტრიის თასი** | |
| კალსდორფი-ჰარტბერგი | 3:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-ვილი | 2:3 |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-ატრომიტოსი | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-ტრაბზონი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბუკა-ქარსიაქა | 1:2 |
| **კვიპროსი** | |
| აპოლონი-აელ | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-სიგმა | 1:2 |
| **რუსეთი** | |
| [illegible]-ანჟი | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| [illegible] | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| კონსტანტა-ლაში | 1:0 |
| სტიაუა-რაპიდი | 1:0 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-ატლანტასი | 1:2 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ირონი (ქ-შ) | 4:0 |
| **აზერბაიჯანი** | |
| გილანი-რავანი | 1:3 |
| სუმგაიტი-ნეფთჩი | 3:2 |
| შიმურქი-განჯა | 2:1 |
| **არგენტინა** | |
| ესტუდიანტესი-არსენალი | 2:1 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ამური-ვიტიაზი | 3:2 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მნ) | 5:4 |
| სიბირი-სევერსტალი | 3:0 |
| ს. იულიაევი-ტრაქტორი | 1:4 |
| აკ ბარსი-ავტომობილისტი | 6:1 |
| ნეფტიხიმიკი-მეტალურგი (მ) | 2:7 |
| ცსკა-ავანგარდი | 1:0 |
| ლევ პოპრადი-იუგრა | 4:0 |
| სლოვანი-ბარისი | 4:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ვექსიო | 8:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბანგკოკი** | |
| პეტცშნერი-სირილუეტაივატანა | 6:1, 6:2 |
| **ATP. კუალა ლუმპური** | |
| დეენ ჰეშამი-**სისლინგი** | 2:6, 1:6 |
| **პოსპიშილი**-მელცერი | 6:4, 2:0 უარი |
| **იანი**-ბეიკერი | 6:3, 7:6 |
| **WTA. ტოკიო** | |
| გარსია-**ჰემპტონი** | 2:6, 2:6 |
| ოპრანდი-**ლარსონი** | 3:6, 6:3, 5:7 |
| კორნე-**პარმენტიე** | 3:6, 4:6 |
| **პეტროვა**-პენგი | 6:1, 6:4 |
| **ივანოვიჩი**-ჰლავაჩკოვა | 6:3, 2:0 |
| **ჰალეპი**-სუარეს ნავარო | 6:2, 6:3 |
| შვედოვა-**სკიავონე** | 6:4, 6:7, 4:6 |
| ნარა-**უ. რადვანსკა** | 2:6, 4:6 |
| **პაჩეკი**-ჯორჯი | 6:4, 6:3 |
| **პავლიუჩენკოვა**-სხეპერსი | 6:4, 4:6, 7:5 |
| დატე-**ბარტოლი** | 1:6, 4:6 |
| **გორგესი**-ნიკულესკუ | 6:3, 6:2 |
| ლისიცკი-**უოტსონი** | 4:6, 6:7 |
| სოლერ ესპინოსა-**კანეპი** | 1:6, 4:6 |
| **ჟენგი**-კინგი | 6:3, 6:4 |
| **საფაროვა**-პირონკოვა | 6:4, 7:6 |
| **ვოზნიაცკი**-იოვანოვსკი | 6:0, 3:6, 6:4 |
| მაკაროვა-**ჰანტუხოვა** | 4:6, 6:4, 3:6 |

● TV პროგრამა

**25 სექტემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. ტვენტე-ჰერენვეენი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. სუონსი-ევერტონი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. რივერ პლეიტი-რასინგი.
**18:00** პროგრმა - იმედის ფსონი.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ბაიერნი-ვოლფსბურგი (LIVE).
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. მანჩესტერ სიტი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შალკე-ბაიერნი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-იუტა.
**14:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰამბურგი-დორტმუნდი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-იტალია.
**19:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**21:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
**22:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. აინტრახტი-დორტმუნდი (LIVE).
**00:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-იუტა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
**12:20** სპორტ-NEWS.
**13:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ფენერბახჩე.
**17:40** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მილანი-ანდერლეხტი.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. ბილბაო-მონტეპასკი.
**22:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შალკე-მაინცი (LIVE).
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 25 | (მზე) |
| ქუთაისი | 17 | 30 | (მზე) |
| ბათუმი | 16 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 16 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 15 | 29 | (მზე) |
| გორი | 14 | 26 | (მზე) |
| თელავი | 15 | 24 | (მზე) |
| სიღნაღი | 14 | 24 | (მზე) |
| ძობულეთი | 16 | 26 | (მზე) |
| ბაკურიანი | 5 | 18 | (მზე) |
| ბორჯომი | 11 | 25 | (მზე) |
| მესტია | 8 | 23 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1418 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6594 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6889 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3099 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# მოაშორეთ შუმახერი!

კვირას გამართული სინგაპურის გრანპრის სტიუარდებმა განიხილეს **მიხაელ შუმახერისა და ჟან-ერიკ ვერნის** ავარიის ეპიზოდი. ამ ინციდენტში დამნაშავედ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ცნეს, რომელსაც ტექნიკური პრობლემები შეექმნა ბოლიდთან დაკავშირებით. შუმახერმა მეტად მკაცრი სასჯელი მიიღო - მომდევნო გრანპრიზე, რომელიც იაპონიაში გაიმართება, მიხაელი ათ პოზიციას დაკარგავს იმ ადგილთან დაკავშირებით, რომელსაც ის კვალიფიკაციაზე მოიპოვებს.

გერმანელი პილოტის ბოლოდროინდელი გამოსვლები მკაცრად გააკრიტიკა ცნობილმა ექსპერტმა, საჯინიბო „მინარდის" ყოფილმა მენეჯერმა **ჯანკარლო მინარდიმ.**

*„როსბერგმა ისევ ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა და სინგაპურში მეხუთე ადგილი დაიკავა. ნიკოს მონდომებით, „მერსედესი" მეხუთე ადგილს იკავებს კონსტრუქტორთა თასზე და გუნდს ორი როსბერგი რომ ჰყავდეს, მაშინ ოთხეულში შესვლისთვის იბრძოლებდა.*

*გუნდის ტექნიკური პერსონალის რეაქცია მიხაელის ავარიაზე საჩვენებელი იყო. ვფიქრობ, მოვიდა ცვლილებების დრო. თუმცა რთული იქნება შუმახერის ლუის ჰემილტონით შეცვლა, რადგან ბოლო სამი წელია „მაკლარენი" ძალიან სწრაფია და მისი დატოვება ბრიტანელმა, შესაძლოა, არ მოისურვოს. თუ „მერსედესს" სურს სერიოზული პროგრესის მიღწევა, მაშინ უნდა შეინარჩუნოს როსბერგი და მას შეუწყვილოს რომელიმე ახალგაზრდა პილოტი, მაგალითად, დი რესტა.*



შუმახერი ავარიის შემდეგ

*სინგაპურში უქმეები ჰემილტონის კარნახით მიდიოდა. ლუისი ერთადერთი იყო, ვინც შეძლო ფეტელის გასწრება. მან ფანტასტიკური წრე გაიარა კვალიფიკაციაში და დამაჯერებლად ლიდერობდა რბოლაში - რომ არა გადაცემათა კოლოფის პრობლემა, ის აუცილებლად პირველი მივიდოდა ფინიშთან. ფეტელს სერიოზულ რისკზე წასვლა უწევდა იმისთვის, რომ ბრიტანელის ტემპში ევლო.*

*კარგი რბოლა ჰქონდა ფელიპე მასას. სამწუხაროდ, პელოტონის სიღრმიდან სტარტი ყოველთვის ავარიის რისკს შეიცავს - ფელიპემ უკან დაიხია, მაგრამ შემდეგ, კარგი სტრატეგიის წყალობით, მერვე მივიდა ფინიშთან, თან არაერთი ეფექტური გასწრება შეასრულა. როგორც ჩანს, ისევ ვხედავთ ძველ მასას.*

*უქმეების წარუმატებელი დასაწყისის შემდეგ, ფერნანდო ალონსოს მესამე ადგილი კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მარანელოში უნდა იპოვონ რამდენიმე ათეული წამით ტემპის გაუმჯობესების რესურსი, რათა დაეხმარონ ფერნანდოს - არ შეიძლება მუდმივად სასწაულის იმედად ყოფნა.*

*ტიტულზე ოთხი პილოტი აცხადებს პრეტენზიას და ალონსოს 29-ქულიანი უპირატესობა ფეტელზე, შესაძლოა, საკმარისი იყოს საბოლოო გამარჯვებისთვის, ოღონდ თუ „ფერარი" შეძლებს ტემპის მომატებას",* - ამბობს მინარდი.

გია თვალაბეიშვილი

ფორტუნა Fortuna

აიღეთ ფორტუნა ბარათი!
გახდით იღბლიანი 77-ე და
თქვენ ფორტუნა ანგარიშზე
ჩაგერიცხებათ
77 ლარი!

გაიგეთ მეტი: fortuna.emoney.ge



შეავსეთ თქვენი ბალანსი ონლაინ სათამაშო
პორტალებზე და გამოიტანეთ თანხა მარტივად!

დარეგისტრირდით უფასოდ ან მიიღეთ ფორტუნა ბარათი
ლიბერთი ბანკის ფილიალებში დღესვე!

fortunacard.ge fortuna.emoney.ge 255 55 00

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608